

აღსრულება საჩივლის უზრუნველყოფა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2021, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2021, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2021, №6

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2021, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. გადანყვეტილები ალსრულებასთან დაკავშირებული საკითხები	
ალსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადანყვეტილებით ალსრულების შეჩერება	4
გადანყვეტილების დაუყოვნებლივ ალსრულებაზე საკითხის განხილვა სააპელაციო ინსტანციაში	18
ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალისგან ამოღებული თანხის განაწილების კანონიერება	23
საალსრულებო წარმობასთან დაკავშირებით სასამართლოში აღძრული დავის იდენტიურობის შემოწმება	48
კერძო აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ქონების შეფასება ...	84
საალსრულებო ბიუროს აღმასრულებლის განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი	99
სასამართლოს გადანყვეტილების ალსრულებულად მიჩნევის საფუძველი	131
2. სარჩელის უზრუნველყოფა	
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები	144; 150; 155;
სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მართლზომიერება	162
3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი	
სასამართლო გადანყვეტილების ალსრულების გამო სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმება	168
დავის არსებითად დასრულების გამო სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმება	175
4. საალსრულებო ფურცელი	
კრედიტორის უფლებამონაცვლის სახელზე საალსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის საფუძველი	183
უფლებამონაცვლეზე ახალი საალსრულებო ფურცლის გაცემა	189

1. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აღსრულების შეჩერება

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-425-422(კ-17)

17 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...-მა“ 2014 წლის 10 ოქტომბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების უფროსის 2014 წლის 20 აგვისტოს №14027165-007/001 წერილის – ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა №14027165 სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერებისა და 2014 წლის 7 აგვისტოს განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმოებაშია სააღსრულებო საქმე, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 1 აპრილს გაცემული №227/13 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შესახებ. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, კრედიტორის მოთხოვნას წარმოადგენს შპს „...-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულ-

ვარში უნებართვოდ აგებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი. 2013 წლის 16 ოქტომბერს ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული იქნა №227 დადგენილება, რომლითაც უნებართო მშენებლობის წარმოების გამო მოსარჩელე დაჯარიმდა 3000 (სამი ათასი) ლარით და დადგინდა, რომ მოხდეს ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში მდებარე საზოგადოებრივი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მშენებლობის ნებართვის შესატანხმებლად მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე. აღნიშნული ბრძანება გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი და ადმინისტრაციულ ორგანოს – ქალაქ ბათუმის მერიას დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

მოსარჩელის განცხადებაზე, ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში მდებარე საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ არსებობდა საალსრულებო საქმის წარმოების შეჩერების საკმარისი საფუძველი, ვინაიდან მიმდინარეობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების გატარება მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, ამასთან არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს პროექტის შეთანხმების მიზნით დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოსარჩელის მოსაზრებით გასაჩივრებული სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების 2014 წლის 20 აგვისტოს №14027165-007/001 ნერილი – ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, მიღებულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც გახდა სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით შპს „...-ის“ სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში, შპს „...-ის“ სარჩელისა გამო, მოპასუხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუ-

მის განყოფილების მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე მოთხოვნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმულ იქნა – ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქალაქ ბათუმის აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების უფროსის 2014 წლის 20 აგვისტოს №14027165-007/001 წერილი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; მოპასუხე – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქალაქ ბათუმის აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილებას დაევალა კანონით დადგენილ ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შპს „...-ის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...-მა“, ქ. ბათუმის მერიამ და სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ/აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილებამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს/აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; შპს „...-ის“ (შპს „...“) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „...-ის“ (შპს „...“) სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმომავალი სააღსრულებო საქმე ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 1 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლის №227/13 აღსრულების შესახებ. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, კრედიტორის მოთხოვნას წარმოადგენს მოვალის – შპს „...-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში უნე-

ბართვოდ აგებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ერთი მხრივ, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებელია მოხდეს იმავე ობიექტის დემონტაჟი, ვინაიდან ორივე აღნიშნული შემთხვევა ეხება ერთსა და იმავე საზოგადოებრივ ობიექტს, შესაბამისად, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ხომ არ არსებობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს იმას, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არის საკმარისი, რათა სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება სადავო საკითხთან დაკავშირებით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით განსაზღვრულია აღსრულების შეჩერება და მისი ვადები. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს: ა) კრედიტორის მოთხოვნით, ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს, თუ იგი არ მოითხოვს აღსრულების გაგრძელებას; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადით; გ) კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალებისას – სასამართლოს მიერ უფლებამონაცვლის დადგენამდე და მოვალის ქონების უფლებამონაცვლის საკუთრებაში გადასვლამდე; დ) ამ კანონის 184-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განაწილვადებისას – საქმისწარმოების განახლებამდე; ე) ამ კანონის 183-ე მუხლით დადგენილი წესით სააღსრულებო წარმოების მხარის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით; ვ) ამ კანონის 25-ე მუხლის მე-4 და 4¹-ე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრედიტორისათვის საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრისას – ამ ვადის ამოწურვამდე; ზ) განსაკუთრებულ შემთხვევაში – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ

არსებობს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულების შეჩერების საფუძვლები, რის გამოც შპს „...-ის“ განცხადება საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 10 თებერვალს, შპს „...-მა“ განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას და მოითხოვა საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არაერთხელ უთხრა უარი – ჯერ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანებით და შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად 2016 წლის 1 თებერვლის მ/146 ბრძანებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი დასკვნის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული ის გარემოებები, რაც უკავშირდება სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შეჩერების თაობაზე მოსარჩელის მხრიდან წამოჭრილ სადავო საკითხის შესწავლას, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შეფასებულ იქნა იმგვარად, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოადგენდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ აღსრულების შეჩერების საფუძვლებს. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მის ხელთ არსებული მასალების გამოკვლევის შედეგად იმსჯელა და მივიდა დასკვნამდე, რომ მითითებული კანონის 36-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „განსაკუთრებულ შემთხვევად“ ვერ იქნება მიჩნეული სასარჩელო განცხადების ან საჩივრის სასამართლოში წარდგენა, რადგან განსაკუთრებული შემთხვევა არის ინდივიდუალური საკითხი, რომლის დუბლირება მინიმუმამდეა დაყვანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა მო-

ვალე მიმართავს სასამართლოს, რის შედეგადაც აღსრულება კოლფსამდე მივა და აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულება დროში იმდენად გაინელება, რომ შეიძლება ხანდაზმულიც კი გახდეს. ობიექტის სამშენებლო დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ობიექტის მფლობელის, შპს „...-ის“ მიერ წარდგენილ არაერთ განცხადებას ეთქვა უარი უფლებამოსილი ორგანოს მიერ არაერთხელ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, რაზედაც უკვე წლებია მიმდინარეობს დავა. სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...-მა“. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით უტყუარადაა დადგენილი და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმოებაშია სააღსრულებო საქმე ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 1 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლის №227/13 აღსრულების შესახებ. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, კრედიტორის მოთხოვნას წარმოადგენს მოვალის – შპს „...-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში უნებართვოდ აგებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი. ასევე უტყუარადაა დადგენილი და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2013 წლის 16 ოქტომბერს გამოცემულ იქნა დადგენილება №227, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე შპს „...“ დაჯარიმდა 3000 ლარით უნებართვო მშენებლობის წარმოების გამო, ამავე დადგენილებით გათვალისწინებულ იქნა ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში მდებარე საზოგადოებრივი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

კასატორის მითითებით დადგენილია და სადავო ფაქტს არ წარმოადგენს, რომ მოსარჩელესა და ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის გადაცემის ხელშეკრულება 2010 წლის 10 ივნისს, რომლის საფუძველზეც შპს „...-ს“

აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში სექტორ №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით: მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით შპს „...-მა“ დაიწყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებელი სამუშაოები. ამ პროცესის ფარგლებში, 2014 წლის 10 თებერვალს, შპს „...-მა“ განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას და მოითხოვა საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, თუმცა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის ბრძანებით მოსარჩელეს ეთქვა უარი.

კასატორის განმარტებით, ასევე დადგენილია და სადავოს მხარეთა შორის არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (შესულია კანონიერ ძალაში) ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 25 თებერვლის №03/330 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის თაობაზე და ამავე გადაწყვეტილებით დაევალა ქ. ბათუმის მერიას ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შპს „...-ის“ განცხადებაზე, ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე. ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ქ. ბათუმის მერიის უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით კვლავ უარი ეთქვა შპს „...-ს“ სამშენებლო-არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე, განმეორებითი უარიც გასაჩივრებულთა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და დავა მხარეთა შორის გრძელდება ამ საკითხთან მიმართებით.

კასატორის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფენ, რომ ერთი მხრივ, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმომავალი სააღსრულებო საქმე, რომლის მოთხოვნას წარმოადგენს შპს „...-ის“ მფლობელობაში არსებული, უნებართვოდ აგებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი და მეორე მხრივ, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პროექტის შეთანხმებაზე უარი ბათილად იქნა ცნობილი და პროექტის შეთანხმების საკითხი დღემდე მხარეთა შორის სადავოდ რჩება, ორივე შემთხვევაში საკითხი ეხება ერთსა და იმავე ობიექტს, რომელიც მდებარეობს ბათუმში, ...ს ტერიტორიაზე. სწორედ ეს გარემოება ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ სააღსრულებო ბიუროს „სააღსრულებო წარმომავალი შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეიჩერებინა აღსრულების პროცესი, რადგან სახე-

ზე სწორედ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი – განსაკუთრებული შემთხვევაა. ერთი მხრივ, მოსარჩელის წინააღმდეგ დაწყებული ალსრულების პროცესი და ნაგებობები დგას დემონტაჟის რეალური საფრთხის წინაშე, ხოლო მეორე მხრივ, შპს „...-ს“ დაწყებული აქვს მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, რომელ პროცესშიც მოსარჩელემ მიაღწია წარმატებას და ამის დასტურია სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, სააღსრულებო წარმოების გაგრძელების პირობებში მოსარჩელისათვის აზრი ეკარგება სასამართლო დავის პროცესში მიღწეულ წარმატებას, რადგან ფაქტობრივად სააღსრულებო პროცესის გაგრძელების და ობიექტის დემონტაჟის შემთხვევაში აღარ იარსებებს ის ობიექტი, რომლის თაობაზეც არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ერთხელ უკვე დაავალა ქ. ბათუმის მერიას სასამართლომ და რომლის ირგვლივ დავა დღესაც გრძელდება.

ამგვარი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები, როდესაც ჩათვალა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული ჰქონდა საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე. კასატორის მოსაზრებით, სახეზეა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევა სააღსრულებო საქმის/წარმოების შეჩერებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 სექტემბრის განჩინებით შპს „...-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ შპს „...-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ 2010 წლის 10 ივნისს მოსარჩელესა

და ქ. ბათუმის მერიას შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობით მიწის ნაკვეთის გადაცემის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, ზღვისპირა ბულვარის სექტორ №34-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, 7391 კვ.მ. ფართობით (საკადასტრო კოდი: ...), საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით.

ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2013 წლის 16 ოქტომბერს გამოცემულ იქნა №227 დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო შპს „...“-ის“ დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე“, რომლითაც ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში უნებართვოდ მშენებლობის წარმოების გამო შპს „...“ დაჯარიმდა 3000 (სამი ათასი) ლარით და დადგინდა, რომ უნდა მომხდარიყო შპს „...“-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში განხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

აღნიშნული დადგენილების აღსრულების მიზნით ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 1 აპრილს გამოცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი №227/13, რომლის თანახმად, შპს „...“-ის“ მიერ უნდა მოხდარიყო ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში განხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი.

2014 წლის 3 აპრილს ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა განცხადებით მიმართა დელეგირებული ფუნქციების საფუძველზე უფლებამოსილ ორგანოს – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციას, წარადგინა ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე გამოცემული 2014 წლის 1 აპრილის სააღსრულებლო ფურცელი, №227/13 მიმართვა და სააღსრულებლო ფურცლის წარმოებაში მიღება და აღსრულება მოითხოვა. კერძოდ, მოხდეს შპს „...“-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში განხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების 2014 წლის 7 აპრილის №A14027165-004/001 წერილით შპს „...“-ს“ ეცნობა წინადადება გადაწყვეტილების ნებაცყოფლობით შესრულების შესახებ. ამასთან, განემარტა, რომ „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 90¹-ე მუხლების თანახმად, გაფრთხილებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში ნებაცყოფლობით მოიყვანოს სისრულეში სააღსრულებლო ფურცლის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევა-

ში, მოხდება იძულებითი აღსრულება. თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 25 თებერვალს მიღებულ იქნა ბრძანება №03/330 „არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ“, რომლითაც შპს „...-ის“ 2014 წლის 10 თებერვლის განცხადება ქ. ბათუმში, ... №34, სექტორი №22-ში მდებარე 7391.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №...) საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-91/14) შპს „...-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 25 თებერვლის №03/330 ბრძანება „არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ“ და ქ. ბათუმის მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შპს „...-ის“ განცხადებაზე, ქ. ბათუმში, ... №34, სექტორი №22-ში მდებარე 7391.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საზოგადოებრივი ობიექტის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

2014 წლის 7 აგვისტოს შპს „...-ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმომებში არსებული სააღსრულებო საქმის (სააღსრულებლო ფურცელი №227/13) წარმოების შეჩერება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ ერთი მხრივ, აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმომებშია სააღსრულებო საქმე, რომლის მოთხოვნას წარმოადგენს შპს „...-ის“ მფლობელობაში არსებული, უნებართვოდ აშენებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი და მეორე მხრივ, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული ორგანოს უარი არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების 2014 წლის 20 აგვისტოს №A14027165-007/001 წერილით მოსარჩელეს უარი ეთქვა სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერებაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების 2014 წლის 20 აგვისტოს №A14027165-007/001 წერილით ირკვევა, რომ შპს „...-ს“ აღსრულების შეჩერებაზე ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ არ არსებობდა განსაკუთრებული შემთხვევა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა აღსრულების კონკრეტული ღონისძიების გარკვეული ვადით შეჩერება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 90¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის შეჩერების და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებას აღსრულების ეროვნული ბიურო იწყებს დამრღვევის მიერ დადგენილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემდეგ. მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ დადგენილების იძულებით აღსრულებას აღსრულების ეროვნული ბიურო იწყებს იმ შემთხვევაში, თუ ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში დამრღვევმა ნებაყოფლობით არ შეასრულა ვალდებულება, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, თუ დამრღვევი არ ემორჩილება აღსრულების ეროვნული ბიუროს მოთხოვნას, აღსრულების ეროვნული ბიურო დახმარებისათვის მიმართავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს ან/და აღსრულების პოლიციას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2013 წლის 16 ოქტომბერს გამოცემულ იქნა №227 დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო შპს „...-ს“ დაჯარიმების, უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე“, რომლითაც დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში უნებართვო მშენებლობის წარმოების გამო შპს „...“ დაჯარიმდა 3000 (სამი ათასი) ლარით და დადგინდა, შპს „...-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში განხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2014 წლის 1 აპრილს გამოცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი №227/13, რომლითაც დგინდება, რომ მოხდეს შპს „...-ის“ მიერ ქ. ბათუმში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარში განხორციელებული საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი. ასევე დადგენილია, რომ ქალაქ ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 3

აპრილის განცხადების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილებამ 2014 წლის 7 აპრილს №A14027165-004/001 წერილით მიმართა შპს „...-ს“ და აცნობა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ. შპს „...-ს“ განემარტა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და 90¹-ე მუხლების თანახმად, გაფრთხილებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში ნებაყოფლობით მოიყვანოს სისრულეში №227/13 სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება იძულებით აღსრულება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით განსაზღვრულია აღსრულების შეჩერების საფუძველები და მისი ვადები. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს განსაკუთრებულ შემთხვევაში – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2014 წლის 7 აგვისტოს შპს „...-ის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის (სააღსრულებლო ფურცელი №227/13) წარმოების შეჩერება მოითხოვა. ასევე დადგენილია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების 2014 წლის 20 აგვისტოს №A14027165-007/001 წერილით მოსარჩელეს უარი ეთქვა სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერებაზე. ამასთან, მოსარჩელეს სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველად განემარტა, რომ სააღსრულებო მოქმედების შეჩერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნორმაში მითითებული განსაკუთრებული ვითარების უშუალოდ სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას ადგილზე არსებობა, რომლის დადასტურების შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილი იქნება იმსჯელოს იძულებითი აღსრულების კონკრეტული ღონისძიების გარკვეული ვადით შეჩერების მიზანშეწონილობის თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების შეჩერების უფლებამოსილების ჩამონათვალს, მათ შორის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია აღსრულების ეროვნული ბიუ-

როს უფლებამოსილება შეაჩეროს აღსრულება განსაკუთრებულ შემთხვევაში – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით. აღნიშნული ნორმა არ ადგენს მხოლოდ ადგილზე არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, რამდენადაც მოცემული ნორმით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის განსაკუთრებული უფლებამოსილების სფეროს წარმოადგენს, რა დროსაც სააღსრულებო წარმოების შეჩერების მოთხოვნით წარდგენილი ყოველი კონკრეტული შუამდგომლობის განხილვისას სააღსრულებო საქმის წარმოების ფარგლებში უნდა შეფასდეს სააღსრულებო წარმოების მტკიცებულებები და არსებული ფაქტობრივი გარემოებები, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებებს. ამდენად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულების შეჩერების საფუძველი – განსაკუთრებული შემთხვევა გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს მოთხოვნის დროს შეჩერების რეალური და არა სავარაუდო, მოსალოდნელი განსაკუთრებული შემთხვევა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სხვაგვარი შედეგის დადგომა. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველად კასატორის მითითებას, რომ ერთი მხრივ კანონიერ ძალში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებელია მოხდეს იგივე საზოგადოებრივი ობიექტის დემონტაჟი, რამდენადაც მითითებული საფუძველი ემყარება მხოლოდ უფლების მოპოვებაზე უფლებამოსილი პირის ვარაუდს და არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში მყოფი აღსრულებას დაქვემდებარებული აქტის მოქმედების შეჩერების რეალურ – მოქმედ საფუძველს. ამდენად, აღნიშნული გარემოება დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე საკითხის განმხილველ ორგანოს – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციას არ აძლევდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თავისი საქ-

მიანობის განხორციელებისას კანონიერების პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მოცემულ განჩინებაში ასახული სამართლებრივი შეფასებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს მოცემული დავა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე საკითხის განხილვა სააპელაციო ინსტანციაში

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1111-1105(კ-კს-17)

19 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. პ-ემ 06.01.2017წ. სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის გაუქმების შესახებ 25.08.2016წ. №0406/13323 გადაწყვეტილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალიზებულად მიღებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ს. პ-ის ოჯახის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ 19.08.2016წ. გა-

დაწყვეტილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.12.2016წ. №04/90318 გადაწყვეტილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 27.10.2016წ. №208/ო ბრძანების და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 28.10.2016წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის აქტის გამოცემის დავალება ს.პ-ის ოჯახისთვის 2017 წლის 01 იანვრიდან ყოველთვიური სოციალური დახმარების სახით გასაცემელის 50 ლარის ოდენობით განსაზღვრის შესახებ. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიუღებელი სოციალური დახმარების დაკისრება 2016 წლის 19 აგვისტოდან 2017 წლის 01 იანვრამდე ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით, ს. პ-ის სასარგებლოდ, რაც ჯამში 250 ლარს შეადგენს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 11.04.2017წ. გადაწყვეტილებით ს. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 25.08.2016წ. №04-06/13323 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 19.08.2016წ. გადაწყვეტილებები, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.12.2016წ. №04/90318 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ს. პ-ეს უარი ეთქვა 25.08.2016წ. №04-06/13323 და 19.08.2016წ. გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და განაცდური სოციალური დახმარების ანაზღაურებაზე. არ დაკმაყოფილდა ს. პ-ის სარჩელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 27.10.2016წ. №208/ო ბრძანების და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 28.10.2016წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, ასევე არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, ს. პ-ის ოჯახზე 2017 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიური სოციალური დახმარების სახით გასაცემელის 50 ლარის ოდენობით განსაზღვრის შესახებ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა ს. პ-ის სასარგებლოდ მიუღებელი სოციალური დახმარება 2016 წლის აგვისტოდან 2017 წლის 1 იანვრამდე ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით, ჯამში 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 11.04.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და იმერეთის სოციალური მომსახურების სამხა-

რეო ცენტრმა.

საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს (08.09.2017წ.) ს. პ-ემ განცხადებით მიმართა სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა 150 ლარის ოდენობით მიუღებელი სოციალური დახმარების ანაზღაურების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.2017წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრები, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამავე განჩინებით დაკმაყოფილდა ს. პ-ის შუამდგომლობა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 11.04.2017წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა 150 ლარის ოდენობით მიუღებელი სოციალური დახმარების ანაზღაურების თაობაზე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.2017წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ს. პ-ის შუამდგომლობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა 150 ლარის ოდენობით მიუღებელი სოციალური დახმარების ანაზღაურების ნაწილში.

კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს გასაჩივრებულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.2017წ. განჩინების გაუქმებას და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე, ვინაიდან სსკ-ის 269-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი განიხილება იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება ან განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ სხდომაზე არ იქნა განხილული ეს საკითხი. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე უნდა ემსჯელა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და არა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმების საფუძველია აგრეთვე დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ საკითხსა და სააპელაციო საჩივრებზე ერთ პროცესუალურ დოკუმენტში მსჯელობა. სასამართლოს ცალკე უნდა ემსჯელა სადავო საკითხზე განჩინების ფორმით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდ-

გენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას უკავშირებს მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს, თუმცა გამონაკლისის სახით აღნიშნული კოდექსის 268-ე მუხლი ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას მოქმედებს გადაწყვეტილების აღსრულების განსხვავებული წესი. გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიექცევა მის კანონიერ ძალაში შესვლამდე დასაშვებია კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე მუხლით განსაზღვრული დაუყოვნებლივ აღსასრულებელი საქმეების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა, რომ განსახილველი დავის შინაარსიდან გამომდინარე, კერძოდ, ვინაიდან საკითხი ეხებოდა სოციალური შემწეობის მიღებას არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი. საკასაციო პალატა იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს ასევე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული თანხის ოდენობაზე (150 ლ.). ამასთანავე, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას (სსკ-ის 270-ე მუხ.).

საფუძველს მოკლებულია კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანაზე უფლებამოსილი იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლო და

არა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო მხარის თხოვნით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცა გადაწყვეტილება, ვინაიდან თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი განხილული არ იქნა იმ სხდომაზე, რომელზედაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, იგი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე (სსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 წინადადება). უკეთუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებით დაინტერესებული მხარე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიმართავეს შუამდგომლობით, იგი უფლებამოსილია განიხილოს აღნიშნული საკითხი. საპროცესო კანონმდებლობა არ აწესებს რაიმე აკრძალვას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. ამასთანავე, კერძო საჩივრის ავტორი ვერ უთითებს დაუყოვნებლივ აღსრულების დამატარებელი რაიმე გარემოების არსებობაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატის მიერ სააპელაციო საჩივრებსა და დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხზე ცალ-ცალკე განჩინებებით უნდა ემსჯელა და მითითებულ საკითხებზე ერთ საპროცესო დოკუმენტში მსჯელობის გამო არსებობს განჩინების გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმების საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატას არ დაურღვევია საპროცესო კანონმდებლობა მითითებულ საკითხებზე ერთ საპროცესო დოკუმენტში მსჯელობის გამო. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იმსჯელა დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხზე ზეპირი მოსმენის გარეშე და ასახა იგი ძირითად გადაწყვეტილებაში. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ სწორად განმარტა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე განჩინების გასაჩივრების წესი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. საქართველოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.2017წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოპალისგან ამოღებული თანხის განაწილების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1012(კ-19)

5 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალევა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა 2018 წლის 10 მაისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპალსუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოპალსუხისთვის ვ. გ-ის სასარგებლოდ 314 992 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის №2/23037-17 დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სპს „...-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; „K..-ს“ სპს „...-ის“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 4 800 000 ლარი; „K..-ს“ დაეკისრა სპს „...-ის“ სასარგებლოდ ყოველდღიურად 4 800 000 ლარის წლიური 7%-ის გადახდა 2014 წლის 1 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; „K..-ს“ სპს „...-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 ლარი სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით (საქმე №2/23037-17) ვ. გ-ის განცხადება (შუამდგომლობა) დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე №2/23037-17) დასახელებული კრედიტორის სპს „...-ის“ უფლებამონაცვლედ დადგენილ (ცნობილ) იქნა ვ. გ-ი და აღნიშნული განჩინების საფუძველზე კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის – ვ. გ-ის სასარგებლოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2/23037-17) აღსრულების მიზნით განისაზღვრა სააღსრულებო ფურცლის გაცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემულ იქნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებაზე, სააღსრულებო ფურცელი (№2/23037-17) კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის – ვ. გ-ის სახელზე.

2017 წლის 12 დეკემბერს ვ. გ-მა (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მოვალე – „K...-ის“ მიმართ, რომლითაც იძულებითი აღსრულების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემული №2/23037-17 ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება მოითხოვა, აღსასრულებელ მოთხოვნად მიუთითა: 4 800 000 ლარი, 5000 ლარი და 1243660,27 ლარი. კრედიტორის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობამ კი შეადგინა – 5000 ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება და №A17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ მოვალე „K...-ის“ წარმომადგენელს ვ. გ-ს ჩაბარდა 2017 წლის 18 დეკემბერს. 2017 წლის 18 დეკემბერს „K...-ის“ წარმომადგენელმა ვ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ...-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. 2017 წლის 20 დეკემბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა №A17141209-007/001 წერილით მიმართა სს „კ...-ს“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მითითებული საინკა-

სო დავალების კონტროლზე აყვანა მოითხოვა 6053660.27 ლარის ფარგლებში. სს „კ.-ს“ ლიკვიდატორის რ. ც-ის 2017 წლის 28 დეკემბრის №6გ/398 წერილით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელს №A17141209-007/002 წერილის პასუხად ეცნობა, რომ ბიუროს მიერ 20.12.2017 წელს წარდგენილ საინკასო დავალებაში №01/55-01 მითითებული გადამხდელის საბანკო ანგარიშებს ედო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „კ.-ი“ ვერ ახორციელებდა ბიუროს 20.12.2017 წლის №A17141209-007/001 წერილით წარდგენილი საინკასო დავალების №01/55-01 შესრულებას.

მოსარჩელის განმარტებით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განახორციელა აღსრულება და ამოიღო ნაწილობრივ თანხა, თუმცა მოვალისაგან ამოღებული თანხის განაწილებისას განსაზღვრა აღსრულების საფასურის ოდენობა და კრედიტორზე გადასაცემი თანხიდან ჩამოჭრა 314 992 ლარი. 2018 წლის 9 მარტს ვ. გ-მა განცხადებით (რეგისტრაციის №12939) მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს, რომელშიც მიუთითა, რომ მოვალემ ნებაყოფლობით შეასრულა აღსრულების მოთხოვნა და შესაბამისად, მას უნდა დაკისრებოდა მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილი – 5000 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. გ-მა მიუთითა, რომ აღსრულების საფასურის ოდენობად უნდა განსაზღვრულიყო კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური – 5000 ლარი, ნაცვლად 314 992 ლარისა. ამასთან, მიუთითა, რადგან ამოღებული თანხა არ იყო საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მოითხოვა აღუსრულებელ ნაწილში სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2018 წლის 10 აპრილის №24335 წერილით ვ. გ-ს, 2018 წლის 9 მარტის №12939 განცხადების პასუხად განემარტა, რომ აღმასრულებლის მიერ თანხის განაწილება განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ვინაიდან, მართალია, მოვალემ გამოთქვა მზადყოფნა განხორციელებულიყო მისი ანგარიშიდან საინკასო დავალების საფუძველზე ამოსაღები თანხის სრულად ჩამოჭრა, თუმცა თანხის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვა მოხდა მოვალისათვის სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. მოსარჩელის მოსაზრებით, სააღსრულებო წარმოება განხორციელდა ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ მოვალის განცხა-

დების საფუძველზე, რის გამოც აღსასრულებელი თანხიდან აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაფარვა არასწორი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით ვ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დაევალა მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოსარჩელის ვ. გ-ის სასარგებლოდ 314 991,35 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლო შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამაც.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემას. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სარჩელის საგანი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი მოქმედების განხორციელების ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის კანონიერება, რაც ზიანს აყენებს პირის ინტერესს და შესაბამისად, მოთხოვნილ იქნეს ამ მოქმედების განხორციელება ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება. „აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან

პირდაპირ სასამართლოში – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იძულებითი აღსრულების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც ვალდებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად მოახდინოს აღსრულება. სააღსრულებო ორგანოების მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს სააღსრულებო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან. ამასთან, თუ სააღსრულებო წარმოების მხარე არ ეთანხმება წარმოების დროს განხორციელებულ რაიმე მოქმედებას, მას უფლება აქვს სადავოდ გახადოს ეს მოქმედება (უმოქმედება) და მოითხოვოს მისი უკანონოდ ცნობა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალე „K.-ისაგან“ ამოღებული თანხის განაწილებას და უთითებს, რომ აღსრულების საფასურის ოდენობად უნდა განსაზღვრულიყო კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური 5000 ლარი, ნაცვლად 314 991,35 ლარისა, ვინაიდან მოვალემ შეტყობინების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით აცნობა აღსრულების ბიუროს, რომ თანახმა იყო ნებაყოფლობით განეხორციელებინა აღსრულება და მომხდარიყო გადახდა ინკასოს საფუძველზე მის ანგარიშზე არსებული თანხიდან. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, განსახილველი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, მოცემულ შემთხვევაში მოვალის მხრიდან ადგილი ჰქონდა აღსრულების მოთხოვნის ნებაყოფლობით თუ იძულებით აღსრულებას.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტებისა და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერ-

თობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 12 დეკემბერს ვ. გ-მა (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მოვალე „K.-ის“ მიმართ, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემული №2/23037-17 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულება მოითხოვა, აღსასრულებელ მოთხოვნად მიუთითა: 4 800 000 ლარი, 5000 ლარი და 1243660,27 ლარი. კრედიტორის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობამ კი შეადგინა 5000 ლარი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ ვ. გ-ის იძულებითი აღსრულების თაობაზე განცხადება მოვალე „K.-ის“ მიმართ და საქმეს მიენიჭა ნომერი №17141209. პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამავნე ნორმის მე-7 პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მოვალეს ეცნობება: ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში – აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესახებ. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2017 წლის 13 დეკემბერს, №2/23037-17 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, მოვალე „K.-ის“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა №A17141209-005/001 წინადადება გადწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მოვალეს მიეცა წინადადება, შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, ნებაყოფლობით გადაეხადა დაკისრებული თანხა. აქვე განემარტა, რომ თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოვალეს გადასახდელი ექნებოდა მხოლოდ დაკისრებული თანხა და კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური – მოთხოვნის 2% (არანაკლებ 50 ლარისა). მოვალე გაფრთხილებულ იქნა ასევე, რომ ფულადი ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის

შემთხვევაში, განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები. განემარტა ასევე უფლება-მოვალეობები და ეცნობა, რომ აღსრულების ღონისძიებების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობებოდა. დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული №A17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ ჩაპბარდა მოვალე „K..-ის“ წარმომადგენელს გ. გ-ეს 2017 წლის 18 დეკემბერს. 2017 წლის 18 დეკემბერს „K..-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ..-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. 2017 წლის 20 დეკემბერს მოვალის ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე სს „კ..-ში“ წარდგენილი იქნა საინკასო დავალება მოთხოვნის ფარგლებში, რომლის მიღებაც ბანკმა დაადასტურა და მიუთითა, რომ ანგარიშებს მოეხსნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ყადაღა, იგი ჩანაცვლდა საინკასო დავალებით და აყვანილი იქნა კონტროლზე, თუმცა ვერ შესრულდა, რამდენადაც სს „კ..-ის“ 2017 წლის 28 დეკემბრის წერილით დგინდებოდა მოვალის „K..-ის“ (...) საბანკო ანგარიშებზე სს „კ..-ში“ გავრცელებული იყო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომლითაც პროკურატურას ეთხოვა, წერილობით ეცნობებინა პოზიცია აღსრულების გაგრძელების მიზნაშენილობის თაობაზე მოვალის ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშების (ანგარიშებზე განთავსებული თანხის) მიმართ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 10 იანვრის №13/2177 წერილით, სააღსრულებო წარმოების გაგრძელების მიზნაშენილობასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, მოთხოვნილ იქნა დეტალური ინფორმაცია წერილში აღნიშნული სააღსრულებო წარმოების ირგვლივ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები. აღნიშნულის წარდგენის შემდეგ კი, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 22 იანვრის №13/4728 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ აღსრულების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემა სცილდებოდა პროკურატურის კომპეტენციას. საქმეში წარმოდგენილი ამოღებული თანხის განკარგვის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვით დადას-

ტურებულად იქნა მიჩნეული, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს – ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასური – 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ ეთანხმება მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში მოვალის „K...-ის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა აღსრულების მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას, ვინაიდან თანხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვა მოხდა, მოვალისათვის სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. იმავე ნორმის მე-5 პუნქტის თანახმად, საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მე-6 პუნქტის შესაბამისად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს, გარდა ამ მუხლის 6¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის“ პირველი მუხლის თანახმად, აღ-

სრულების საფასური, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%, გარდა ამ მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე აღსრულების საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადანყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.

სააპელაციო პალატის მისაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად განმარტა, რომ მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიცემული ვადის არსი მდგომარეობს მხარეებისათვის იძულების ღონისძიებებით გამოწვეული სიძნელეების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოგვაში. სწორედ ამის გამო აცნობებს ადმინისტრაციული ორგანო მოვალეს, რომ თანხის ნებით გადახდის შემთხვევაში, მოვალეს დაეკისრება აღსრულების საფასურის შეღავათიანი განაკვეთი. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოვალის „K...-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ 2017 წლის 18 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა სს „კ...-ში“ არსებული მოვალის ანგარიშიდან საინკასო დავალების საფუძველზე, ამოსაღები თანხის სრულად ჩამოჭრა გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ამოღებული თანხის განკარგვის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვით დასტურდება, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. განსა-

ხილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მოვალემ შეტყობინების მიღებიდან დადგენილ 7 დღის ვადაში აცნობა წერილობით აღსრულების ბიუროს, რომ თანახმა იყო ნებაყოფლობით განეხორციელებინა აღსრულება და მიუთითა, რომ გადახდა მომხდარიყო ინკასოს საფუძველზე მის ანგარიშზე არსებული თანხიდან, რაც აღნიშნულ ვადაში ვერ განხორციელდა. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, განსახილველი დავის გადანყვევებისთვის მნიშვნელოვანია აღსრულების მოთხოვნის 7-დღიან ვადაში შეუსრულებლობის მიზეზის გარკვევა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოვალის „K.-ის“ ანგარიშებს სს „კ.-ში“ ედო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე, რის გამოც ბანკი ვერ ახორციელებდა ბიუროს მიერ წარდგენილი საინკასო დავალების შესრულებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებაამდე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროა (მისი ტერიტორიული ორგანო) უფლებამოსილი მოითხოვოს საქართველოს მთავარი პროკურატურის პოზიცია აღსრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე, რისი შესაძლებლობაც მოვალეს არ გააჩნია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება მასზედ, რომ ვინაიდან მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა თავისთავად არ ნიშნავდა მოთხოვნის შესრულებას, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მოვალის მიერ მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას. საქმის მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო პალატაც მიიჩნევს, რომ მოვალის მხრიდან განსაზღვრულ 7-დღიან ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა, დამდგარი შედეგის – აღსრულებული მოთხოვნის გათვალისწინებით, წარმოადგენდა მოვალის

მხრიდან შესრულებულ ყველა იმ ღონისძიებას, რისი შესაძლებლობაც მას გააჩნდა. ამდენად, მოვალე მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვა გზით განეხორციელებინა საალსრულებო მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სამართლის ნორმებისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი საფუძველიანია. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მართებულად მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასური 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. მოსარჩელე კი სარჩელით ითხოვს მოპასუხისთვის 314 992 ლარის დაკისრებას. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იმ თანხის – 314 991,35 ლარის გადახდა, რაც გადაერიცხა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე აღსრულების საფასურის სახით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისთვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ არასწორი განმარტება მისცა კანონს, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არასწორად განმარტა „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლი და „საალსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ იუსტიციის მინისტრის №144 ბრძანების 2.2 მუხლი, რომლის თანახმად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობაა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების შინაარსი ცხადყოფს, რომ აღსრულების საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურების საფასური, რაც მცირდება იმის გამო, რომ მოვალის მი-

ერ აღსასრულებელი მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულება გამორიცხავს შემდგომ სააღსრულებო მოქმედებებს, რაც იმავდროულად გულისხმობს დროის და სხვა მატერიალური რესურსის დაზოგვას.

კასატორის განმარტებით უდავოა, რომ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მოვალის მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება საინკასო დავალების საფუძველზე საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის თაობაზე. ასევე, უდავოა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაიგზავნა შესაბამისი საინკასო დავალება მოვალის განცხადებაში მითითებულ საბანკო დანესებულებაში. თუმცა, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაგზავნილი საინკასო დავალების საფუძველზე ვერ განხორციელდა მოვალის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის რეგისტრირებული ყადაღის გამო. მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვისა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის თაობაზე განცხადების წარმოდგენისას მოვალისათვის უკვე ცნობილი იყო მის მიერ გამოხატული ნების ფაქტობრივი შესრულების შეუძლებლობა ანგარიშზე არსებული ყადაღის გამო.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოვალის მიერ გამოხატული ნების აღსასრულებელი მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში შესრულებულად მიჩნევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად არ მომხდარა მოვალის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა და კრედიტორის მოთხოვნის აღსრულების მიზნით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვა, მითითებული გარემოება მოგვცემს საფუძველს დასკვნისთვის, რომ მოთხოვნის შესრულებაზე მოვალის მიერ გამოხატული ნების გამო აღსასრულებელი მოთხოვნა აღსრულებულად და შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება დასრულებულად ჩაითვალოს. აღნიშნული ეწინააღმდეგება ვალდებულების შესრულების, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებსა და პრინციპებს, ასევე სააღსრულებო წარმოების მიზნებისთვის მოთხოვნის აღსრულების რეგულაციას.

კასატორის განმარტებით, აღსასრულებელი მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებაზე ვრცელდება ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის ზოგადი წესები, კერძოდ, ვალდებულება შესრულებულად ითვლება ვალდებულების ჯეროვნად და სრულად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულების შემთხვევაში. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში მოთხოვნის შესრულების წესი კანონისმიერად არის დადგენილი, კერძოდ, ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებას მაშინ აქვს ადგილი, თუკი აღსასრულებელი

მოთხოვნის/თანხის გადახდა ხდება სრულად, კანონით დადგენილი 7-დღიან ვადაში, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

კასატორის მოსაზრებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლომ არასწორად მიიჩნია იმ მოცემულობად, რაც მოვალის მიერ ვალდებულების არადროული შესრულების ობიექტურობას და მოვალის ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოების არსებობას ადასტურებს. კანონმდებელმა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების – ყადაღის ქვეშ მყოფი მოვალის აქტივი მიიჩნია იმგვარ აქტივად, რომელზეც იძულებითი აღსრულების ღონისძიების განხორციელება კი დაუშვებელია, არა თუ მოვალის მიერ მისი თავისუფალი განკარგვა. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების კანონით დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაგრძელდა მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა, რასაც ვერ გააბათილებს მოვალის სხვა აქტივის არარსებობა, ანუ აღსრულება კი არ შეწყდა მოვალის მიერ გამოხატული ნების გამო, არამედ გაგრძელდა საერთო წესით და მას შემდეგ, რაც მოვალის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრები გათავისუფლდა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღისგან, მასზე განხორციელდა იძულებითი გადახდევინების მიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კასატორის მოსაზრებით, ნიშანდობლივია, რომ მითითებული მუხლი წარმოადგენს იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებლის უფლებამოსილების დამდგენ რეგულაციას, რომელიც იძლევა ჩამონათვალს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებებისა. კონკრეტულ საქმეზე აღსრულება განხორციელდა ერთ-ერთი იძულებითი სააღსრულებო მოქმედების – საინკასო დავალების გამოყენების გზით და არა მოვალის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებით. ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ მოვალის მიერ წარმოდგენილი განცხადებით მითითებული აქტივი არ იყო აღსრულებაუნარიანი, შემდგომში იძულებითი სააღსრულებო მოქმედების ((საინკასო დავალება) საფუძველზე ამონაგები თანხა არ იყო საკმარისი. აღსასრულებელი ამონაგები თანხის განაწილება და მასზე სააღსრულებო საფასურის დარიცხვა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით, რაც კასატორის მოსაზრებით გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების ფორმალურ და ფაქტობრივი საფუძველების არსებობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კასაციის მიზეზები არ არის წარმოდგენილი ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. თუმცა, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნას, რადგან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა, არასწორად განმარტა იგი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია, რამდენადაც მითითებული მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, „საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები“ (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

განსახილველ შემთხვევაში, ვ. გ-ის მიერ აღძრული საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელი ისეთი მოქმედების (აღსრულების საფასურის – 314 992 ლარის დაბრუნების) განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სარჩელის საგანი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი მოქმედების განხორციელების ან ამ მოქმედების განხორციელებაზე უარის კანონიერება, რაც ზიანს აყენებს პირის ინტერესს და შესაბამისად, მოთხოვნილ იქნეს

ამ მოქმედების განხორციელება ან მოქმედების განხორციელები-საგან თავის შეკავება. სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები რეგლამენტირებულია „სააღსრულებო წარმოებათა შე-სახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალის-წინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებით აღ-სრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდი-ული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – აღსრუ-ლების ეროვნული ბიურო). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვე-პუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაა-საჩივრონ აღმასრულებლის ქმედება აღსრულების ეროვნული ბი-უროს თავმჯდომარესთან – ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში – ასე-თი ქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იძულე-ბითი აღსრულების განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც ვალდებულია „სა-აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად მოახდინოს აღსრუ-ლება. სააღსრულებო ორგანოების მოქმედება უნდა გამომდინა-რობდეს სააღსრულებო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან. ამასთან, თუ სააღსრულებო წარმოების მხარე არ ეთანხმება წარმოების დროს განხორციელებულ რაიმე მოქმედე-ბას, მას უფლება აქვს სადავოდ გახადოს ეს მოქმედება (უმოქმე-დება) და მოითხოვოს მისი უკანონოდ ცნობა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან მოვალე – „K...-ისაგან“ ამოღებული თანხის განაწილებას და უთითებს, რომ აღსრულების საფასურის ოდენობად უნდა განსაზღვრულიყო კრედიტორის მი-ერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური – 5000 ლარი, ნაც-ვლად 314 991,35 ლარისა, ვინაიდან მოვალემ შეტყობინების მიღე-ბიდან 7 დღის ვადაში წერილობით აცნობა აღსრულების ბიუროს, რომ თანახმა იყო ნებაყოფლობით განეხორციელებინა აღსრულე-ბა და მომხდარიყო გადახდა საინკასო დავალების საფუძველზე მის ანგარიშზე არსებული თანხიდან. ამგვარად, განსახილველ შემ-თხვევაში სადავოა ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ვადაში მოვალის მიერ ნების გამოხატვის შედეგად, საინკასო და-ვალების საფუძველზე ორი თვის გასვლის შემდეგ ვალდებულების შესრულება, რამდენად წარმოადგენს ვალდებულების ნებაყოფ-

ლობით შესრულებას და უნდა განხორციელდეს თუ არა შესრულებული ვალდებულებიდან აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაფარვა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასაციის მიზეზებს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილის იმ დასაბუთების მიმართ, რომლის თანახმად, „მოვალის მხრიდან განსაზღვრულ 7-დღიან ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და საინკასო დავალების გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა, დამდგარი შედეგის – აღსრულებული მოთხოვნის გათვალისწინებით, წარმოადგენდა მოვალის მხრიდან შესრულებულ ყველა იმ ღონისძიებას, რისი შესაძლებლობაც მას გააჩნდა. ამდენად, მოვალე მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვა გზით განეხორციელებინა სააღსრულებო მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულება“. აღნიშნული განმარტება ეწინააღმდეგება საკითხის მარეგულირებელი ნორმების ანალიზის საფუძველზე დასკვნას ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება კერძო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მოვალეს ეცნობება: ინფორმირებიდან 7 დღის ვადა-

ში მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში – აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესახებ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით დადგენილია აღსრულების საფასური. მითითებული მუხლის პირველი პუნქტით აღსრულების საფასური (შემდგომ – საფასური) არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მე-6 პუნქტის შესაბამისად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე გადასახდელი საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღსასრულებელი მოთხოვნის 7%-ს, გარდა ამ მუხლის 6' პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, საფასურის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებით დამტკიცებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის“ პირველი მუხლის თანახმად, აღსრულების საფასური, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა საფასური არის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), რომელიც ირიცხება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე აღსრულების საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. ხოლო მე-2 პუნქტის შესა-

ბამისად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე გადასახდელი საფასურის ოდენობა აღსასრულებელი მოთხოვნის 7%, გარდა ამ მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე აღსრულების საფასურის ოდენობა არ უნდა იყოს 50 ლარზე ნაკლები, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი საფასურისა. ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საფასურის სახით გადახდილი თანხა კრედიტორს უბრუნდება ამოღებული მოთხოვნის პროპორციულად.

საქმეზე დადგენილია, რომ 2017 წლის 12 დეკემბერს, ვ. გ-მა (კრედიტორმა) განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მოვალე – „K..-ის“ მიმართ, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს გაცემული №2/23037-17 სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულება მოითხოვა, აღსასრულებელ მოთხოვნად მიუთითა: 4 800 000 ლარი, 5000 ლარი და 1243660,27 ლარი. კრედიტორის მიერ გადახდილი საფასურის ოდენობამ კი შეადგინა – 5000 ლარი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ – ვ. გ-ის იძულებითი აღსრულების თაობაზე განცხადება, მოვალე – „K..-ის“ მიმართ და საქმეს მიენიჭა ნომერი – №17141209. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2017 წლის 13 დეკემბერს №2/23037-17 სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, მოვალე – „K..-ს“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა №A17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლის თანახმად, მოვალეს მიეცა წინადადება, შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, ნებაყოფლობით გადაეხადა დაკისრებული თანხა. აქვე განემარტა, რომ თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოვალეს გადასახდელი ექნებოდა მხოლოდ დაკისრებული თანხა და კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური – მოთხოვნის 2% (არანაკლებ 50 ლარისა). მოვალე გაფრთხილებულ იქნა ასევე, რომ ფულადი ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები. განემარტა ასევე უფლება-მოვალეობები და ეცნობა, რომ აღსრუ-

ლების ღონისძიებების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობებოდა. ზემოაღნიშნული №A17141209-005/001 წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ 2017 წლის 18 დეკემბერს ჩაბარდა მოვალე „K...-ის“ წარმომადგენელს გ. გ-ს. სადავო არ არის, რომ 2017 წლის 18 დეკემბერს „K...-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ...-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. 2017 წლის 20 დეკემბერს, მოვალის ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე სს „კ...-ში“ წარდგენილ იქნა საინკასო დავალება მოთხოვნის ფარგლებში, რომლის მიღებაც ბანკმა დაადასტურა და მიუთითა, რომ ანგარიშებს მოეხსნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ყადაღა, იგი ჩანაცვლდა საინკასო დავალებით და აყვანილ იქნა კონტროლზე, თუმცა ვერ შესრულდა, რამდენადაც სს „კ...-ის“ 2017 წლის 28 დეკემბრის წერილით დგინდებოდა, რომ მოვალის – „K...-ის“ (...) საბანკო ანგარიშებზე სს „კ...-ში“ დადებული იყო ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეა კოლევგის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომლითაც პროკურატურას ეთხოვა, წერილობით ეცნობებინა პოზიცია აღსრულების გაგრძელების მიზნაშეწონილობის თაობაზე მოვალის ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშების (ანგარიშებზე განთავსებული თანხის) მიმართ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 10 იანვრის №13/2177 წერილით, სააღსრულებო წარმოების გაგრძელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის პოზიციის ჩამოყალიბების მიზნით, მოთხოვნილ იქნა დეტალური ინფორმაცია წერილში აღნიშნული სააღსრულებო წარმოების ირგვლივ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ასლები. აღნიშნულის წარდგენის შემდეგ კი, საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 22 იანვრის №13/4728 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ აღსრულების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემა სცილდებოდა პროკურატურის კომპეტენციას.

ამოღებული თანხის განკარგვის შესახებ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართვით დასტურდება, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს – ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლა-

რი, ხოლო აღსრულების საფასური – 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. ზემოაღნიშნულის გამო კასატორი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოვალის – „K...-ის“ მხრიდან ადგილი არ ჰქონდა აღსრულების მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას, ვინაიდან თანხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩარიცხვა მოხდა, მოვალისათვის სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებისთვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რაც სადავო არ არის. საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით სადავო ასევე არ არის, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ მოთხოვნის აღსრულებული ნაწილიდან სააღსრულებო საფასურის დაფართოვით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად მისაღები თანხა შემცირდა სადავო თანხის ოდენობით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია აღსრულების მოთხოვნის 7-დღიან ვადაში შეუსრულებლობის მიზეზის გარკვევა, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების ჩაბარებისთანავე 2017 წლის 18 დეკემბერს მოვალემ – „K...-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მიუთითა, რომ დაკისრებული თანხის ჩამოჭრა მომხდარიყო სრულად, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, საინკასო დავალებით სს „კ...-ში“ არსებული კომპანიის ანგარიშიდან. მართებულია კასატორის მოსაზრება, რომ მხოლოდ მოვალის მიერ გამოხატული ნება ყველა შემთხვევაში ვერ ჩაითვლება აღსასრულებელი მოთხოვნის კანონით დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით შესრულებად, რადგან ფორმალურად აღნიშნულით აღსასრულებელი მოთხოვნა ჩაითვლება აღსრულებულად და სააღსრულებო წარმოება დასრულებულად, რაც ეწინააღმდეგება სააღსრულებო წარმოების მიზნებისათვის მოთხოვნის რეალურად აღსრულებულად მიჩნევის რეგულაციას. ამავე დროს, მოვალისათვის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიცემული ვადის არსი მდგომარეობს მხარეებისათვის იძულების ღონისძიებებით გამოწვეული სიძნელეების აცილებაში, ადმინისტრაციული და სხვა რესურსების დაზოგვაში. სწორედ ამის გამო ხდება მოვალის ინფორმირება თანხის ნებაყოფლობითი გადახდის შედეგების შესახებ, რაც გამოიხატება აღსრულების საფასურის შეღავათიანი განაკვეთით – მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის დაკისრებაში. განსა-

ხილველ შემთხვევაში მოთხოვნის ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ დადგენილ ვადაში გამოხატული ნების შესრულების დაყოვნება გამონვეულია სს „კ...-ში“ მოვალის ანგარიშზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინების საფუძველზე დადებული ყადაღით, რის გამოც ბანკი ვერ ახორციელებდა ბიუროს მიერ წარდგენილი საინკასო დავალების შესრულებას. თუმცა საგულისხმოა, რომ სწორედ 2017 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი საინკასო დავალება შესრულდა 2018 წლის 2 მარტს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლში განერილია აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი, აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 2020 წლის 5 მარტს გამართულ სხდომაზე კასატორმა განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში 2017 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი საინკასო დავალება არ წარმოადგენდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებას და იგი გაიცა მოვალის მიერ გამოხატული ნების – მოთხოვნის ნებაყოფლობით აღსრულების უზრუნველსაყოფად. საგულისხმოა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადანყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. მხარეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი – აღსრულების შეჩერება და მისი ვადები, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს აღსრულების შეჩერების საფუძველებსა და ვადებს. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებაამდე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩე-

რებს პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს პოზიტიური ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ეროვნულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული საკუთრების უფლების (რომელიც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს აღსრულებად ვალს) დასაცავად განხორციელებულ კონკრეტული ღონისძიების გამოხატულებას. აღნიშნული ქმნის გარანტიას, რომ ერთი სახელმწიფო ორგანოს – პროკურატურის მოქმედებამ არ გამოიწვიოს სხვა სახელმწიფო ორგანოს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შეფერხება, რომელსაც შედეგად მოსდევს მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა. პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში განმარტა, რომ როდესაც საქმის გარემოებები ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულებები შესაძლოა უფრო ლიმიტირებული იყოს, ვიდრე იმ საქმეებში, სადაც მომჩივანი დგას საკუთრების დაკარგვის წინაშე სახელმწიფოს მხრიდან სახიფათო სიტუაციებში გამორჩენილი უყურადღებობის გამო (კოტოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kotov v. Russia), No. 54522/00, 03.04.2012, 111-ე პარაგრაფი). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლი უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“ (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03). მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამომუშავებულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს (ამბრუსი იტალიის წინააღმდეგ (Ambruosi v. Italy), No. 31227/96, 19.10.00, მე-20 პარაგრაფი). „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირს, რომელსაც ის გააჩნია, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში...“ (კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecky v. Slovakia), No. 44912/98, 28.9.04 (დიდი პალატა), 52-ე პარაგრაფი). ასევე, სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებე-

ლია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიდრე უბრალო იმედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს“. (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი.).

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს გააჩნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების, სააღსრულებო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით აღსრულების შედეგად საკუთრების (აღსრულებადი ვალის) დაბრუნების ლეგიტიმური მოლოდინი. თუმცა გამოვლინდა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებამდე (2017 წლის 20 დეკემბრის საინკასო დავალების წარდგენამდე) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ამავე ქონებას – 2017 წელს 20 დეკემბერს წარდგენილ №01/55-01 საინკასო დავალებაში მითითებული გადამხდელის საბანკო ანგარიშებს სასამართლომ 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინებით ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. ამგვარად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იმ ეტაპზე, რომელზეც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება – ნებაყოფლობითი აღსრულების ეტაპზე, არსებობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ამ ქონებაზე აღსრულების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. აღსრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე მოვალის საბანკო ანგარიშების (ანგარიშებზე განთავსებული თანხის) მიმართ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წერილის პასუხად საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 22 იანვრის №13/4728 წერილით აღმასრულებელს ეცნობა, რომ აღსრულების გაგრძელებაზე თანხმობის გაცემა სცილდებოდა პროკურატურის კომპეტენციას. თუმცა მოგვიანებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 1 მარტის განჩინებით პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 მაისის №12/3630 განჩინებით დადებული ყადაღა – 2017 წელს 20 დეკემბერს წარდგენილ საინკასო დავალებაში №01/55-01 მითითებული გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე, რაც წარმოადგენდა ნებაყოფლობითი აღსრულების ეტაპზე შეჩერებული სააღსრულებო წარმოე-

ბის განახლებისა და გაცემული საინკასო დავალების იმავე ეტაპიდან შესრულების საფუძველს. აღსანიშნავია ასევე, რომ 2017 წლის 20 დეკემბერს წარდგენილი №01/55-01 საინკასო დავალების შესრულება სხვა რაიმე საფუძველით არ შეყოვნებულა და აღნიშნული საინკასო დავალების საფუძველზე 2018 წლის 2 მარტს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მასზედ, რომ, ვინაიდან მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ ნების გამოხატვა და ინკასოს გამოყენებით საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის თაობაზე განცხადების წარდგენა თავისთავად არ ნიშნავდა მოთხოვნის შესრულებას, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მოვალის მიერ მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განუხორციელებლობამ – პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია მოსარჩელის საკუთრების უფლების დარღვევა, რაც გამოიხატა აღსრულებადი ვალის შემცირებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. გ-ის სარჩელი საფუძველიანია. ამასთან, პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ 2018 წლის 2 მარტს, საინკასო დავალების საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე ჩაირიცხა 4 872 406 ლარი. მითითებული თანხიდან კრედიტორს – ვ. გ-ს გადაერიცხა 4 557 414,65 ლარი, ხოლო აღსრულების საფასური – 314 991,35 ლარი მიექცა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკუთრებაში. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის 314 992 ლარის დაკისრებას. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე აღსრულების საფასურის სახით გადარიცხული თანხის – 314 991,35 ლარის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო

და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელზე დამდგარი საბოლოო შედეგის გათვალისწინებით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი 100 (ასი) ლარის გადახდა ვ. გ-ის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 16 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. დაევალოს სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ვ. გ-ის სასარგებლოდ 314 991,35 ლარის გადახდა;
5. სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეკისროს ვ. გ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებით
სასამართლოში აღძრული დავის იდენტიფიკაციის
შემოწმება**

**ბანჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-523-523(2კ-18)

24 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, მი-
წის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. გ-ამ 10.03.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების:
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და თბილისის სააღსრულებ-
ო ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ აღსრულების
ეროვნული ბიუროსათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტის გამოცემის დავალება თბილისის სააღსრულებო ბიუროს არქი-
ვიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილების საფუძველზე გა-
ცემულ №3/3220-07 სააღსრულებო ფურცელზე გახსნილი და დამ-
თავრებულად მიჩნეული №01/21-1925 სააღსრულებო საქმის გა-
მოთხოვის, აღნიშნული სააღსრულებო საქმის წარმოების დასრუ-
ლებულად მიჩნევის გაუქმებისა და სააღსრულებო წარმოების გა-
ნახლების შესახებ, აგრეთვე მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სა-
სარგებლოდ 200 000 აშშ დოლარის გადახდის დავალება მიყენებუ-
ლი ზიანის ანაზღაურების სახით იმ ფაქტობრივად დამდგარი ქო-
ნებრივი დანაკლისისა და მიუღებელი შემოსავლისათვის, რომელ-
საც მოსარჩელე მიიღებდა მათ მიერ ვალდებულების ჯეროვნად
შესრულების პირობებში, აგრეთვე 50 000 აშშ დოლარის ოდენო-
ბით მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის
26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილებით, ქალაქ თბილისის მერს
ეთხოვა შუამდგომლობა აღედრა საქართველოს პრეზიდენტის წი-
ნაშე ...ო №... ..ისა და ...ის ქუჩის №8 საცხოვრებელ სახლს შორის

არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოქალაქე ა. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვის შესახებ, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის მიზნით. 17.10.2003წ. აღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა სახელმწიფოს სახელზე საკუთრების უფლებით, რეგისტრაციის საფუძველი გახდა ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003წ. №სახ-481 წერილი და ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 06.06.2003წ. მიწის ნაკვეთის გეგმა. საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003 წ. №273 განკარგულებით დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობა და შეეძინა ...ის ქუჩა №38/6, №... ...ისა და ...ის ქუჩა №8 საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შეძენის უფლება მიენიჭა. ა. გ-ამ საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. განკარგულების საფუძველზე 20.02.2004წ. „...ში“ შეიტანა მიწის ნაკვეთის ღირებულება 2244,50 ლარი, რაც ჩაირიცხა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში №34020008 ანგარიშზე.

ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი გასულ წლებში მერიის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ამასთან, დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად ქალაქ თბილისის მთავრობამ დაადგინა, რომ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (მათ შორის, ა. გ-ას), რომლებსაც ქალაქ თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრების ან სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ საჯარო რეესტრში და რომელთა ნაწილში არ იყო გაუქმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, სათანადო ხელშეკრულებები უნდა გაფორმებოდათ 2007 წლის პირველ დეკემბრამდე, იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენდნენ: ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნას; ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრებს; გ) ქ. თბილისის საკრებულოს 22.01.2007წ. №1-7 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვითარს. ამავე დადგენილების მე-6 პუნქტის თანახმად დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების 2007 წლის 1 დეკემბრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში, რომლებიც არ შეასრულებენ მათ. მე-7 პუნქტის თანახმად, წინამდებარე დადგენილებაში მითითებული ადმინისტრაცი-

ციულ სამართლებრივი აქტების გაუქმების შედეგად დაინტერესებულ მხარეთათვის მიყენებული ზიანი აუნაზღაურებოდა დამატებითი წარმოების შედეგად მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. მე-8 პუნქტით დადგინდა დადგენილების დაუყოვნებლივი აღსრულება.

ა. გ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების თბილისის მერიის, თბილისის მერიის ადმინისტრაციის, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის, თბილისის მერიის მინის მართვისა და განკარგვის კომისიის, თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების ბათილად ცნობა, თბილისის მერიისათვის მინის გადაცემის ხელშეკრულების მოსარჩელესთან გაფორმების დავალება და მოპასუხეებისათვის სოლიდარულად ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადანყვეტილებით ა. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე დადგენილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ა. გ-ას მიმართ, თბილისის მთავრობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ა. გ-ას მიმართ თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში №6 ...ო ...ასა და ...ის ქ. №8-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ. მინის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 03.04.2008წ. დადგენილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. კერძოდ, დადგენილების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ქ. თბილისის პრემიერისა და ქ. თბილისის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილებით) გათვალისწინებულ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება მინის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარ-

გებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრებით სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რომელთა ნაწილიც არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გაუფორმდებოდათ სათანადო ხელშეკრულებები ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, 2009 წლის იანვრამდე შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში, მათ უნდა წარედგინათ: ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა; ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები; გ) ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროს მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი. დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განკარგული უძრავი ქონების სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება, შემდეგ ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფის მიზნით“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილებაზე 18.06.2008წ. გაცა სააღსრულებო ფურცელი. ა. გ-ამ 01.08.2008წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 18.06.2008წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის (საქმე №3/3220-07) აღსრულება. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 11.08.2008წ. სააღსრულებო ფურცლის ნებყოფლობით აღსრულების შესახებ წინადადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 28.11.2008წ. კვლავ მიმართა წინადადებით თბილისის მერიას და მოსთხოვა დაუყონებლივ წერილობით ეცნობებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 08.01.2009წ. №06/59265-2 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილება აღსრულდა ქ. თბი-

ლისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების გამოცემით, კერძოდ, აღნიშნული დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში, რომლის სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე დადგენილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „5. გ) წარმოადგინონ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, მინის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი; 6. ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურმა: უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განკარგული უძრავი ქონების სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება, შემდგომში ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების დადების უზრუნველყოფის მიზნით; 7. ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007 წ. №18.19.621 დადგენილებაში მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების შედეგად დაინტერესებული მხარეთათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდეს დამატებითი წარმოების შედეგად მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრის შემდეგ“. ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებას დამატა მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი: „ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების 2009 წლის 1 იანვრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში, რომლებიც არ შეასრულებენ მათ“.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 22.01.2009წ. მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. სასამართლო გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით. განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლოს განემარტა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი გულისხმობდა თუ არა მოპასუხის მხრიდან კონკრეტული აქტის გამოცემას სადავო მინის ნაკვეთის ა. გ-ასათვის გადაცემის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.01.2009წ. განჩინებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს უარი ეთქვა 07.04.2008წ. გადაწყვეტილების განმარტებაზე იმ საფუძველით, რომ სახეზე არ იყო გადაწყვეტილების ბუნდოვანება.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერიამ მალულად მოახდინა 03.04.2008წ. დადგენილების მიღება, ადმინისტრაციული

წარმოების შესახებ შეტყობინება მას არ მიუღია, არ მიეცა მოსაზრებებისა და პოზიციების წარდგენის შესაძლებლობა. 07.04.08წ. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთ თვეში რომ გამოცემულიყო დადგენილება ის ჩაითვლებოდა სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველად. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არავითარი აქტი სადავო საკითხზე არ გამოცემულა, სააღსრულებო ბიურომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებულად ჩათვალა 03.04.08წ. თბილისის მერიის დადგენილების მიღება, რომელიც საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილების მიღებამდე სამი დღით ადრე არის მიღებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.04.2017წ. გადაწყვეტილებით ა. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები, სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე, 26-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს სააღსრულებო ფურცლით და არ გასცდეს მის ფარგლებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ბიუროს მიერ ქ. თბილისის მერიას მიეცა წინადადება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.06.2008წ. №3/3220-07 სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის ნებაყოფლობით შესრულებასთან დაკავშირებით. მოვალემ აღმასრულებელს აცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. კანონიერ ძალაში შესული №3/3220 გადაწყვეტილება აღსრულდა ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილებით, რომლითაც შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში. აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცელი მიიჩნია აღსრულებულად ქალაქ თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების გამოცემით და სააღსრულებო წარმოება დაასრულა. მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღმასრულების მიერ უკანონოდ მოხდა საქმის დასრულებულად მიჩნევა, ვინაიდან აღსასრულებელი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაევალა ა. გ-ას მიმართ სადავო უძრავი ქონების გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც თბილისის მერიის მიერ არ შესრულებულა, სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბი-

ლისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე დადგენილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ა. გ-ას მიმართ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის გამოცემისას დარღვეულია დადგენილი ვალდებულება – გადაწყვეტილების მიღებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევით ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემთხვევაში, სასამართლო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობს აქტს და ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს არა კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს უთითებს საკითხებს, რომელიც მის მიერ დამატებით უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. სადავო საკითხის გადაწყვეტლად გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობა და ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების დავალება არ გულისხმობს მოსარჩელის სასარგებლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, სასამართლოს მითითებებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოსცეს ისეთივე ან განსხვავებული შინაარსის ადმინისტრაციული აქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. №3/3220 გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. გ-ასთვის თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში №6 ...ო ...ასა და ...ის ქ. №8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლს შორის არსებული 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე. სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად სადავო აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალება მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულს ხდოდა, სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, დამატებით შეესწავლა სადავო საკითხი და აღნიშნულის შემდგომ გამოეცა ახალი აქტი მოსარჩელისთვის უძრავი ქონების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით და არა გადაცემის

შესახებ, რაც მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელდა კიდევ. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში, რომლის სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე დადგენილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო გამოეცა ისეთივე ან განსხვავებული შინაარსის ადმინისტრაციული აქტი, გამოცემული აქტი კი წარმოადგენდა ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც დაინტერესებული პირის მოთხოვნით უნდა შეფასებულიყო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახალი სასარჩელო წარმოების ფარგლებში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოსთან ერთად არის ხანდაზმულიც, ვინაიდან აღნიშნული მოქმედების შესახებ ა. გ-ასათვის ცნობილი გახდა შესაბამისი გზავნილის ჩაბარებით 28.01.2010წ., ხოლო სარჩელი აღიძრა 10.03.2016წ., რაც ადასტურებს, რომ სარჩელის შეტანისას დარღვეულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) 18.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, სზაკ-ის 207-209-ე მუხლებზე, სსკ-ის 992, 1005-ე მუხლებზე მითითებით მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრების კომპონენტებია დამდგარი ზიანი, რაც მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით, უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. აღნიშნული პირობიდან რომელიმეს არარსებობა გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ვინაიდან არ დადგინდა აღმასრულებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლები.

გადანყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. გ-ას მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.2018წ. განჩინებით ა. გ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 377-ე, 382-ე, 390-ე, 393-394-ე მუხლებზე მითითებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

07.04.2008წ. გადაწყვეტილება აღსრულდა ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების გამოცემით. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, როგორც უსაფუძვლობის, ასევე ხანდაზმულობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ა. გ-ას მიერ.

საკასაციო საჩივრით კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებას. კასატორი აღნიშნავს, რომ განჩინება მიღებულია კანონის დარღვევით, იგი არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და 393.2 მუხლით გათვალისწინებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. განჩინება ეწინააღმდეგება მსგავს საკითხებზე ადამიანის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, აღნიშნული დარღვევების გამოსწორებას პრეიუდიციული ძალა ექნება ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისათვის. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 393.2 და 393.3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, გაქარწყლებული არ არის სააპელაციო საჩივრის მოტივები. სააპელაციო სასამართლოსათვის სსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი გაგებული არ უნდა იქნეს იმდაგვარად, თითქოს სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. სააპელაციო სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შემონიშნების ვალდებულებაში. შინაარსობრივად ეს ვალდებულება გულისხმობს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი გასულ წლებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათ შორის ა. გ-ას მიმართაც. საქალაქო სასამართლოს მიერ მითითებული საქართველოს

მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილება ა. გ-ას მიერ გასაჩივრდა სასამართლოში, 07.04.2008წ. მიღებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, მითითებული დადგენილების მე-5 „გ“ ქვეპუნქტი, მე-6, მე-7, მე-8 ქვეპუნქტები ბათილად იქნა ცნობილი და ქ. თბილისის მერიას დაევალა ახალი აქტის გამოცემა ა. გ-ასათვის 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ. გადაწყვეტილება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და 13.05.2008წ. კანონიერ ძალაში შევიდა. სააღსრულებო ბიურომ 11.08.2008წ. წარმოებაში მიიღო საქმე და დაიწყო სააღსრულებო წარმოება. კასატორი თვლის, რომ მისი მოთხოვნა ემყარება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 82.2 მუხლებს, სსსკ-ის მე-10 მუხლს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის პირველ მუხლს, ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტს სახელწოდებით „საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვას“.

14.08.2008წ. თბილისის სააღსრულებო ბიურომ მიმართა ქ. თბილისის მერიას სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე. აღნიშნულ წერილს პრაქტიკულად არავითარი შედეგი და პასუხი არ მოჰყოლია ქ. თბილისის მერიის მხრიდან. 28.12.2008წ. სააღსრულებო ბიურომ კვლავ მიმართა ქ. თბილისის მერიას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქ. თბილისის მერიას ამონურული ჰქონდა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების ვადა. სააღსრულებო ბიუროს უნდა მოეხდინა იძულებითი აღსრულება და მიემართა საქართველოს მთავარი პროკურორისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მთავრობას ეკისრებოდა ვალდებულება დეტალურად გამოეკვლია საქმის მასალები, კერძოდ, ქონების მართვისა და განკარგვის კომისიაში 2003 წელს წარდგენილი დოკუმენტები, კასატორი აღნიშნავს, რომ მის ნაცვლად მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ სახელმწიფო გამოცხადდა. აღნიშნული ადასტურებს, რომ ქ. თბილისის მთავრობა თაღლითურად დაეუფლა 220 კვ.მ. ნაკვეთს, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 180.3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. აღნიშნული გარემოებები არ გამოიკვლიეს და არ გაითვალისწინეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, რომელთაც უნდა მიეღოთ სამართლიანი გადაწყვეტილება და აღესრულებინათ სააღსრულებო ფურცელი. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის იმდროინდელ უფროსს

მ. ა-ს დავალებული ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელმაც აღნიშნულის სანაცვლოდ ა. გ-ას მოსთხოვა 10 000 აშშ დოლარის გადახდა, რაზეც ის არ დათანხმდა. 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილებაში მითითებული არ არის ა. გ-ა, ხოლო 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მსჯელობის უფლება არ გააჩნდა ქ. თბილისის მთავრობას, ვინაიდან ქონება თვითმმართველი ერთეულის გამგებლობაში აღარ იყო. სააღსრულებო ბიუროს შესაბამისი განკარგულების საფუძველზე იძულებითი აღსრულების ფარგლებში 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ა. გ-ასათვის უნდა გადაეცა. 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში 03.04.2008წ. №05.27.212 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები ისე, რომ აღნიშნულის თაობაზე მთავრობას ა. გ-ასათვის არ უცნობებია. აღნიშნული ცვლილებების თაობაზე არ იყო ინფორმირებული მოსამართლე თ. შ-ი, რომელმაც 07.04.2008წ. მიიღო გადაწყვეტილება. ქ. თბილისის მთავრობის მიერ მითითებული ცვლილებების სასამართლოსათვის შეტყობინების შემთხვევაში მიღებული იქნებოდა განსხვავებული შინაარსის გადაწყვეტილება. ამგვარი ქმედებებით ა. გ-ას მიადგა ზიანი. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის მთავრობა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში მიიღებდა დადგენილებას, ეს უნდა ჩაეთვალა აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაწყვეტილების აღსრულებად და არასწორია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა სააღსრულებო მოქმედებების ჩატარების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. საქმის განხილვისას სასამართლოს განემართა, რომ სააღსრულებო ბიუროს 20.01.2010წ. წერილი ა. გ-ას და მისი ოჯახის წევრებს 28.01.2010წ. არ ჩაბარებიათ, ხოლო საქმის მასალებში არსებული უკუგზავნილზე გაკეთებული აღნიშვნა ყალბია. ეს მოსაზრება სასამართლომ არ გაითვალისწინა. თუმცა მითითებული წერილის ჩაბარებაც არაფერს ნიშნავს, ვინაიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. ა. გ-ას მიერ შესრულებული იქნა ქ. თბილისის მთავრობის მოთხოვნა, წარდგენილი იქნა ყველა დოკუმენტი, რაც გახდა მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის საფუძველი. სააღსრულებო ბიურომ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია აღნიშნულ საკითხზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.11.2018წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი. 13.12.18წ. განჩინებით ა. გ-ას საკასაციო საჩივარი, მონინააღმდეგე მხარე სსიპ აღსრულების ეროვნული ბი-

უროს და თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ (საქმე №ბს-897(კ-18)) გაერთიანდა ერთ წარმოებად საკასაციო სასამართლოს წარმოებაში არსებულ ა. გ-ას საკასაციო საჩივართან, მოწინააღმდეგე მხარე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და მესამე პირის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ (საქმე №ბს-523-523 (2კ-18)).

ა. გ-ამ 11.10.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და მესამე პირის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 12.09.2016წ. №4188 ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. №3/3220-07 საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების და მის საფუძველზე გაცემული №3/3220-07 სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის აღსრულების დავალეზა, აგრეთვე ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ე. ჯ-ის მიერ 04.02.2016წ. საქმე №3/8543-15 (№229676376259) განჩინების მე-4 პუნქტის მოთხოვნის აღსრულების დავალეზა, აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის სააღსრულებო წარმოების მასალების არქივიდან ამოღების და სააღსრულებო წარმოების განახლების და აღსრულების დავალეზა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 12.09.2016წ. №4188 ბრძანება არის უკანონო, რის გამოც სასკის 33¹ მუხლის შესაბამისად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დროულად არ შესრულდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ე. ჯ-ის მიერ 04.02.2016წ. საქმე №3/8543-15 (№229676376259) განჩინების მე-4 პუნქტით საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიცემული დავალეზა, ა. გ-ას საქმის სააღსრულებო წარმოების მასალების არქივიდან ამოღების და სასამართლოსათვის წარდგენის თაობაზე. აღნიშნული განჩინება უნდა შესრულებულიყო განჩინების ჩაბარებიდან 07 დღეში, ხოლო მოპასუხის მიერ შესრულდა 69 დღის შემდეგ. მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენდა ა. გ-ას საქმის სააღსრულებო ბიუროს არქივიდან ამოღება, სააღსრულებო წარმოების განახლება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, სააღსრულებო წარმოების განახლების და აღსრულების დავალეზა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ საქმის განხილვისას მოსარჩელემ 07.12.2016წ. წარადგინა მოსაზრება, რომლითაც აღნიშნა, რომ სსიპ აღსრულებ-

ბის ეროვნული ბიუროს ქმედებები და 12.09.2016წ. №4188 ბრძანება უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა. გ-ას მოთხოვნა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 31.05.2008წ., გადაწყვეტილებაზე გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რაც წარედგინა სააღსრულებო ბიუროს. სააღსრულებო ბიურომ დაიწყო სააღსრულებო წარმოება, წინადადება გაეგზავნა ქ. თბილისის მერიას, გადაწყვეტილების 7 დღეში ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღსრულებულა, სააღსრულებო ბიურომ მიიჩნია, რომ დასრულდა სააღსრულებო წარმოება და საქმე გადაგზავნა სააღსრულებო ბიუროს არქივში. აღნიშნულის გამო ა. გ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, თუმცა სააღსრულებო ბიურომ არ განიხილა მისი განცხადება, ვინაიდან არ მოხდა განცხადების არსის გარკვევა. სააღსრულებო ბიურომ არასწორად გაიზიარა გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე ქ. თბილისის მერიის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, მიღებული მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული იქნა პირთა გარკვეულ წრის, მათ შორის, ა. გ-ას ინტერესები. აღნიშნული დადგენილების მიღება მიჩნეული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილების აღსრულებად, რაც არასწორია, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მთავრობას დაევალა ახალი აქტის გამოცემა ა. გ-ასთვის მიწის გადაცემის საკითხზე, რაც არ მიღებულა. აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, ისე შევიდა კანონიერ ძალაში. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადაში არ მომხდარა აგრეთვე აღნიშნული გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. სააღსრულებო ბიურომ გამოსცა აქტი, განცხადების შინაარსის შესწავლის გარეშე, გაურკვეველია რომელი სასამართლო დავა გახდა განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.12.2016წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მერია (სასკ-ის 16.1 მუხ.).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.08.2016წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 12.09.2016წ.

№4188 ბრძანება და დაევალა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, დანარჩენ ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის გადახდა, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18^ე მუხლზე, სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, ბრძანება არ შეიცავს სასამართლოში მიმდინარე დავის რეკვიზიტებს, მხარეებისა და დავის საგანის მითითებით, მოსარჩელის 01.09.2016წ. საჩივრის ფარგლებში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმისა, რომ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, ა. გ-ას 01.09.2016წ. საჩივრის განხილვისას სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, გაარკვიოს სასამართლოს წარმოებაში იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით დავის არსებობის საკითხი, მოპასუხემ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის რეკვიზიტები, მხარეები და დავის საგანი, ამასთან, ბრძანებაში მითითებული გარემოებები დაადასტუროს ადმინისტრაციული წარმოების მასალებში შესაბამისი მტკიცებულებების არსებობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სზაკ-ის 60¹ მუხლის მოთხოვნებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისა და საქმის გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. №3/3220-07 საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების და მის საფუძველზე 18.06.2008წ. გაცემული №3/3220-07 სააღსრულებო ფურცლის და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ე. ჯ-ის მიერ 04.02.2016წ. განჩინების მე-4 პუნქტით საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიცემული დავალების აღსრულების მოთხოვნები, აგრეთვე სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარისათვის სააღსრულებო წარმოების (კრედიტო-

რი – ა. გ-ა, მოვალე – ქ. თბილისის მერია) დაწყების დავალების მოთხოვნა უსაფუძვლოა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრძანების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციულ ორგანოსთვის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, გულისხმობს მოპასუხის მიერ საკითხის ხელახალ შესწავლას, რაც გამორიცხავს ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და ა. გ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.01.2018წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძვლები.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და ა. გ-ას მიერ.

ა. გ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას და აღნიშნავს, რომ მიუხედავად მის მიერ სხვადასხვა უწყებაში არაერთი განცხადების დაწერისა, არ აღსრულებულა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია მის სასარგებლოდ და მის მიერ საკუთრების უფლების მოპოვებას ადასტურებს. 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოთა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მხრიდან არ დამდგარა გადაწყვეტილების უკანონობის თაობაზე საკითხი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილებასა და სააღსრულებო ფურცელში ცვლილება არ შესულა, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილების გამოტანამდე 4 დღით ადრე – 03.04.2008წ. გამოცემული №05.27.212 დადგენილებით ქ. თბილისის მერიამ იკისრა ვალდებულება გაეფორმებინა ხელშეკრულებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ მიერ ყველა დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში. აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ყველა პირობა 2002-2003 წლებში იყო შესრულებული კასატო-

რის მიერ, რაც სათანადო სამსახურის მოხელეების ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე 02.05.2008წ. ისევ წარუდგინა ქ. თბილისის მერიას. ქონების მართვისა და განკარგვის თანამშრომელს ზეპირსიტყვიერად დაევალა მინის ნაკვეთის ა. გ-ასათვის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება და სანოტარო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნულის საფუძველზე ნოტარიუსმა ქ. ო-ემ შეადგინა სახელმწიფო ქონების ა. გ-ასათვის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, თუმცა მასზე ხელი არ მოაწერა თბილისის ვიცე-მერმა მ. ა-მა. აღნიშნული უმოქმედობით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, 20.03.1952წ. პარიზის კონვენციის 1-ლი კრების 1-ლი მუხლის მოთხოვნები: ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით, არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება. პირველი ინსტანციაში საქმის განხილვისას სხდომაზე დაიკითხა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორი, ი. რ-ი, რომელმაც დაადასტურა კასატორის მიერ მინის ნაკვეთის შესყიდვის კანონიერება, თუმცა მოსამართლე ე. ჯ-მა აღნიშნული ჩვენების თაობაზე არ იმსჯელა გადაწყვეტილებაში. აღნიშნული უკანონო მოქმედებებით ა. გ-ას მიადგა მორალური და მატერიალური ზიანი, ვინაიდან არ ეძლევა აღნიშნულ ფართში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ითხოვს დაკმაყოფილებულ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას. კასატორი აღნიშნავს, რომ პრეტენზია არ გააჩნიათ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ვინაიდან არასწორად იქნა მიჩნეული, რომ არსებობდა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სააღსრულებო ბიურომ სრულად გამოიკვლია საქმის გარემოებები. სასამართლოს მიერ გასაჩივრებული აქტი ბათილად იქნა ცნობილი მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი არ შეიცავს დასაბუთებას, რაშიც იგულისხმება სასამართლო დავის რეკვიზიტების მიუთითებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, საკასაციო სასამართლომ განმარტოს სასკ-ის 32.4 მუხლის დანაწესი, მისი შემდგომი გამოყენებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების და საკასაციო საჩივრე-

ბის შესწავლის შედეგად თვლის, რომ ა. გ-ას საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს 29.05.2018წ. განჩინებაზე (საქმე №3ბ/1649-17) არ უნდა დაკმაყოფილდეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და ა. გ-ას საკასაციო საჩივრები 31.01.2018წ. განჩინებაზე (საქმე №3ბ/317-17) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს სადავო სამართალურთიერთობის განვითარების, მოცემულ დავასთან კავშირში მყოფი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილებით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის“ მე-7 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერს ეთხოვა აღეძრა შუამდგომლობა საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ...ო №6 ...ისა და ...ის ქუჩის №8 საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოქალაქე ა. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვის შესახებ, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის მიზნით.

ქ. თბილისის მერიამ 18.10.2002წ. №4-34/794 შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ა. გ-ასათვის ქ. თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში მდებარე ...ო №6 ...ისა და ...ის ქუჩის №8 საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოქალაქე ა. გ-ასათვის პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულებით დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ნება დაერთო მოქალაქე ა. გ-ას პირდაპირი განკარგვის წესით შეეძინა ქ. თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში მდებარე ...ო №6 ...ისა და ...ის ქუჩის №8 საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კეთილმოწყობის მიზნით. ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტით ქ. თბილისის მერიას დაევალა ა. გ-ას მიერ მიწის შესყიდვისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ მიწის ნაკვეთის შესყიდვის გაფორმების უზრუნველყოფა.

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა 09.06.03წ. მიმართა ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტს საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №279 განკარგულებით ქ. თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში მდებარე ...ო №6 ...ისა და ...ის ქუჩის №8 საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწი-

ფო რეგისტრაციის მოთხოვნით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 17.10.2003წ. გადან-
ყვეტილებით ქ. თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში მდებარე ...ო №6 ...ისა და
...ის ქუჩის №8 საცხოვრებელ სახლს შორის არსებული 220 კვ.მ მი-
ნის ნაკვეთი დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად. უფლე-
ბის დამადასტურებელ დოკუმენტებად მიეთითა ქ. თბილისის არ-
ქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003წ. №სახ-481 წერი-
ლი და 06.05.2003წ. გაცემული მინის ნაკვეთის გეგმა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „თ...ის“ მიერ 21.04.2008წ.
გაცემული №83 ცნობის თანახმად ა. გ-ამ საქართველოს პრეზი-
დენტის 13.03.2003წ. №279 განკარგულების საფუძველზე
20.02.2004წ. ამავე ორგანიზაციაში შეიტანა მინის ნაკვეთის ღირე-
ბულება 2244.50 ლარი (სალაროს შემოსავლის ორდერი ...) და თანხა
ჩაირიცხა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში
№34020008 ანგარიშზე.

„რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღი-
არების, მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის და მთლია-
ნად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქ.
თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-
5 პუნქტით განისაზღვრა, რომ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს,
რომლებსაც ქალაქ თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორ-
მებული ხელშეკრულებები მინის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარ-
გებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრების ან სარგებლო-
ბის უფლება არ ჰქონდათ საჯარო რეესტრში და რომელთა ნაწილ-
ში არ იყო გაუქმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტე-
ბი, სათანადო ხელშეკრულებები უნდა გაფორმებოდათ 2007 წლის
პირველ დეკემბრამდე, იმ შემთხვევაში თუ ქ. თბილისის მერიას
წარუდგენდნენ: „ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების
საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქგეგმარე-
ბითი დასკვნას; ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამ-
ზადებული მინის ნაკვეთის საზღვრებს; გ) ქ. თბილისის საკრებუ-
ლოს 22.01.2007წ. №1-7 გადანყვეტილებით დადგენილ მინის ნაკ-
ვეთის ნორმატიული ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვი-
თარს“. ამავე დადგენილების მე-6 პუნქტის თანახმად დადგენი-
ლების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების 2007 წლის 1
დეკემბრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალადაკარგულად
ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იმ პირ-
თა ნაწილში, რომლებიც არ შეასრულებენ მათ. მე-7 პუნქტის თა-
ნახმად, წინამდებარე დადგენილებაში მითითებული ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების შედეგად დაინტერე-
სებულ მხარეთათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა დამა-

ტებითი წარმოების შედეგად მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. მე-8 პუნქტით დადგინდა დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

ა. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მითითებული დადგენილების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების ა. გ-ას ნაწილში ბათილად ცნობის მოთხოვნით.

„რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების, მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 03.04.2008წ. №05.27.212 დადგენილებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ, დადგენილების მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ქ. თბილისის პრემიერისა და ქ. თბილისის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილებით) გათვალისწინებულ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც ქ. თბილისის მთავრობასთან არ ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემის შესახებ ან/და საკუთრებით სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რომელთა ნაწილშიც არ გაუქმებულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გაუფორმდებოდათ სათანადო ხელშეკრულებები ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, 2009 წლის იანვრამდე შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში, მათ უნდა წარედგინათ: ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა; ბ) საკანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები; გ) ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროს მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილებით ა. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე დადგენილების მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები ა. გ-ას მიმართ. თბი-

ლისის მთავრობას დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ა. გ-ას მიმართ თბილისში, ...ის ქ. №8/6-ში №6 ...ო ...ასა და ...ის ქ. №8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლს შორის არსებული 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილებაზე 18.06.2008წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქმეში დატულია 2008 წლის აგვისტოს თვეში შედგენილი მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, სადაც ხელშეკრულების მხარეებად მითითებულნი არიან ერთი მხრივ – ქალაქ თბილისის მერიის (მთავრობის) სახით ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე, ადმინისტრაციის უფროსი მ. ა-ი და მეორე მხრივ ა. გ-ა. ნასყიდობის საგანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 220 კვ.მ, მდებარე ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №38/6-ში №6 ...ო ...ასა და ...ის ქ. №8 საცხოვრებელ სახლს შორის. აღინიშნული ხელშეკრულება ხელმოწერილია ა. გ-ას მიერ.

ა. გ-ამ 01.08.2008წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 18.06.2008წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის (საქმე №3/3220-07) აღსრულება.

11.08.2008წ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცლის ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ წინადადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 02.09.2008წ. №06/59265-2 მიმართვით სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 03.04.2008წ. №05.27.212 დადგენილებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში, რომლითაც ფაქტიურად გათვალისწინებული იქნა ა. გ-ას ინტერესები.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა 28.11.2008წ. განმეორებით მიმართა წინადადებით თბილისის მერიას და მოსთხოვა დაუყონებლივ წერილობით ეცნობებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილებები ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში და დადგინდა ქ. თბილი-

სის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბება იმდაგვარად, რომ დაინტერესებულ პირებს მიეცათ უფლება წარედგინათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის ღირებულების გადახდის დამატურებელი ქვითარი. ამავე დადგენილების მე-7 პუნქტით დადგინდა, რომ 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში მითითებული აქტების გაუქმების შედეგად დაინტერესებული პირებისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა დამატებითი წარმოების შედეგად ზიანის ზუსტი ოდენობით განსაზღვრის შემდეგ. ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებას დაემატა მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც დადგინდა, რომ დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების (დოკუმენტების წარდგენის) შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ პირთა მიმართ ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

თბილისის მერიის ადმინისტრაციის 08.01.2009წ. №06/59265-2 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილება აღსრულდა ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების გამოცემით.

22.01.2009წ. სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით, კერძოდ, განმცხადებელმა მოითხოვა განმარტებულიყო რას ნიშნავდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული სიტყვები „ნაკვეთის გადაცემა“, აღნიშნული სიტყვები გულისხმობდა თუ არა იმას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოსცეს აქტი მიწის ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით, სადაც იქნება მითითებული მიწის ნაკვეთის ა. გ-ასათვის გადაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.01.2009წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, იმ საფუძველით, რომ სახეზე არ იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება.

თბილისის სააღსრულებო ბიუროს 20.01.2010წ. წერილით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილება აღსრულდა ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების გამოცემით. ქ. თბილისის მთავრობის 26.02.2010წ. №06.12.222 დადგენილებით ძალა-

დაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილება ა. გ-ას ნაწილში. საქართველოს პრეზიდენტის 03.03.2010წ. №157 განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო აქტის აღსრულებას სავალდებულო, სახელისუფლებო-იმპერატიული ძალის ბუნება აქვს. სასამართლო გადაწყვეტილების იმპერატიულობა გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირის ან ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ, ამ ორგანოებსა და პირებს უფლება არ აქვთ სასამართლო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ. მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში გამოიხატება, სამართლიანი განხილვის უფლება ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც მოიცავს, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად განიხილება. ამასთანავე, ა. გ-ას მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.2008წ. გადაწყვეტილების აღსრულებლობის და სააღსრულებო ბიუროს ქმედებათა უკანონოდ მიჩნევის თაობაზე არ არის დასაბუთებული. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქალაქო სასამართლოს 07.04.08წ. გადაწყვეტილება გამოტანილია სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, რომელიც სასკ-ის 23-ე და 33-ე მუხლებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დასაბუთებული აქტის გამოცემის დავალებას, ამასთანავე, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა არ გამორიცხავს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად იმავე შინაარსის გადაწყვეტილების მიღებას (სუსგ 20.04.06წ. №ბს-1291-866(კ-05); 18.10.18წ. №ბს-368-368(კ-18); 04.10.2018წ. №ბს-567-567(კ-18)). სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს არ ავალდებულებს კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი სასამართლოს მიერ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათი-

ლად ცხადდება დავის გადაუწყვეტლად, მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტი ბათილად იქნა ცნობილი დავის გადაუწყვეტლად, რის შესახებაც მითითებულია სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. გამოსაცემი აქტის შინაარსი დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგებზე. სასამართლო გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების სასკის 33-ე მუხლის და არა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში. სწორედ აღნიშნულის გამო ა. გ-ას სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ. ამდენად, საფუძველსაა მოკლებული კასატორის ა. გ-ას მოსაზრება იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში მყოფი საქალაქო სასამართლოს 07.04.08წ. გადაწყვეტილებით მერიას დაევალა მისთვის ნაკვეთის გადმოცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის თანახმად მოპასუხეს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების და საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ა. გ-ასათვის ნაკვეთის გამოყოფის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება არ ნიშნავს იგივე შინაარსის აქტის მიღების შეუძლებლობას, მისაღები აქტის შინაარსი დეტერმინირებულია საქმის ყველა გარემოების შესწავლის, ადმინისტრაციული წარმოების შედეგებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით ა. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი 27.08.2007წ. თბილისის მთავრობის №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-6, მე-7, მე-8 პუნქტები ა. გ-ას მიმართ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, თბილისის მთავრობას საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ყოველივე აღნიშნული ცალსახად ადასტურებს იმას, რომ გადაწყვეტილებით ადმინისტრაციას დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად სადავო საკითხზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანა და არა ა. გ-ასათვის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (სასკ-ის 33-ე მუხ.). სასამართლო გადაწყვეტილება მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულს ხდიდა სადავო საკითხის დამატებითი შესწავლის შედეგად გამოეცა ახალი აქტი მოსარჩელისათვის უძრავი ქონების

გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილება არ ავალბდა კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო მიეღო ისეთივე ან განსხვავებული შინაარსის ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად გამოცხადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ საკითხზე ხელმეორედ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ჩატარებულად მიჩნევის საკმარის საფუძველს იძლევა. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა თუ რამდენად სრულყოფილად ჩაატარა ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული წარმოება. სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად გამოცხადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ საკითხზე ხელმეორედ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ჩატარებულად მიჩნევის საკმარის საფუძველს იძლევა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი ადმინისტრაციული წარმოების კანონიერების, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის საკითხი არა სააღსრულებო ბიუროს, არამედ სასამართლოს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით აღმასრულებელმა მიმართა მერიას წინადადებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით 12.01.2009წ. სააღსრულებო ბიუროს ჩაბარდა ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 08.01.09წ. №06/392 წერილი, რომლითაც სააღსრულებო ბიუროს შეატყობინა თბილისის მთავრობის 22.12.08წ. №24.36.852 დადგენილების მიღების შესახებ. ქ. თბილისის მთავრობის 22.12.08წ. №24.36.852 დადგენილებით ქ. თბილისის მთავრობის 27.08.07წ. №18.19.621 დადგენილებაში ცვლილება-დამატებები იქნა შეტანილი, რომლის შედეგად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილების ის პუნქტები, რომლებიც ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.08წ. გადაწყვეტილებით (მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტები) ა. გ-ას ნაწილში. ამდენად, უსაფუძვლოა ა. გ-ას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მთავ-

რობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილება მას არ ეხება. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების რევიზიის, უფლებამოსილების გადამეტების შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვერ იქონიებს მსჯელობას ქ. თბილისის მთავრობის 03.04.2008წ. №05.27.212 და 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილებების კანონიერებაზე, ვინაიდან აღნიშნული არ შეადგენს განსახილველი საქმის დავის საგანს, ა. გ-ას არ გაუსაჩივრებია და სადავოდ არ გაუხდია ქ. თბილისის მთავრობის 03.04.08წ. №05.27.212 და 22.12.08წ. №24.36.852 დადგენილებები, რომლებიც მას 2009 წლის 01 იანვრამდე ავალებდა და სხვადასხვა დოკუმენტების წარმოდგენას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საალსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად ჩატარდა შემდეგი საალსრულებო მოქმედებები: 11.08.08წ. თბილისის მერიას გაეგზავნა წინადადება ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ, რის პასუხადაც თბილისის მერიის ადმინისტრაციამ სასამართლო აღმასრულებელს გამოუგზავნა წერილი, რითაც აცნობა, რომ 03.04.08წ. №05.27.212 დადგენილებით ახლებურად ჩამოყალიბდა 27.08.07წ. №18.19.621 დადგენილების პუნქტები, წერილს თან ერთვის 03.04.08წ. №05.27.212 დადგენილების ტექსტი. კასატორი ა. გ-ა თვლის, რომ „რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების, მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 03.04.08წ. №05.27.212 დადგენილების მიღებით აღსრულებულად ვერ იქნება მიჩნეული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.04.08წ. გადაწყვეტილება, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებად. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში მყოფი 07.04.11წ. განჩინებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ა. გ-ას დოკუმენტაციის 2009 წლის 01 იანვრამდე წარდგენა ევალებოდა ჯერ კიდევ ქ. თბილისის მთავრობის 03.04.08წ. №05.27.212 დადგენილებით და მისთვის ცნობილი იყო ამის თაობაზე. აღნიშნულზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს 07.04.11წ. განჩინებით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ 03.04.08წ. №05.27.212 დადგენილებით ა. გ-ას ევალებოდა 2009 წლის 1 იანვრამდე წარედგინა უძრავ ქონებაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაცია, რაც არ წარუდგენია. ხსენებული განჩინებით დადგენილად იქნა მიჩნეული აგრეთვე, რომ

2009 წლის 01 იანვრამდე, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ა. გ-ას მიერ არ წარდგენილა დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილებას არ გაუუქმებია 03.04.2008წ. №05.27.212 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 03.04.2008წ. დადგენილება ითვალისწინებდა მისი შესაბამის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების ვალდებულებას (3 პ.), ასევე მისი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას (5 პ.), რის გამოც სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან დასაწყისი ვერ კიდევ არ იყო შესული ძალაში 03.04.2008წ. №05.27.212 დადგენილება, შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. №05.27.212 დადგენილებით განსაზღვრული 2009 წლის 01 იანვრამდე საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის თაობაზე ვალდებულება ა. გ-ას არ შეუსრულებია. ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების მოგვიანებით ჩაბარება, კანონიერ ძალაში მყოფი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, არ გამორიცხავდა ჯერ კიდევ 03.04.2008წ. დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღმასრულებელმა 28.11.08წ. თბილისის მერიას გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 17.1 მუხლის საფუძველზე მერიას განმეორებით მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებართვით შესრულების შესახებ. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის 08.01.2009წ. №06/592652 წერილით თბილისის სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები „რიგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად აღიარების, მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 27.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებაში. თბილისის სააღსრულებო ბიუროს 20.01.2010წ. №01/10-03-212 წერილით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.01.2008წ. №3/3220-07 სააღსრულებო ფურცელი აღსრულებულად იქნა მიჩნეული ქ. თბილისის მთავრობის 22.12.2008წ. №24.36.852 დადგენილების გამოცემით. ა. გ-ას 21.07.2015წ. განცხადებაზე სააღსრულებო ბიუროს 19.08.2015წ. №75885 წერილით ა. გ-ას განემარტა, რომ სააღსრულებო ფურცელი

ლი აღსრულებული და გადაგზავნილი იყო აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში. განმცხადებელს ასევე განემარტა, რომ ბიურო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა თუ რამდენად სწორად ჩატარდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება. 24.01.2016წ. ა. გ-ამ კვლავ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში არსებული სააღსრულებო საქმის განახლებისა და სააღსრულებო მოქმედებების განახლების მოთხოვნით. ბიუროს 22.02.16წ. №177738 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ იდენტური შინაარსის და მოთხოვნის მქონე განცხადებაზე არგუმენტირებული პასუხი გაეცა 19.08.2015წ. №75855 წერილით, განცხადებაში არ იყო მითითებული რაიმე ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც ანალოგიური შინაარსის განცხადების ხელმეორედ განხილვის საფუძველი გახდებოდა. ა. გ-ას სასამართლოში აღნიშნული აქტები არ გაუსაჩივრებია.

კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნებაყოფლობითი შესრულებისათვის პირველი წინადადების ჩაბარებიდან 7-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ სააღსრულებო ბიუროს გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განეხორციელებინა იძულების წესით ანუ უნდა მოეხდინა სადავო ქონების 220 კვ.მ. ნაკვეთის ა. გ-ასათვის გადაცემა სათანადო განკარგულებით, საფუძველსაა მოკლებული. უკვე აღინიშნა, რომ სასამართლოს მიერ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება თავისთავად გულისხმობს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, შესაბამისად კასატორის მოსაზრება იძულებითი წესით მისთვის ნაკვეთის გადმოცემის შესახებ არ ეფუძნება არც კანონმდებლობის და არც კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნებს.

დაუსაბუთებელია კასატორ ა. გ-ას მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ნაკვეთის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციის შემდეგ მერია არ იყო უფლებამოსილი რაიმე აქტის მიღებაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 13.03.03წ. №273 განკარგულებით ა. გ-ას ნება დაერთო პირდაპირი განკარგვის წესით ნაკვეთის შექმნის, ამასთანავე, ამავე განკარგულებით ქ. თბილისის მერიას დაევალა ა. გ-ას მიერ მიწის შესყიდვისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ, მიწის ნაკვეთის შესყიდვის გაფორმების უზრუნველყოფა. იმჟამად მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 10.05.2000წ. №65 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მინის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის“ მე-7 მუხ-
ლი ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულე-
ბის მიღების შემდეგ ადგილზე მინის გამიჯვნას იურიდიული და
ფიზიკური პირებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-
განობის მიერ დამტკიცებული მინის ნორმატიული ფასის გადახ-
დის შემთხვევაში, ამასთანავე ხელშეკრულების დადებას უზრუნ-
ველყოფდა შესაბამისი რაიონის და ქალაქის, რომელიც არ შედის
რაიონის შემადგენლობაში, გამგეობა (მთავრობა). „სახელმწიფო სა-
კუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მინის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის
(სადავო პერიოდში მოქმედი) მე-2 მუხლის თანახმად, ეს კანონი
ანესრიგებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მინის მართვისა და განკარგვის საკით-
ხებს და განსაზღვრავდა იმ სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცი-
ას, რომლებიც სახელმწიფო მიწით განკარგვასთან დაკავშირებულ
ურთიერთობებში წარმოადგენენ სახელმწიფოს. აღნიშნული კანო-
ნის თანახმად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო მინის სარგებლო-
ბაში ან საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებდნენ შესაბამისი
ადგილობრივი მმართველობის რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შე-
დის რაიონის შემადგენლობაში, თვითმმართველობისა და მმარ-
თველობის ორგანოები (მე-3 მუხ.), ამ კანონით რაიონის, ქალაქის,
რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აღმასრულებელი
ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მინის გან-
კარგვის პროცესის ორგანიზება და მართვა, სახელმწიფოს სახე-
ლით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება (3.3 მუხ.).

ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა ყურადღებას
ამახვილებს შემდეგზე: საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. გ-
ას მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 გან-
კარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ქ. თბი-
ლისის მერიამ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს იმ საფუძვლით,
რომ ა. გ-ამ ქ. თბილისის მერიას არ წარუდგინა საჭირო დოკუმენ-
ტაცია. ქ. თბილისის მთავრობის 26.02.2010წ. №06.12.222 დადგენი-
ლებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის
26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილება ა. გ-ას ნაწილში. დადგენი-
ლებაში აღინიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 15.12.2009წ.
№33.34.1198 დადგენილებით განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომელ-
თაც ჰქონდათ დადებითი ქალაქეგემარებითი დასკვნები და მათი
მხრიდან დადგენილ ვადაში წარდგენილი იყო მოთხოვნილი დოკუ-
მენტაცია, მათ შორის არ არის ა. გ-ა, რომელსაც არ შეუსრულებია
სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნა. საქართველოს
პრეზიდენტის 03.03.2010წ. №157 განკარგულებით ძალადაკარგუ-

ლად გამოცხადდა „ა. გ-ასათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულება. ა. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში თბილისის მთავრობის 26.02.2010წ. №06.12.222 დადგენილების, საქართველოს პრეზიდენტის 03.03.2010წ. №157 განკარგულების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის მთავრობისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულების საფუძველზე სსიპ თბილისის ქონების სააგენტო გააფორმებს ხელშეკრულებას ა. გ-ასთან, მის მიერ შექენილი 220 კვ.მ მიწის ფართის გადაცემის თაობაზე. ა. გ-ამ მოითხოვა აგრეთვე მატერიალური და მორალური ზიანის სახით გ. უ-ასთვის, მ. ა-ისთვის, დ. ა-ისთვის, ნ. ხ-ისთვის, დ. ა-ისთვის, დ. გ-ისთვის, თ. გ-ისთვის, გ. ნ-ისთვის, ნ. ს-ისთვის, რ. ს-ისთვის, ქ. ა-ისთვის, ზ. ა-ისთვის, ვ. გ-ასთვის, ა. თ-ისთვის, გ. ლ-ასთვის, ა. ჯ-ისთვის, მ. ქ-ასთვის, გ. ქ-ისთვის, დ. ხ-ისთვის და ი. ა-ისათვის 500 000 ლარის სოლიდარულად დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.11.2010წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. გ-ას მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 07.04.2011წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. გ-ას სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ა. გ-ამ არ შეასრულა მისთვის ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარდგენის ვალდებულება, რაც გახდა ა. გ-ას ნაწილში ქ. თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ 23.04.2010წ. №12-8/4503 წერილით აცნობა ა. გ-ას საქართველოს პრეზიდენტის 03.03.2010წ. №157 განკარგულებით „ა. გ-ას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. ამდენად, ქ. თბილისის მთავრობის 26.02.10წ. №06.12.222 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 03.03.2010წ. №157 განკარგულების მართლზომიერება დადასტურებულია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.11.2010წ. გადაწყვეტილება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

07.04.116. განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.07.2011წ. განჩინება), ხსენებული აქტებით ძალადაკარგულად გამოცხადდა შესაბამისად ქ. თბილისის მთავრობის 26.09.02წ. №13.29.295 დადგენილება, რომლითაც ქ. თბილისის მერს ეთხოვა ნაკვეთის ა. გ-ასთვის პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვის შესახებ შუამდგომლობის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე აღძვრა და საქართველოს პრეზიდენტის 13.03.03წ. №273 განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების და ა. გ-ასათვის პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთის შეძენის ნების დართვის შესახებ. მასხადამე, ამჟამად ა. გ-ას მიმართ სადავო ნაკვეთზე მიღებული ყველა უფლებადამდგენი დოკუმენტი ძალადაკარგულია, შესაბამისად არ დასტურდება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების რაიმე სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 07.04.2008წ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ ქ. თბილისის მერიამ შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ ა. გ-ამ დოკუმენტაციის სრულად წარდგენის ვალდებულება არ შეასრულა 2009 წლის 01 იანვრამდე. ა. გ-ას მიერ შესასრულებელი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გახდა ა. გ-ას ნაწილში ქ. თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. №273 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. აღნიშნული გარემოებები ადასტურებენ საქალაქო სასამართლოს 07.04.08წ. გადაწყვეტილების საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებას, რაც გასაჩივრდა ა. გ-ას მიერ და სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებით დადგენილია მათი კანონიერება. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას თბილისის მთავრობის 26.02.2010წ. №06.12.222 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2010წ. №157 განკარგულების კანონიერებაზე, ვინაიდან მათი მართლზომიერება უკვე დადასტურებულია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 4.1 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს აქტები სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სსკ-ის 266-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავოდ გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამარ-

თლებრივი ურთიერთობანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცესუალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზე-
დამხედველო წარმოების წესებს, კანონიერ ძალაში შესული გადან-
ყვეტილების კანონიერების შემონახვას, აღსრულების წარმოების
შედეგად გამოცემული აქტით აღსასრულებელი სასამართლო გა-
დანყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგის გადასინჯვის
შესაძლებლობას. სსკ-ის 265-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძა-
ლაში შესული გადანყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა
კანონით დადგენილი გამონაკლისებისა, რომელშიც ამავე კოდექ-
სის მე-11 კარით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლე-
ბის საფუძველები მოიაზრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგი-
ლი არ აქვს. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუშ-
ვებელია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადანყვეტილე-
ბის დანაწესის დაძლევა აღსრულების პროცედურებით.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს არ ქმნის აგრეთვე საქ-
მის მასალებში დაცული პირდაპირი განკარგვის წესით უძრავი ქო-
ნების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება. საქმის მასალებით
დასტურდება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ, გამყიდ-
ველმა (ქ. თბილისის მერიამ) უარი განაცხადა ხელშეკრულების და-
დებაზე, რის გამოც სანოტარო აქტი არ გაცემულა და შესაბამისი
შენიშვნა გაკეთდა სანოტარო რეესტრში. ხელშეკრულების დადე-
ბის აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ
ნების გამოვლენა, სსკ-ის 327.1 მუხლის თანახმად ხელშეკრულება
დადებულად ითვლება თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე
შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. იმის გათ-
ვალისწინებით, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ხელშეკრუ-
ლება არ არის ხელმოწერილი, მას რაიმე სამართლებრივი შედეგი
არ გამოუწვევია.

მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას იმ ფაქტობრივად
დამდგარი ქონებრივი დანაკლისის და მიუღებელი შემოსავლისათ-
ვის, რომელსაც ის მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრუ-
ლების პირობებში. საკასაციო პალატა თვლის, რომ მიუღებელი შე-
მოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაუსაბუთებე-
ლია, ვინაიდან არ დასტურდება დელიქტის ანაზღაურების მოთ-
ხოვნის ადრესატის – საალსრულებო ბიუროს მართლწინააღმდეგი
ქმედება (უმოქმედობა), ბრალეულობა, ზიანის არსებობა, ქმედე-
ბასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. ზემოაღნიშნულთან
ერთად მხედველობაშია მისაღები, რომ ქ. თბილისის მთავრობის
21.08.2007წ. №18.19.621 დადგენილებასა და ქ. თბილისის მერიის
03.04.2008წ. №05.27.212, აგრეთვე ქ. თბილისის მთავრობის
22.12.08წ. №24.36.852 დადგენილების მე-7 პუნქტებით განისაზ-

ღვრა, რომ დადგენილებებში მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმების შედეგად დაინტერესებულ მხარეთათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა დამატებითი წარმოების შედეგად მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. საქმეზე დადგენილია ა. გ-ას მიერ საქართველოს პრეზიდენტის 13.03.2003წ. განკარგულების საფუძველზე 20.02.2004წ. „...ში“ მინის ნაკვეთის ღირებულების სახით 2244,50 ლარის შეტანა, რაც ჩაირიცხა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში №34020008 ანგარიშზე, ხოლო ზემოთ მითითებული დადგენილებებით ქ. თბილისის მერიას ვეალებოდა იმ პირებისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოების ჩატარება, რომელთა მიმართ გაუქმდა ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები. მოცემულ შემთხვევაში ა. გ-ას მიმართ ქ. თბილისის მთავრობის 26.09.2002წ. №13.29.295 დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა თბილისის მთავრობის 26.02.2010წ. №06.12.222 დადგენილებით, რითაც მას წარმოევა გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველად უთითებს სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, შესაბამისად მოპასუხედ დასახელებული არა მუნიციპალიტეტი, არამედ მხოლოდ სააღსრულებო ბიურო, დელიქტის ანაზღაურების მოთხოვნა არ მოიცავს მის მიერ სადავო ნაკვეთის ღირებულების დაბრუნების მოთხოვნას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არის დასაბუთებული სააპელაციო სასამართლოს 31.01.18წ. (საქმე №33/317-17) გასაჩივრებული განჩინება, რომლითაც სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 12.09.2016წ. №4188 ბრძანება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 12.09.2016წ. №4188 ბრძანება არ შეიცავდა მითითებას სასამართლოში მიმდინარე დავის რეკვიზიტებზე, მხარეებზე, არ იყო მითითებული დავის საგანი, ხოლო ა. გ-ას 01.09.2016წ. საჩივრის ფარგლებში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. აღნიშნულის გამო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო გასაჩივრებული აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის ახალი აქტის გამოცემის დაავალების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4

ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ორგანოსათვის ხელახალი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნების დასაბუთებას. სადავო საკითხის გადაწყვეტლად საქმის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნება და ახალი აქტის გამოცემის დავალება საჭიროებდა იმ გარემოებების მითითებას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემისას და ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე ამ გარემოების გარკვევის დავალებას. სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა. სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე აქტის გაუქმება დასაშვებია თუ აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის და შეფასების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დასაბუთებას, სასამართლოს არ უმსჯელია ასეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ წინაპირობებზე. სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე. კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან მითითებული ნორმით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამასთანავე ამ გარემოების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. სააპელაციო პალატის განჩინებაში მითითებული გარემოება არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალების საფუძველს. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესების მიუხედავად სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოებები. სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალწარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფა-

სება, ან ასეთი გართულებულია. ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობის პრონციპის გათვალისწინებით, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით შეაგროვოს დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული უზრუნველყოფს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და არა ორგანოში განსახორციელებელი წარმოების ჩანაცვლებას. როდესაც წარმოების ხარვეზები არსებითია, ხოლო საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რიგი გარემოებები არ არის გამოკვლეული, დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების სასამართლოსათვის დელეგირება. მოცემულ შემთხვევაში ის გარემოებები, რომლებიც მიეთითა საკითხის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადანყვეტას, არ იყო სასამართლოსათვის ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციების შესრულების დაკისრების ტოლფასი და არ ქმნიდა სუბსიდიარობის პრინციპის უარყოფის საფუძველს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობდა სადავო საკითხის არსებითად გადანყვეტის შესაძლებლობა. რაც შეეხება დადგენილი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საჭიროებას, აღნიშნული ასევე არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძველს, გარემოებების სამართლებრივი შეფასების დადგენის თავად სასამართლომ უნდა მოახდინოს. სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებლობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლო საკასაციო ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობებით საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლოს სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გამოერკვია ის გარემოება, რომლის გამო სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო აქტი და საქმე დაუბრუნდა სააღსრულებო ბიუროს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ფაქტობრივად უარი თქვა ნორმის შეფარდებაზე და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ფაქტების სამართლებრივი შეფასება. სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სადავო ბრძანების გამოცემისას არ მოიკვლია საჩივარში დასმული საკითხის გადანყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, აღნიშნულის გამო სადავო აქტი არ შეიცავს დასაბუთებას, საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი გახდა იმავე დავაზე სასამართლოში მიმდინარე წარმოება, ერთადერთი გარემოება, რომლის გამო სასამართლომ გადანყვიტა სადავო აქტის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობა, არის

სადავო ბრძანებაში სასამართლო დავის რეკვიზიტების არ მითითება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. გ-ას მიერ 10.03.16წ. აღძრული აქვს სარჩელი მოპასუხეების – აღსრულების ეროვნული ბიუროს და თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენს თბილისის სააღსრულებო ბიუროს არქივიდან სააღსრულებო საქმის (№01/21-1925) გამოთხოვა, სააღსრულებო წარმოების განახლება და მოვალის წინააღმდეგობის შემთხვევაში განკარგულების გამოცემა, საჯარო რეესტრის სააგენტოში რეგისტრაციის განსახორციელებლად მისი წარდგენა. რაც შეეხება 01.09.16წ. საჩივარს, ა. გ-ა საჩივარში ითხოვდა აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივში არსებული სააღსრულებო საქმის (№01/08-12-1925) განახლებას და სააღსრულებო მოქმედების განხორციელებას. ამდენად, სადავო აქტის – 12.09.2016წ. №4188 ბრძანების კანონიერების დადგენა საჭიროებდა ა. გ-ას მიერ 10.03.16წ. აღძრული სარჩელის და მისი 01.09.2016წ. ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნების იდენტურობის დადგენას, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18³ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე არ განიხილავს საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. სსკ-ის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელის სასამართლოში წარმოების მიღების შემდეგ მხარეთა შორის ნამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა ორგანომ განიხილოს, სზაკ-ის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ საჩივარში დასმული საკითხი სასამართლო განხილვის საგანია. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გააჩნდა პროცესუალური შესაძლებლობა შეემოწმებინა ა. გ-ას მოთხოვნისა და მის მიერ სასამართლოში აღძრული დავის იდენტურობა, მით უფრო, რომ სააპელაციო საჩივარში სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უთითებდა სასამართლოს წარმოებაში არსებულ კონკრეტულ დავასა და რეკვიზიტებს.

ა. გ-ას მიერ 11.10.16წ. სარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 04.02.16წ. განჩინების მე-4 პუნქტის დავალების აღსრულება. განჩინების ხსენებულ პუნქტში აღნიშნულია, რომ სსკ-ის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალ-

დებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ამდენად, აღნიშნული განჩინების მე-4 პუნქტის შინაარსი ამოიწურება მხოლოდ კანონის ნორმის ციტირებით, შესაბამისად 11.10.16წ. აღძრული სარჩელის ეს მოთხოვნა დაზუსტებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო პალატის 29.05.2018წ. განჩინებაზე (საქმე №3ბ/1649-17) არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ა. გ-ას საკასაციო საჩივრები სააპელაციო სასამართლოს 31.01.2018წ. განჩინებაზე (საქმე №3ბ/317-17) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 30-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. გ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.05.2018წ. განჩინება (საქმე №3ბ/1649-17);

2. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და ა. გ-ას საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.01.2018წ. განჩინება (საქმე №3ბ/317 -17) და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კერძო აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული ქონების
შეფასება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-358(კ-19)

20 იანვარი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

12.12.2017წ. ლ. ლ-ემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, კერძო აღმასრულებლის რ. ს-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კერძო აღმასრულებლისათვის ქ. ქუთაისში, ...ას ქ. ...-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ..., შენობა №1-ის გამოყოფილი ნაწილის 275,67 კვ.მ ფართი №1) შეფასების დავალება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით.

მოსარჩელის განმარტებით, კერძო აღმასრულებლის – რ. ს-ის წარმოებაშია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად, ლ. ლ-ეს სს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 18809,28 აშშ დოლარი. კერძო აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე, სარეალიზაციოდ განსაზღვრული ქონების შეფასება განხორციელდა რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, კერძოდ, ქ. ქუთაისში, ...ას ქ. ...-ში მდებარე ქონება შეფასდა 105,000 ლარად, თუმცა მისი რეალური საბაზრო ღირებულება არის 219 157,65 ლარი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ უძრავი ქონების შეფასება უნდა განხორციელდეს ობიექტური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ქონების დათვალეიერებისა და შესწავლის შედეგად. აღნიშნული ქონება მდებარეობს ...ი მნიშვნელობის მქონე ...ე ზონაში და არის ძვირადღირებული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 13.12.2017წ. განჩინებით ლ. ლ-ის სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე თარიღის განჩინებით, ასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაერთო სს „...ი“.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 05.06.2018წ. გადაწყვეტი-

ლებით ლ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადან-
ყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. ქუთაი-
სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-
ტის 21.11.2018წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ლ. ლ-ის სააპელა-
ციო საჩივარი. უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამარ-
თლოს 05.06.2018წ. გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთა-
ისში, ...ას ქ. ...-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ ...) შენობა №1-ის
გამოყოფილი ნაწილი – 275,67 კვ.მ ფართი №1, საკუთრების უფ-
ლებით რეგისტრირებულია ლ. ლ-ის სახელზე. კერძო აღმასრულებ-
ლის რ. ს-ის წარმოებაშია ნოტარიუს ე. გ-ის მიერ 15.01.2015წ. გაცე-
მული №150033717 სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურ-
ცლის თანახმად, ლ. ლ-ეს კრედიტორ სს მიკროსაფინანსო ორგანი-
ზაცია „...ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 18809,28 აშშ დოლარის გა-
დახდა. სააღსრულებო ფურცელში მითითებულია, რომ თანხის გა-
დაუზღვრობის შემთხვევაში მოხდებოდა იპოთეკის საგნის რეა-
ლიზაცია (შენობა №1-ის გამოყოფილი ნაწილი, 275,67 კვ.მ, ფართი
№1, მდებარე: ქ. ქუთაისში, ...ას ქ. ...-ში, ს/კ ...). 12.12.2017წ. კერძო
აღმასრულებელმა რ. ს-ემ ლ. ლ-ეს გაუგზავნა წინადადება გადან-
ყვეტილების შესრულების შესახებ. კერძო აღმასრულებლის მიმარ-
თვის საფუძველზე, შპს „...ის“ 2017 წლის 30 ოქტომბრის დასკვნის
შესაბამისად, ლ. ლ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება შე-
ფასდა 105,000 ლარად. საქმეზე წარმოდგენილი შპს „...ის“ №11/6
აუდიტორული დასკვნით, ლ. ლ-ის საკუთრებაში რიცხული ზემო-
აღნიშნული უძრავი ქონება, შეფასებულია 219157,65 ლარად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სააღსრულებო წარ-
მოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 17.7 მუხლის თანახმად,
აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გა-
დანყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, გა-
ნუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრუ-
ლების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხ-
მაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში. აღ-
ნიშნული კანონის 25.7 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნუ-
ლი ბიუროს მიერ მოვალის ინფორმირება ხდება სააღსრულებო წარ-
მოების დაწყებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. მოვალეს ეცნობება: ა)
ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში მოთხოვნის ნებაყოფლობით შეს-
რულების შემთხვევაში მხოლოდ კრედიტორის მიერ წინასწარ გა-
დახდილი აღსრულების საფასურის შესაბამისი ნაწილის, ხოლო ნე-
ბაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში – აღსრულების სა-
ფასურის სრული ოდენობით დაკისრების შესახებ; ბ) ამ კანონის
მე-18 მუხლით დადგენილი უფლებები; გ) სააღსრულებო წარმოე-

ბის დაწყების სამართლებრივი შედეგები; დ) იძულებითი აღსრულებისათვის ამ კანონით გათვალისწინებული შესაძლო გასატარებელი ღონისძიებები; ე) აღსრულების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიღების წესი და საშუალებები. მე-8 პუნქტის მიხედვით, მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება. ამავე კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი. ამავე კანონის 63.1 მუხლით, უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვით). 63.2 მუხლით, კრედიტორი აღსრულების ეროვნულ ბიუროში იძულებითი აღსრულების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენისას განსაზღვრავს აღსრულების სახეს.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2016 №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების“ შესაბამისად, იძულებითი აუქციონის ამ ბრძანებით დადგენილი წესით გამართვა გამორიცხულია სარეალიზაციო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის გარეშე, რადგან შეფასების აქტში ფიქსირებულ ქონების საბაზრო ღირებულებას მნიშვნელობა აქვს აუქციონის გამოცხადებისას საგარანტიო თანხის განსაზღვრისათვის, ფასის მატების ბიჯის ღირებულებისათვის და აუქციონზე ქონების საწყისი ფასის განსაზღვრისათვის. ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლით, ქონების აღწერის დროს, მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების საბაზრო ღირებულება აღინიშნება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. ამავე კანონის 47.2 მუხლის თანახმად, თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, ქონებას ყადაღის დადების რეგისტრაციის შემდეგ შეაფასებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური პირი. 47.4 მუხლის თანახმად კი, სააღსრულებო წარმოების მხარეს უფლება აქვს, სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე წარადგინოს ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ქონება შეფასებულია სააღ-

სრულებო წარმოების დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დაეყრდნოს სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნას, ხოლო თუ ერთსა და იმავე ქონებაზე დასკვნები წარადგინა ორივე მხარემ – ერთ-ერთ დასკვნას. სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დასაშვებად მიჩნევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, აღმასრულებელმა დაიცვა კანონის მოთხოვნა – მან მიმართა უძრავ/მოძრავი ქონების შეფასებელს აუქციონის წესით სარეალიზაციო ქონების შესაფასებლად, როგორც ამას მოითხოვს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.2 მუხლი, ხოლო ლ. ლ-ემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი მხრიდან კანონის 47.4 მუხლით მინიჭებული უფლების გამოყენებას და სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე, ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ დოკუმენტის წარდგენას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი თანაბრად უზრუნველყოფს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლებათა დაცვას. ამ მიზნით, მოვალე აღჭურვილია უფლებით, აღმასრულებელს წარუდგინოს საკუთარი ძალებით მოპოვებული, სარეალიზაციო ქონების ღირებულების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა. სააპელაციო სასამართლომ საყურადღებოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 13.12.2017წ. განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, №6078317 სააღსრულებო საქმის წარმოება შეჩერდა, ხოლო მოვალის მიერ მოპოვებული აუდიტის დასკვნა წარდგენილ იქნა სასამართლოში სარჩელთან ერთად და არა სააღსრულებო ბიუროში, აღმასრულებელთან. აღმასრულებელი შეჩერებულ სააღსრულებო საქმეზე ვერ განახორციელებდა შესაბამის მოქმედებებს. მიმდინარე სააღსრულებო წარმოების პროცესში, მოსარჩელეს აღმასრულებლის წინაშე უნდა წარედგინა უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა სარეალიზაციო ქონების ღირებულების შესახებ, რაც მოახდენდა მისი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული ქონების ფასის შედავების უფლების რეალიზაციას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ქონების შეფასება ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული კანონის 28.8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახ-

მად, საშემფასებლო მომსახურების განვების უფლება მიეცა მხოლოდ იმ პირს, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება ენიჭება აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს. მოსარჩელის მიერ სასამართლოში (და არა აღმასრულებელთან) წარდგენილი შპს „ა...ის“ 12.12.2017წ. №11/6 დასკვნა ზოგადი ინფორმაციულობით ხასიათდება და არ შეიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.1 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო მონაცემებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.4 მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ სარეალიზაციო ქონების შეფასების შესახებ დასკვნა ძალმოსილია 6 თვის განმავლობაში. დასკვნის გაცემიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, მითითებული ქონება ხელახლა უნდა შეფასდეს, რათა შესაძლებელი გახდეს დასკვნის საფუძველზე სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დაეყრდნოს სააღსრულებო წარმოების მონაწილე მხარის მიერ წარდგენილ დასკვნას, ხოლო თუ ერთსა და იმავე ქონებაზე დასკვნები წარადგინა ორივე მხარემ – ერთ-ერთ დასკვნას. სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარდგენილი დასკვნის დასაშვებად მიჩნევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის უფლების აღდგენა შესაძლებელი იქნება აღსრულების პროცესში ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.11.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ლ-ემ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი მხარეს აძლევს უფლებას, წამოიწიოს დავა ქონების ფასზე, თუ არ ეთანხმება სააღსრულებო წარმოების დროს წარდგენილ დასკვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ მოვალე დაეთანხმა ქონების შეფასებას და მომავალში ამ საფუძველზე მითითებით ველარ შეძლებს ინტერესის დაცვას. ამავე კა-

ნონის 47.4 მუხლის თანახმად, მხარეს ექსპერტიზის დაკვნის წარდგენის უფლება აქვს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე. აღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეს გააჩნია უფლება და არა ვალდებულება, წარადგინოს დასკვნა, ხოლო აღმასრულებელს გააჩნია ვალდებულება და არა უფლებამოსილება, ქონების რეალიზაცია მოახდინოს კანონით დადგენილი წესით. ამ ვალდებულებაში იგულისხმება აუქციონის დანიშნამდე ქონების რეალური საბაზრო ღირებულების დადგენა და არა ხელოვნურად დაბალი ფასის განსაზღვრა ქონების დათვალიერების გარეშე, იმ მიზნით, რომ ის უფრო იოლად შესაძენი გახდეს კრედიტორისათვის. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში მითითებულია, რომ ქონების დათვალიერება არ მომხდარა, რაც ნიშნავს იმას, რომ შეფასება განხორციელდა ზერელედ. მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ შეფასებას და წამოიწყო დავა. კასატორის მოსაზრებით, დასკვნის წარდგენის უფლების განუხორციელებლობა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსახილველ საქმეზე მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.4 მუხლიდან გამომდინარე, მხარე ვალდებული იყო, შესაბამისი დასკვნა სააღსრულებო ბიუროში წარედგინა ქონების შეფასებამდე. კასატორის განმარტებით, მას აღნიშნული დასკვნის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნდა და არა ვალდებულება. ამასთან, შესაბამისი უფლება არ გამოიყენა, ვინაიდან არ ჰქონდა მოლოდინი, რომ ქონება შეფასდებოდა არარეალურად დაბალი ფასით. საქმეში წარმოდგენილი ორი დასკვნის შედარებით დადგინდა, რომ ქონების ფასებს შორის სხვაობა 115 000 ლარს შეადგენს. ამდენად, მას შემდეგ, რაც მხარემ გაიგო, რომ მოპასუხემ ქონება შეაფასა გამოკვლევისა და დათვალიერების გარეშე, ძალიან დაბალ ფასად, გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლება და წამოიწყო დავა ქონების ფასზე, რაც მოვალის არათანაბარ პირობებში ჩაყენებისაგან დაცვის გარანტია. კანონი არ ართმევს მოვალეს ქონების ფასზე დავის უფლებას, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის უფლების გამოუყენებლობის პირობებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.03.2019წ. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი. ამავე სასამართლოს

03.12.2020წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ საქმის გადაწყვეტისათვის, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს:

ქუთაისში, ...ას ქ. ...-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) №1 შენობიდან გამოყოფილი ნაწილი (275,67 კვ.მ, ფართი №1) საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ლ. ლ-ის სახელზე. უძრავი ქონების აღნიშნულ ნაწილზე, №1364 იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე, 01.05.2014წ. საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „...“-ის იპოთეკის უფლება.

ნოტარიუს ე. გ-ის მიერ გაცემული 15.01.2015წ. №150033717 სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, ლ. ლ-ისათვის კრედიტორ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „...ის“ სასარგებლოდ დაკისრებული 18809,28 აშშ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს იპოთეკის საგნის რეალიზაცია (ქუთაისში, ...ას ქ. ...-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) №1 შენობიდან გამოყოფილი ნაწილი – 275,67 კვ.მ, ფართი №1).

ზემოაღნიშნული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, კერძო აღმასრულებელმა რ. ს-ემ დაიწყო სააღსრულებო წარმოება. აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე, ლ. ლ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში 10.08.2016წ. დარეგისტრირდა ყადაღა. ამავე წარმოებასთან დაკავშირებით, დაყადაღებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, კერძო აღმასრულებელმა 23.10.2017წ. მიმართა შპს „...ს“.

შპს „...ის“ მიერ შედგენილი 30.10.2017წ. №170/2017 დასკვნით

დგინდება, რომ ლ. ლ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეფასდა საჯარო რეესტრიდან 21.02.2017წ. ამონაწერის მიხედვით. უძრავი ქონება წარმოადგენს ერთსართულიან კაპიტალურ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც გააჩნია შესასვლელი ლითონის ერთფრთიანი კარი. საცხოვრებელი სახლის შიდა ინტერიერის დათვალიერება და დასურათება ექსპერტიზის ჩატარების დროს ვერ მოხერხდა. დასკვნის თანახმად, ქუთაისი, ...ას ქუჩა ...-ში მდებარე, ლ. ლ-ის კუთვნილი უძრავი ქონების საბაზრო საორიენტაციო ღირებულება, შეფასების მომენტისათვის შეიძლება განისაზღვროს 105,000 ლარად.

12.12.2017წ. კერძო აღმასრულებელმა რ. ს-ემ ლ. ლ-ეს გაუგზავნა წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. მოვალეს ეცნობა 15.01.2015წ. №150033717 სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით წარმოების მიმდინარეობის შესახებ, განემართა სააღსრულებო ფურცელში მითითებული ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესაძლებლობა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

12.12.2017წ. ლ. ლ-ემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა კერძო აღმასრულებლისათვის ქმედების განხორციელების დავალება – ქ. ქუთაისში, ...ას ქ. ...-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ..., შენობა №1-ის გამოყოფილი ნაწილის 275,67 კვ.მ ფართი №1) შეფასება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით. მოსარჩელემ წარადგინა შპს „ა...ის“ მიერ შედგენილი 12.12.2017წ. №11/6 ქონების შეფასების აუდიტორული დასკვნა, რომლითაც ლ. ლ-ის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება შეფასებულია 219157,65 ლარად. დასკვნაში მითითებულია, რომ შესაფასებელი ქონება – საცხოვრებელი სახლი კაპიტალურია, წინა მხრიდან ერთსართულიანია, ხოლო უკანა მხრიდან – ორსართულიანი. პირველ სართულზე არის ორი საცხოვრებელი ოთახი, სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი და მარანი. მეორე სართულზე არის 4 საძინებელი ოთახი, დიდი სასტუმრო, მისაღები ოთახი, სამზარეულო, აბანო და ტუალეტი. საცხოვრებელი სახლის ორივე სართულზე განხორციელებულია ევრორემონტი, ორივე სართულზე მოწყობილია მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა. ადგილმდებარეობის და სახლის ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, 1 კვ.მ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 300 აშშ დოლარით, ხოლო მინის ნაკვეთთან ერთად სახლის მთლიანი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 219157,65 ლარით.

განსახილველ საქმეზე მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს სა-

აღსრულებო წარმოების ფარგლებში მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (იპოთეკის საგნის) ღირებულების სწორად განსაზღვრა, ქონების რეალურ ფასად რეალიზების მიზნით. მოსარჩელის მოსაზრებით, სარეალიზაციო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კერძო აღმასრულებლის მოთხოვნის საფუძველზე შედგენილი აუდიტის დასკვნა სწორად არ ასახავს ქონების ღირებულებას, იქმნება აუქციონზე უძრავი ქონების რეალურ ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად გაყიდვისა და მისი, როგორც მოვალის, უფლების შელახვის საფრთხე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 3.3 მუხლის თანახმად, აღსასრულებელი გადანყვეტილებების იძულებით აღსრულებას ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ახორციელებს კერძო აღმასრულებელი, რომელიც პასუხისმგებელია წარდგენილი სააუქციონო დოკუმენტაციის ფაქტობრივი მონაცემების სისწორეზე. აღსრულების ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია მხოლოდ აუქციონის ჩატარების დღეს განხორციელებული, ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული პროცედურის ამ კანონთან შესაბამისობისთვის. ყველა სხვა მოსამზადებელ თუ აუქციონის შემდგომ მოქმედებას ახორციელებს კერძო აღმასრულებელი საკუთარი პასუხისმგებლობით (კანონის 147.6, 147.12 მუხლები). მითითებული კანონის 17.5 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ხოლო 63¹.1 მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ხდება მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დადგენილი წესით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლი შეეხება სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ქონების შეფასებას. 47.1 მუხლის თანახმად, ქონების აღწერის დროს, მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების საბაზრო ღირებულება აღინიშნება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში, ხოლო 47.2 მუხლის შესაბამისად, თუ ქონების აღწერისას ფასების დადგენა შეუძლებელია, ქონებას ყადაღის დადების რეგისტრაციის შემდეგ შეაფასებს აღსრულების ეროვნული ბიურო ან აღსრულების ეროვნული ბიუროს დავალებით სხვა კომპეტენტური პირი. ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს სააღსრულებო წარმოების მხარის უფლებას – სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების შეფასებამდე წარადგინოს ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ექსპერ-

ტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ქონება შეფასებულია სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია დაეყრდნოს სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარდგენილ დასკვნას, ხოლო თუ ერთსა და იმავე ქონებაზე დასკვნები წარმოადგინა ორივე მხარემ – ერთ-ერთ დასკვნას. სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ წარმოდგენილი დასკვნის დასაშვებად მიჩნევის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს აღსრულების ეროვნული ბიურო.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47.4 მუხლი და სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობა დაუკავშირა მოსარჩელის მხრიდან ქონების საბაზრო ღირებულების ამსახველი ექსპერტის დასკვნის დროულად წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობას. სასამართლომ არასწორად მიუსადაგა მითითებული ნორმა მოცემულ შემთხვევას, გასაჩივრებული განჩინება არ ეფუძნება სწორ სამართლებრივ საფუძველს და არ გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვის მიზანიდან გამომდინარე, სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კანონის მოთხოვნათა სიზუსტით. ამასთან, სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომელიც ადგენს შესაძლებლობას, შესაბამისი უფლების დაცვა განხორციელდეს სასამართლოსადმი მიმართვის გზით, მათ შორის – კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე. ამასთან, 18.3 მუხლის შესაბამისად, კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ, აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების თაობაზე მიმართონ სასამართლოს.

მნიშვნელოვანია, რომ სააღსრულებო წარმოების მხარეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით ქონების ფასზე დავის უფლება მინიჭებული აქვს უპირობოდ და აღნიშნულისათვის დაბრკოლებას არ ქმნის ამავე კანონის 47.4 მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოუყენებლობა. კერძოდ, 47.4 მუხლი მხარეს ანიჭებს უფლებას, სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ან ქონების შეფასებამდე თავადაც წარადგინოს აღსრულების ეროვნულ ბიუროში სარეალიზაციო ქონების შეფასების ამსახველი ექსპერტიზის დასკვნა, თუმცა ამ უფლების გამოყენები-

საგან თავის შეკავება ხელს არ უშლის პირს, აღმასრულებლის მიერ ქონების შეფასების შემდეგ წამოიწყოს დავა სარეალიზაციო ქონების ფასზე. კანონის 18.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შესაძლებლობა კავშირშია აღმასრულებლის მიერ ქონებასთან მიმართებაში უკვე განხორციელებული შეფასების შედეგთან, რომელიც შეიძლება დაინტერესებულ პირს არარეალურად მიაჩნდეს. ამდენად, კანონის 47.4 მუხლით მხარისათვის განსაზღვრული უფლებამოსილება (და არა ვალდებულება) ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის შესახებ, წარმოადგენს აღმასრულებლისათვის შესაბამისი ქმედების კანონიერად განხორციელების პროცესის ნაწილს, თუმცა არა ამ ქმედების განხორციელების აუცილებელ ელემენტს. აღსრულების პროცესში სარეალიზაციოდ განსაზღვრული ქონების ღირებულებასთან დაკავშირებული დავის წამოწყების უფლების გამომრიცხავ გარემოებად არ უნდა იქნეს მიჩნეული დაინტერესებული პირის მიერ ქონების ღირებულების განმსაზღვრელი დასკვნის აღმასრულებელთან წარდგენა წარმოების დაწყებისას ან აღმასრულებლის მიერ ქონების შეფასებამდე. კანონის 47.4 მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენებლობა არ ნიშნავს სამომავლოდ აღსრულების პროცესის მონაწილის უფლების მოსპობას – იდავოს ქონების ფასზე, მას შემდეგ, რაც გაეცნობა აღმასრულებლის ინიციატივით განხორციელებული ქონების შეფასების შედეგებს და მიიჩნევს, რომ მისი ქონება არასწორად შეფასდა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახული მსჯელობა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 47.4 მუხლთან მიმართებაში წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, სასამართლო მსჯელობს მითითებული მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენებლობის უარყოფით შედეგზე მოსარჩელის ინტერესთან მიმართებაში, ხოლო მეორე მხრივ – სასამართლო ადასტურებს მოსარჩელის უფლების აღდგენის შესაძლებლობას, აღსრულების პროცესში ქონების საბაზრო ღირებულების ამსახველი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში. ამასთან, სასამართლო არ მიუთითებს კანონის მე-18 მუხლზე, რომელიც 47.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან დამოუკიდებლად იძლევა აღსრულების პროცესში ქონების ფასზე დავის შესაძლებლობას, სასამართლო კონტროლის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების შეფასების ძირითადი დანიშნულება, მისი არარეალური ღირებულებით გასხვისების თავიდან აცილებაა. აღმასრულებლის მიერ ქონების არასწორ შეფასებას შე-

იძლება შედეგად მოჰყვეს მოვალის უფლებების დარღვევა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის შესაბამისად, თუ აუქციონზე ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხის ჯამი გადააჭარბებს აღსრულების საფასურის, აღსრულების ხარჯისა და კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას, ნამეტი თანხა უბრუნდება მოვალეს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვალის მიმართ მიმდინარეობს სხვა სააღსრულებო წარმოება იმავე ან/და სხვა კრედიტორის სასარგებლოდ და ასეთი წარმოების ფარგლებში მოვალეს არ ეკისრება რაიმე სახის გადახდევინება. კანონის 70.3 მუხლი). ამდენად, რაც უფრო აღემატება სარეალიზაციო ქონების ღირებულება კრედიტორისათვის ასანაზღაურებელი ვალდებულების ოდენობას, მით უფრო მეტი თანხის მიღების შესაძლებლობა აქვს მოვალეს ქონების რეალიზების შედეგად ამონაგები თანხიდან. ქონების ღირებულების არასწორად განსაზღვრით, მისთვის დასაბრუნებელი თანხა უსაფუძვლოდ შემცირდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე. ამასთან, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ შეფასებას, ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულების სახე – ექსპერტის დასკვნა მცოდნე პირის წერილობითი ინფორმაციაა, მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიმდინარეობისა და დადგენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული მტკიცებულების შემოწმება და სათანადოდ შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამასთან, სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის, თუმცა მისი უარყოფა უნდა მოხდეს სასამართლოს დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი გარემოების დასადგენად მნიშვნელოვანია სარეალიზაციო ქონებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების – აუდიტის და ექსპერტიზის დასკვნების ურთიერთშედარება, მათი სწორად შეფასება, თუმცა სააპელაციო სასამართლოს საქმეში არსებული შესაბამისი მტკიცებულებები სათანადოდ არ შეუფასებია. საქმეზე წარმოდგენილი აუდიტის და ექსპერტიზის დასკვნების ურთიერთშედარებით დგინდება, რომ მათში ასახული მონაცემები არსებითად განსხვავებულია სარეალიზაციო უძრავი ქო-

ნების შეფასებასთან მიმართებაში, კერძოდ, შპს „...ის“ 30.10.2017წ. №170/2017 დასკვნაში მითითებულია, რომ შესაფასებელი უძრავი ქონება წარმოადგენს ერთსართულიან კაპიტალურ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც გააჩნია შესასვლელი ლითონის ერთფრთიანი კარი. აღნიშნული დასკვნით ქონების საბაზრო საორიენტაციო ღირებულება განსაზღვრულია 105,000 ლარით. რაც შეეხება მოსარჩელის ინიციატივის საფუძველზე შპს „ა...ის“ მიერ შედგენილ 12.12.2017წ. №11/6 აუდიტორულ დასკვნას, მასში მითითებულია, რომ შესაფასებელი ქონება – საცხოვრებელი სახლი კაპიტალურია, წინა მხრიდან ერთსართულიანია, ხოლო უკანა მხრიდან – ორსართულიანი. ადგილმდებარეობის და სახლის ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ლ. ლ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეფასდა 219157,65 ლარად. მნიშვნელოვანია, რომ შპს „...ი“ სარეალიზაციო ქონების შეფასებისას დაეყრდნო საჯარო რეესტრის მონაცემებს, ამასთან, ექსპერტიზის ჩატარების დროს საცხოვრებელი სახლის შიდა ინტერიერის დათვალიერება და დასურათება არ მომხდარა, ხოლო შპს „ა...ი“ დაეყრდნო ფაქტობრივ მდგომარეობას და შეფასება განახორციელა ბინის საერთო ფართის მიხედვით. ამდენად, უდავოა, რომ ბინის ღირებულებასთან მიმართებაში მითითებული დასკვნები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას, განსხვავების პირობებში ერთ-ერთი დასკვნისათვის უპირატესობის მინიჭების აუცილებლობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე უარყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სპეციალური ცოდნის არქონის ან წარდგენილ მტკიცებულებათა არასარწმუნოების შემთხვევაში, გარემოებათა დამატებითი გამოკვლევის მიზნით, სასამართლოს გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება – მიიწვიოს სპეციალისტი და დასკვნასთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი განმარტება, რასაც ასევე მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ საქმეზე წარმოდგენილი შპს „ა...ის“ 12.12.2017წ. №11/6 დასკვნა ზოგადინფორმაციული ხასიათისაა და არ შეიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო მონაცემებს, თუმცა გაურკვეველია, კონკრეტულად რას ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება აუდიტის დასკვნის მითითებული კანონის ნორმებთან შეუსაბამობის თაობაზე. გასაჩივრებული განჩინება ასევე არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ მი-

თითებული აუდიტის დასკვნა არ არის შედგენილი და ხელმოწერილი სერტიფიცირებული შემფასებლის მიერ. სააკველიაციო სასამართლო, სადავო შემთხვევასთან მიმართებაში სათანადო განმარტების გარეშე მოიხმობს „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის 28.8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, 2019 წლის პირველ ივლისამდე, სამემფასებლო საქმიანობის შესახებ საკანონმდებლო აქტის შემუშავებამდე და მის ამოქმედებამდე, სამემფასებლო მომსახურების განევის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ აკრედიტებულ შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება ენიჭება აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებულ შემფასებელს.

საკასაციო სასამართლო ასევე საყურადღებოდ მიიჩნევს განსახილველ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებას და თვლის, რომ მოთხოვნა საჭიროებს დაზუსტებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც აღინიშნა, განსახილველ საქმეზე მოსარჩელის ინტერესია, აუქციონზე რეალიზაციამდე კერძო აღმასრულებლის მიერ მისი ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრა. ამასთან, მოსარჩელე მოითხოვს, რომ კერძო აღმასრულებელს დაევალოს ქუთაისში, ...ა ქ. ...-ში მდებარე მისი კუთვნილი უძრავი ქონების შეფასება მოახდინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, თუმცა საქმეში ასეთი დასკვნა წარმოდგენილი არ არის.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83.1 მუხლის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობა მხარეს აძლევს შესაძლებლობას, შეხედულებისამებრ, იმ მტკიცებულების (მათ შორის – ექსპერტიზის დასკვნის) ობიექტურობაზე მიუთითოს, რომლის გაზიარების აუცილებლობაც მიაჩნია საჭიროდ სადავო საკითხთან მიმართებაში. ამასთანავე, სასამართლოს შესაძლებლობა – იმსჯელოს მხარის მიერ მითითებული დასკვნის უპირატესობაზე სხვა დასკვნებთან მიმართებაში, უნდა გამომდინარეობდეს რეალურად არსებული მტკიცებულებებიდან. მოცემულ შემთხვევაში, ნათელია მოსარჩელის ზოგადი ინტერესი – მის საკუთრებაში არსებული სარეალიზაციო

უძრავი ქონების შეფასება „საალსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ობიექტური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის კონკრეტული შინაარსი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან. მართალია, მოსარჩელის მხრიდან უძრავი ქონების შეფასების საფუძველად სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნაზე მითითება გამომდინარეობს უძრავი ქონების ობიექტურად შეფასების ინტერესიდან და ადასტურებს მხარის შეხედულებას ბიუროს მიერ გაცემული დასკვნების მაღალკვალიფიციურობაზე, თუმცა არსებული ფაქტობრივი მოცემულობა სხვა დასკვნებთან მიმართებაში მისი შედარების შესაძლებლობას არ იძლევა. ამრიგად, მოსარჩელემ უნდა დააზუსტოს სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ: იგი აღმასრულებლისაგან მოითხოვს ქონების ობიექტურად შეფასებას საქმეში მის მიერ წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე თუ ითხოვს შეფასება მოხდეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის შესაბამისად, რაც შეუძლებელია, საქმეში ამ დასკვნის არარსებობის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ განჩინებაში ასახული მითითებების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებაზე, მის საფუძველიანობაზე და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამდენად, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.11.2018წ. გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმის 21.11.2018წ. განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადანყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-881(კ-19)

25 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ქონების ნატურით გადაცემის შესახებ აღმასრულებლის განკარგულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების მიზნით, საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მიერ 06.02.2013წ. გამოცა №027-18 ბრძანება სს „...ს“ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. ბრძანების საფუძველზე 25.02.2013წ. შედგა სს „...ს“ ქონებაზე ყადაღის დადების №027-18 აქტი, კერძოდ, სს „...ს“ საკუთრებად საჯარო რეესტრში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მთელ უძრავ ქონებას – მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს (ზუგდიდში, ...ას ქ. №1-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 75 661 კვ.მ. მიწას, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს) დაედო ყადაღა.

სამეგრელო და ზემო სვანეთი სააღსრულებო ბიურომ 28.02.2013წ. შუამდგომლობით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სა-

სამართლოს, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შორის 14.04.2011წ. დადებული ხელშეკრულების, საგადასახადო კოდექსის 241-ე, 242-ე მუხლების, სასკ-ის VII^ე თავის შესაბამისად, მოითხოვა სს „...ს“ საგადასახადო ბრძანების გამოცემა სპეციალიზებულ ღია საჯარო აუქციონზე ყადაღის აქტებში მითითებული ქონების რეალიზაციის შესახებ. შუამდგომლობის აღძვრის მომენტისთვის სს „...ს“ აღიარებული საგადასახადო დავალიანება შედარების აქტის თანახმად 33272,62 ლარს შეადგენდა. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანებით (საქმე №3/27-13) შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დადგინდა სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის გზით სს „...ს“ (ს/ნ: ...) ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის დღისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 18.09.2013წ. ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომლის საფუძველზე 27.09.2013წ. დაიწყო სააღსრულებო საქმის წარმოება. აღმასრულებელმა 31.10.2016წ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა შემოსავლების სამსახურის მიერ ყადაღადადებულ ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის, ხოლო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურს – ყადაღადადებული ქონების შეფასების მოთხოვნით.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და საგადასახადო დავალიანების გადახდის უზრუნველყოფის მიზნით სს „...ს“ დაყადებული ქონების მიმართ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 18.09.2013წ. გაცემული №3/27 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება მოითხოვა. სამეგრელო და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ – სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება აღსრულების თაობაზე, მოვალე სს „...ს“ მიმართ და საქმეს მიენიჭა ნომერი – №13059029.

31.05.2016წ. აღმასრულებლის მიერ გაიგზავნა წინადადება გადანყვეტილების შესრულების შესახებ, რომლითაც მოსარჩელეს ეცნობა, რომ მას 7 (შვიდი) დღის ვადაში ნებაყოფლობით უნდა გადაეხადა სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული თანხა, მოვალე გაფრთხილებულ იქნა, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში განხორციელდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული იძულებითი მოქმედებები. აღმასრულებლის წინადადება გადანყვეტილების შესრულების შესახებ სს „...ს“ დირექტორს 31.05.2016წ. ჩაბარდა.

შეფასების სამსახურის ექსპერტიზის დასკვნით ქონების საბაზ-

რო ღირებულება განისაზღვრა 3 723 000 ლარით – 1 496 000 აშშ დოლარით. 10.11.2016წ. აღმასრულებელმა სს „...ს“ მიმართ გამოცხადდა „გაფრთხილება აუქციონის დაშვების შესახებ“, რომელშიც მიეთითა, რომ აუქციონის წესით მოხდებოდა ქონების რეალიზაცია არსებული დავალიანების ფარგლებში. 03.05.2017წ. აღმასრულებელმა შემოსავლების სამსახურისგან მოითხოვა ინფორმაცია დავალიანების ოდენობის შესახებ. შემოსავლების სამსახურის მიერ სააღსრულებო ბიუროს ეცნობა, რომ 10.05.2017წ. მონაცემებით სს „...ს“ საგადასახადო დავალიანება 138 991,78 ლარს შეადგენდა.

პირველი იძულებითი აუქციონი 20.04.2017წ. უშედეგოდ დასრულდა. იმავე დღეს ქონება სავაჭროდ გატანილ იქნა პირველ განმეორებით აუქციონზე, რომელიც 28.04.2017წ. ასევე უშედეგოდ დასრულდა. 11.05.2017წ. გამოცხადდა მეორე განმეორებითი აუქციონი, რომელიც 19.05.2017წ. კვლავ უშედეგოდ დასრულდა. 22.05.2017წ. აღმასრულებლის მიერ გაიცა №A 13059019-021/001 განკარგულება უძრავი ქონების (მდებარე: ქ. ზუგდიდი, ...ას ქ. №1, ს.კ. ...) სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის შესახებ. სახელმწიფოსათვის გადაცემული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ზუგდიდი, ...ას ქ. №1, ს.კ. ... (ნაკვეთის წინა ნომერი: ...), საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 30.05.2007წ. გადაწყვეტილების საფუძველზე. სახელმწიფოსათვის გადაცემული ქონების საბაზრო ღირებულებამ 3 723 000 ლარი შეადგინა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.2010წ. №144 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სს „...ს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება ნატურით გადაცემისას შეადგენდა – 1 861 500 ლარს.

სს „...ს“ წარმომადგენელმა 26.06.2017წ. საჩივრით მიმართა ეროვნულ ბიუროს, რომლითაც მოითხოვა აღმასრულებლის 22.05.2017წ. №A 13059019-021/001 განკარგულების ბათილად ცნობა. ეროვნული ბიუროს 29.06.2017წ. ბრძანებით საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

31.05.2017წ. სს „...ს“ დირექტორმა მიმართა შემოსავლების სამსახურს განცხადებით საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ, რომელიც 01.06.2017წ. დაზუსტდა. განცხადების თანახმად, საგადასახადო დავალიანება 139 837,67 ლარით განისაზღვრა, 01.07.2017წ. მდგომარეობით საგადასახადო დავალიანება შედარების აქტი დაფიქსირდა 141 148,81 ლარის ოდენობით. სს „...ს“ კუთვნილი ყადაღადებული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის გამო საგადასახადო შეთანხმება არ გაფორმდა.

სს „...მ“ აღძრული სარჩელით მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული

ნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 22.05.2017წ. №A13059019-021/001 განკარგულების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სს „...ს“ წარმომადგენელმა 26.06.2017წ. საჩივრით მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა აღმასრულებლის მიერ 22.05.2017წ. გაცემული განკარგულების ბათილად ცნობა. მიუხედავად იმისა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს სზაკ-ის შესაბამისად შეედლო საჩივრის განხილვა და თავისი ინიციატივითაც უფლებამოსილი იყო ბათილად ეცნო აღმასრულებლის განკარგულება, სს „...ს“ საჩივარი 29.06.2017წ. ბრძანებით განუხილველად იქნა დატოვებული, რამაც განაპირობა სასამართლოსათვის მიმართვის აუცილებლობა. საგადასახადო კოდექსის 241-ე, 242-ე მუხლების თანახმად, საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება ქონების საბაზრო ღირებულების ტოლია ან აღემატება მას. უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შემოიფარგლება აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობით, რაც არის გარანტი იმისა, რომ მოხდეს სწორედ იმ ოდენობის და მოცულობის გადასახადის ამოღება, რომლის არსებობასაც ადასტურებს. რეალიზაციის დღისათვის არსებული დავალიანების ოდენობაში სასამართლოს არ დაუდგენია მომავალში წარმოშობილ დავალიანებაზე. ბიუროს უნდა გაერკვია შუამდგომლობაში მითითებული დავალიანებიდან რამდენი იყო რეალიზაციის დღისათვის გადაუხდელი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოეხდინა რეალიზაცია. სასამართლო ბრძანების მიღების შემდეგ მოვალის მიერ 16.09.2013წ. – 19.02.2014წ. პერიოდში გადახდილ იქნა 13200 ლარი, შესაბამისად, აღსასრულებელ ბრძანებაში მითითებული დავალიანებიდან გადაუხდელი რჩებოდა მხოლოდ 20 072,62 ლარი. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ბიურომ აღსრულება არასწორად განახორციელა არა 20072,62 ლარის ოდენობით დავალიანებასთან მიმართებაში, არამედ 138 991,78 ლარის ოდენობით დავალიანებასთან მიმართებაში. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ თანხებს შორის სხვაობა არ არის გამოწვეული მხოლოდ საურავით, ვინაიდან მოვალეს ბრძანების შემდგომაც დაერიცხა ძირითადი თანხები. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სააღსრულებო ბიურომ ორი შესაძლო გადაწყვეტილებიდან (ქონების სახელმწიფოსათვის ნატურით გადაცემა და ქონების მოვალისათვის დაბრუნება) პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით არ დაასაბუთა ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის გადანყვეტილება, არ დაიცვა კრედიტორისა და მოვალის ინტერესების

ბალანსი, რის შედეგადაც მცირე ოდენობის (20 ათასი ლარის) დავალიანების სანაცვლოდ სახელმწიფო საკუთრებაში ამოიღო გაცილებით დიდი ღირებულების (3,7 მლნ. ლ.) სამენარმეო-ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი უძრავი ქონება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 13.03.2018წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ორ სხვადასხვა საშუალებას – ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას (საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხ.) და პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას („მომდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესი“). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლი ითვალისწინებს ქონების სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის შესაძლებლობას გარკვეული წინაპირობების არსებობისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების ფარგლებში სახელმწიფოსათვის ქონების ნატურით გადაცემა და არა საგადასახადო კოდექსის 25-ე თავით დადგენილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა – პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის სახით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვის გავრცელება. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სააღსრულებო ბიუროს ორი შესაძლო გადაწყვეტილებიდან (ქონების სახელმწიფოსათვის ნატურით გადაცემა და ქონების მოვალისათვის დაბრუნება), პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, არ დაასაბუთა ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის გადაწყვეტილება და არ დაიცვა კრედიტორისა და მოვალის ინტერესების ბალანსი. სასამართლომ სზაკ-ის 5.1 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპია – უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელება, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის საფუძველზე ორგანო ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა აღსაღსრულებელი გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისთვის.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით

გასაჩივრდა სს „...ს“ მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 05.03.2019 წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის გავრცელების დაუშვებლობაზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 242-ე მუხლი ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორ სხვადასხვა საშუალებას – ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას და პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას. პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის წესი და პროცედურა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „წესით“, ხოლო ყადაღადადებული ქონების აუქციონით რეალიზაციის წესზე მიუთითებს საგადასახადო კოდექსის 242.3 მუხლი, რომლის თანახმად მოვალის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული და ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას ახორციელებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლი ითვალისწინებს ქონების სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების ფარგლებში სახელმწიფოსათვის ქონების ნატურით გადაცემა და არა საგადასახადო კოდექსის XXXV თავით დადგენილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა – პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის სახით. შესაბამისად, უსაფუძვლოა საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის გავრცელების მოთხოვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სს „...ს“ მიერ, რომელიც ითხოვს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულ დაკმაყოფილებას, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 22.05.2017წ. განკარგულების ბათილად ცნობას. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლი, არ გამოიყენა დისკრეტული უფლებამოსილების გამოყენების, თანაზომიერების და პროპორციულობის სამართლებრივი პრინციპი. სასამართლომ საგადასახადო დავალიანების ოდენობა არ შეუპირის-

პირა და არ დაადგინა, რომ საგადასახადო დავალიანების ოდენობას ქონების ღირებულება ორჯერზე მეტად აღემატებოდა. კასატორი თვლის, რომ უნდა დადგინდეს კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლის შესაბამისად საალსრულებო ბიურომ ქონება ნატურით უნდა გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში ან მოვალეს დაუბრუნოს ქონება და მასზე მოხსნას ყადაღა. კასატორის აზრით, ასეთ კრიტერიუმს წარმოადგენს ქონების ღირებულება: თუ ქონების ღირებულება დავალიანებას ორჯერზე მეტად აღემატება, მაშინ არ უნდა მოხდეს ქონების ნატურით სახელმწიფოსათვის გადაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, მაგ. დავალიანება იყოს 100 ლარი, ხოლო ნატურით სახელმწიფო საკუთრებაში მიექცეს 1 მილიონი ღირებულების ქონება. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ ფაქტობრივად დააკანონა სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების ხელყოფა, საკუთრების ჩამორთმევა ფორმალური ნიშნით.

კასატორი თვლის, რომ აღსასრულებელი სასამართლო ბრძანების მიხედვით საგადასახადო დავალიანების ფარგლებს არ უნდა სცდებოდეს რეალიზებული ქონების ღირებულება. აღნიშნულის დასადასტურებლად კასატორი უთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.01.2007წ. ბრძანებას (საქმე №3/7132-16), რომლითაც შემოსავლების სამსახურს უარი ეთქვა ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ ერთადერთი მოტივით, რომ „ყადაღადადებული ქონების ღირებულება გაუმართლებლად არ უნდა აღემატებოდეს დავალიანების მოცულობას“. აღსასრულებელ ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია მომხდარიყო რეალიზების დღისთვის არსებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში. კასატორი თვლის, რომ აღსრულებისათვის მნიშვნელოვანი აუქციონის მომენტისათვის არსებული საერთო დავალიანება კი არ იყო, არამედ ყადაღის დადების მომენტისათვის არსებული ანუ აღსასრულებელი ბრძანებით ნაგულისხმევი აღიარებული საგადასახადო დავალიანებიდან გადაუხდელი დავალიანება (დაახლოებით 20 ათასი ლ. და არა 140 ათასი ლ.).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.10წ. №944 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 55-ე მუხლის, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.10წ. №144 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 2.6 მუხლის თანახმად, თუ ქონება ნატურით მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში, დავალიანება იფარება მისი ღირებულების ნახევრით. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების ღირებულება ორჯერ მეტად აღემატება დავალიანებას, დაუშვებელია გადასახადის გადამხდელის ქო-

ნების ნატურით გადაცემა. მოცემულ შემთხვევაში დავალიანება ჩამოიწერა, მაგრამ ზედმეტი თანხა არც ზედმეტობაში ასახულა და არც გადამხდელს დაბრუნებია. სააღსრულებო ორგანომ გადან-ყვეტილება უნდა მიიღოს საკუთრების უფლების დაცვის, აღსრუ-ლების თანაზომადობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორ-ციულობის, დასაბუთების პრინციპებიდან გამომდინარე. სხაკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების გან-ხორციელებისას არ შეიძლება გამოიციეს აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გა-მოიცა, აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამო-ინვიოს პირის უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზ-ღუდვა.

კასატორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ქონების ყადაღისაგან გა-თავისუფლებისა და მოვალისათვის დაბრუნების შედეგები არ უქ-მნის საგადასახადო დავალიანებას გადაუხდელობის საფრთხეს, ვი-ნაიდან ქონება თავისუფლდება სააღსრულებო ბიუროს მიერ გა-მოყენებული ყადაღისაგან, მაგრამ არ უქმდება საგადასახადო ყა-დაღა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, შესაბამისად, ქონე-ბა რჩება როგორც საგადასახადო უზრუნველმყოფი საშუალება. კა-სატორი საქმის ფაქტობრივი გარემოებასთან დაკავშირებით პრე-ტენზიის სახით აღნიშნავს, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნე-ლობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა დავალიანების მოცუ-ლობა, შუამდგომლობის აღძვრის მომენტისათვის სს „...ს“ საგადა-სახადო დავალიანება 33472,53 ლარს შეადგენდა, დავალიანები-დან სს „...ს“ მიერ 16.02.2013წ. – 19.02.2014წ. პერიოდში გადახდილ იქნა 13 200 ლარი, აღიარებული დავალიანება 20 272,53 ლარს შე-ადგენდა, აღმასრულებელმა შემოსავლების სამსახურიდან მოით-ხოვა ინფორმაცია დავალიანების ოდენობის შესახებ, რაზეც ბიუ-როს ეცნობა, რომ 10.05.2017წ. მონაცემებით სს „...ს“ საგადასახა-დო დავალიანება 138 991,78 ლარს შეადგენდა, თუმცა სასამარ-თლო გადაწყვეტილება 20 272,53 ლარს შეადგენდა. კასატორი თვლის, რომ საკითხს სააღსრულებო ბიურო ფორმალურად მიუდ-გა, აუქციონის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ პირდაპირ მიიღო ქონების სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის გადან-ყვეტილება, სააღსრულებო წარმოების მხოლოდ ფორმალური წე-სების დაცვით ჩატარება არ ადასტურებს მის მართლზომიერებას. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ქონების ნატურით სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევისათვის დავალიანე-ბის და ქონების ღირებულების თანაფარდობის მნიშვნელობა. დარ-ღვეულია კომპანიის საკუთრების უფლება, საჯარო და კერძო ინ-

ტერესების პროპორციულობის და თანაზომიერების პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის – თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძვლები არ ცნო და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო. მესამე პირების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს საკასაციო საჩივარს უსაფუძვლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ 27.09.2013წ. წარმოებაში მიიღო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 18.09.2013წ. გაცემული №3/27-12 სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს შუამდგომლობა და სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის გზით რეალიზაციას დაექვემდებარა სს „...ს“ ყადაღადადებული ქონება, რეალიზაციის დღისთვის არსებული დავალიანების ფარგლებში. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტის (...) თანახმად, ყადაღა დაედო ქ. ზუგდიდში, ...ას ქ. №1-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს (ს/კ: ...). დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით 12.04.2017წ. გამოცხადდა პირველი იძულებითი აუქციონი, რომელიც უშედეგოდ დასრულდა ამავე წლის 20 აპრილს. იმავე დღეს ქონება გატანილ იქნა პირველ განმეორებით აუქციონზე, რომელიც ასევე უშედეგოდ დასრულდა 28.04.2017წ.. ქონების რეალიზაციის მიზნით 11.05.2017წ. გამოცხადდა მეორე განმეორებითი აუქციონი, რომელიც დასრულდა უშედეგოდ 19.05.2017წ.. აღმასრულებლის მიერ 22.05.2017წ. გაიცა №A13059019-021/01 განკარგულება უძრავი ქონების (მდებარე: ქ. ზუგდიდი, ...ას ქ. №1, ს.კ....) სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის შესახებ.

საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლი განსაზღვრავს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორ სხვადასხვა საშუალებას – ყადაღადადებული ქონების აუქციონის წე-

სით რეალიზაციას და პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას. საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს სასაკუთრებო დადგენილი წესით. ამდენად, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის დროს ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია და პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა გამიჯნულია ერთმანეთისგან. პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის წესი და პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაკუთრლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესით“, ხოლო ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას აწესრიგებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლი და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა არა პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, არამედ ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია. საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოვალის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული და ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალის (გადასახადის გამამხდელის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, აგრეთვე ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო. ამავე მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საგადასახადო ორგანოს შორის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, ამავე ხელშეკ-

რულების საფუძველზე საგადასახადო კანონმდებლობით, საგადასახადო ორგანოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით, დაყადლებული ქონების რეალიზაციის და სხვა აუცილებელ მოქმედებებს ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. აღსრულების ეროვნული ბიურო, 5.1 მუხლის შესაბამისად, აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროს მეშვეობით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის“ 46.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტის შედგენიდან 1 თვის ვადაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 69.1 მუხლის შესაბამისად, იძულებითი აუქციონი ტარდება ქონებაზე ყადაღის დადებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო ამ კანონის 47.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 კვირის ვადაში. სსიპ შემოსავლების სამსახურმა სს „...ს“ დაყადლებული ქონების მიმართ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ 18.09.2013წ. გაცემული №3/27 სააღსრულებო ფურცლის აღსრულება მოითხოვა. სამეგრელო და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ მიღებულ იქნა კრედიტორ სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება აღსრულების თაობაზე, მოვალე სს „...ს“ მიმართ (საქმე №A13059029). საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „...ს“ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ბრძანება 06.02.2013წ. გამოიცა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა 28.02.2013წ., საგადასახადო დავალიანება ამ მომენტისათვის შეადგენდა 33 272 ლარს, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, დადგინდა აუქციონის გზით ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია რეალიზაციის დღისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში. მოვალე სს „...ს“ მიმართ სააღსრულებო ფურცელი გაიცა 18.09.2013წ., ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 29.10.2013წ. განჩინებით სა-

სამართლოს 17.03.2013წ. №3/27-13 ბრძანებაში დაშვებული უსწორობა გასწორდა – 27.03.2013წ. ბრძანებაში და 18.09.2013წ. სააღსრულებო ფურცელში შეტანილ იქნა შესწორება (შპს „...ს“ ნაცვლად მიეთითა სს „...“), ყადაღის დადებიდან (06.02.2013წ.) პირველი აუქციონის ჩატარებამდე (20.04.2017წ.) გავიდა 4 წელზე მეტი ვადა, ყადაღის დადების მომენტისათვის საგადასახადო დავალიანება შეადგენდა 33 272 ლარს, ხოლო აუქციონის ჩატარებისათვის 138 991 ლარს. გაურკვეველია თუ რის გამო არ მოხდა სასამართლო ბრძანების აღსრულება იმავე წელს, კანონით განსაზღვრულ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან ორკვირიან ვადაში (69.1 მუხ.).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ყადაღის მოცულობაზე, რომელზეც დამოკიდებულია აუქციონზე გატანილი ქონების ოდენობა და ქონების ღირებულება. თანხის გადახდევინების საქმეებზე სააღსრულებო წარმოების ეტაპებია: აღსრულების დაწყება, ქონებაზე ყადაღის დადება, აუქციონის ჩატარება და კრედიტორისათვის თანხის გადაცემა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25¹ მუხ.). აღსრულების დროს არ გარკვეულა მოვალის ქონებაზე მიქცევის რიგითობის დაცულობა. იმ შემთხვევაში, თუ ქონების ღირებულება დავალიანებას მნიშვნელოვნად აღემატება, ხოლო დაყადაღებული სხვადასხვა ქონებაა, სააღსრულებო ორგანომ ის ქონება უნდა მიაქციოს სარეალიზაციოდ, რომელიც საკმარისი იქნება დავალიანების დასაფარავად. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.01.11წ. №21 ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის („იძულებით აუქციონის ჩატარების ფორმები და წესი“) 1.1 მუხლის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას და განსაზღვრავს აუქციონზე გასატან ქონებას, საჭიროების შემთხვევაში ყოფს მას ლოტებად. იმის გათვალისწინებით, რომ სს „...ს“ კუთვნილი ქონება შედგებოდა რამდენიმე ობიექტისაგან, მთლიანი ქონება სოლიდური ღირებულების იყო და მისი საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა საგადასახადო დავალიანებას, სს „...ს“ საკუთრებაში მყოფი შენობებიდან ერთ-ერთის გატანა საკმარისი იყო დავალიანების გადამეტებით დასაფარავად, შესაბამისად, არსებობდა მოვალის უძრავი ქონების დაყოფის საჭიროება. საქმეში დაცულია სს „...ს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და აქციონერების 22.05.2017წ. მიმართვა, რომლის მიხედვით საგადასახადო დავალიანების გადასახდელად საკმარისი იქნებოდა საზოგადოების მინის ნაკვეთის უმნიშვნელო ნაწილის გაყიდვა ან რომელიმე ფუნქციონირების გარეშე დარჩენილი ერთ-ერთი შენობის დაშლა და მასალების რეალიზაცია. ქონების ღირებულებისა და დავალიანების ოდენობის დისპროპორციის გამო, მიმართვის ავტორები ეჭვს გა-

მოქვეყნებენ აუქციონის პროცედურის საზოგადოების მთელი ქონების დაუფლების მიზნით ჩატარებასთან დაკავშირებით (საქმეში დაცულია აგრეთვე 14.05.2017წ. მიმართვა, რომელშიც სს „...ს“ დირექტორი და აქციონერები აღნიშნავენ საზოგადოების კუთვნილი ქონების არაადეკვატურ ფასად რეალიზაციის დაუშვებლობაზე, საწარმოს განვითარების გეგმაზე, დავალიანების დასაფარად დამატებითი ვადის მიცემაზე). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააღსრულებო სამსახური უნდა ცდილობდეს აღსრულების შედეგის მკვეთრი დისპროპორციის შემცირებას.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის 21.11.2016წ. №05/20-0694 დასკვნის თანახმად, სს „...ს“ სახელზე რიცხული ქ. ზუგდიდში, ...ას ქ. №1-ში, ს.კ. ... უძრავი ქონების ლიზინგულუბა, კერძოდ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 75686 კვ.მ. დაზუსტებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (სახელდობრ, №1 ერთსართულიანი შენობა-ნაგებობის (განაშენიანების ფართი 33831,04 კვ.მ.), №2 ორსართულიანი შენობა-ნაგებობა (განაშენიანების ფართი 554,9 კვ.მ., გაუმჯობესებების მთლიანი ფართით – 1109,8 კვ.მ.) და №3 შენობა (განაშენიანების ფართი 62,71 კვ.მ.)), საბაზრო ღირებულება 3 723 000 ლარს (შეფასების მომენტისათვის 1 496 000 აშშ დოლარს) შეადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაურკვეველია თუ რა მოსაზრებით იქნა გატანილი აუქციონზე მთელი ქონება, რატომ არ იყო შესაძლებელი მოვალეზე რიცხული ნაკვეთის ნაწილის ან ნაკვეთზე განლაგებული შენობებიდან ერთ-ერთის რეალიზაციით დავალიანების დაფარვა, ამასთანავე, არ იქნა მოყვანილი რაიმე დასაბუთებული არგუმენტაცია დაყოფის შემთხვევაში ქონების ნაწილის განკარგვის შეუძლებლობის, აქტივების დევალვაციის, აღნიშნულით დარჩენილი ქონების ლიკვიდურობის შენარჩუნების შეუძლებლობის შესახებ.

სარეალიზაციო მასიდან უძრავი ქონების ცალკეული ობიექტის (ნაკვეთის ნაწილის, შენობის) გამოყოფის შესაძლებლობას არ გამოიცხავს უძრავი ქონების ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრაცია. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1² პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია სააღსრულებო წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მოვალის საკუთრებაში არსებული შენობისათვის მიკუთვნილი მიწის ნაკვეთის განსაზღვრის თაობაზე, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს – ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცი-

ის განხორციელების მიზნით. უძრავი ნივთი არის სარეგისტრაციო ობიექტი („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „გ“ ქვ.პ.), რეგისტრაციაში დაინტერესებული პირის დეფინიციიდან გამომდინარე („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.) სააღსრულებო ორგანო ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული, შესაბამისად, იძულებითი აუქციონის ჩატარებამდე მას გააჩნდა ერთიანი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციის („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 15^ა მუხ.) მოთხოვნის უფლება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77^ა მუხლის, 50.12 მუხლის საფუძველზე ქონების ნატურით გადაცემის განკარგულება საჯარო რეესტრში სახელმწიფოს მესაკუთრედ რეგისტრაციას უნდა დაედოს საფუძველად, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი არ შეიცავს სახელმწიფოსათვის ქონების ნაწილის გადაცემის ამკრძალავ ჩანაწერს. ამდენად, იძულებითი აღსრულების პროცესში დასაშვებია არა მთლიანი ქონების, არამედ მისი ნაწილის გადაცემა, ადეკვატური პროპორციით, სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილი იყო აგრეთვე განეკარგა არა მხოლოდ ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური ნაწილი, არამედ მისი იდეალური წილიც, ვინაიდან კანონმდებლობით დასაშვებია ნივთზე, მათ შორის უძრავ ქონებაზე რამდენიმე პირის საზიარო უფლებების (საერთო საკუთრების უფლების) არსებობა, რომელიც შესაძლოა საკადასტრო საზღვრების გამიჯვნის პროცესის გავლის გარეშეც იყოს თანასაკუთრებაში (სკ-ის 953-ე მუხ.). საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2019წ. №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-17.1 მუხლის თანახმად, თუ უძრავ ნივთზე საერთო საკუთრების უფლება წარმოეშობა რამდენიმე პირს, განცხადება შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა თანამესაკუთრემ (ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავდა აღსრულების პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-14 პუნქტი). მოცემულ შემთხვევაში საზიარო საგანი გაყოფადია, შესაბამისად, თანასაკუთრების რეგისტრაციის შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა საზიარო უფლების გაუქმება საგნის გამოყოფით (სკ-ის 964-ე მუხ.). უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მინის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების წილი („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 61-ე მუხ.). უძრავ ქონებაზე აღსრულება ხდება იძულებითი იპოთეკის რეგისტრაციით, იძულებითი აუქციონით ან სეკვესტრით (ქონების იძულებითი მართვით) (63.1 მუხ.). გადან-

ყვეტილების აღსრულებისას სახელმწიფოს წარმოადგენს ის სახელმწიფო ორგანო/პირი, რომლის გადანყვეტილების საფუძველზედაც წარმოებს აღსრულება ან/და რომლის მიმართვის საფუძველზედაც გამოიტანა სასამართლომ აღსასრულებელი გადანყვეტილება. ასეთი გადანყვეტილების აღსრულებისას, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სახელმწიფო ორგანოს/პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია წარმოადგინოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი (18' მუხ.). ამდენად, კრედიტორს, რომლის წარმომადგენელია სააღსრულებო ბიურო, გააჩნია იძულებითი აღსრულების ერთი სახის სხვა სახით შეცვლის უფლებამოსილება (63.3 მუხ.), რომლის გამოყენება ასევე იძლეოდა დავალიანებასა და ნატურით გადაცემულ ღირებულებას შორის არსებული დისპროპორციის აღმოფხვრის შესაძლებლობას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლის მიხედვით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ყოველი (პირველი, პირველი განმეორებითი, მეორე განმეორებითი) აუქციონის წარუმატებლად დასრულების შემდეგ ორი შესაძლო გადანყვეტილებიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს, კერძოდ: პირველი აუქციონის შემდეგ ბიურო გამოსცემს ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულებას ან ატარებს განმეორებით აუქციონს (77¹.1 მუხ.); პირველი განმეორებითი აუქციონის შემდეგ ბიურომ ან უნდა გამოსცეს ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება ან ატარებს მეორე განმეორებით აუქციონს (77¹.2 მუხ.); თუ მეორე განმეორებით აუქციონზედაც არ გამოვლინდა გამარჯვებული პირი, ბიურო უფლებამოსილია აუქციონის დასრულებიდან 15 დღის ვადაში გამოსცეს ქონების ნატურით გადაცემის შესახებ განკარგულება, თუ განკარგულება არ გამოიკა აღნიშნულ ვადაში, ეს ქონება თავისუფლდება ყადაღისაგან და უბრუნდება მოვალეს. ის გარემოება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო აღსრულების პროცესში მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (აღსრულების სახის არჩევა, შეცვლა, ქონების ნატურით გადაცემა ან ქონების მოვალისათვის დაბრუნება), საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ გამორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები, მხედველობაში მიეღო სააღსრულებო ზომის პროპორციულობა, აღიარებული დავალიანების და ნატურით გადაცემული ქონების ღირებულება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს გასატარებელი ღონისძიების ადეკვატურობას. დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფის შესაძლებლობას. დის-

კრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები (სუსგ 11.04.2012წ. №ბს-1655-1627(კ-11)). დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება აქტის გამოცემა, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.

უძრავი ქონების ნატურით გადაცემის შესახებ თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსი აღმასრულებლის 22.05.2017წ. №A13059019-021/001 განკარგულებაზე სს „...ს“ წარმომადგენლის მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 29.06.2017წ. №2841 ბრძანებით სს „...ს“ წარმომადგენელს უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე. უარის თქმის საფუძველად მითითებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18³ მუხლის მე-10 პუნქტის დებულება იმის შესახებ, რომ „სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი გასაჩივრდება სასამართლოში“ არ გამოორიცხავდა საჩივრის განხილვის შესაძლებლობას. ადმინისტრაციული საჩივრის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლის საშუალების, განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ამომწმებს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ აგრეთვე მიზანშეწონილობის საკითხსაც. შესაბამისად ქვემდგომი ორგანოს დისკრეციას შესაძლებელია ჩაენაცვლოს ზემდგომი ორგანოს დისკრეცია, რაც იძლევა აღსრულების პროცესის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას.

ვალდებულების შესრულება ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენს ვალდებულებით სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის, ხოლო კრედიტორისათვის გულისხმიერი დამოკიდებულება არანაირი ნაკლის წარმოშობასთან არ არის დაკავშირებული (სუსგ 29.01.2015წ. №ას-1338-1376-2014). საგადასახადო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის ფისკალური ინტერესი, ქონების რეალიზაციის უფლება არ გამოორიცხავს კრედიტორის კეთილსინდისიერებას, გადაამხდელის უფლებისა და ქო-

ნებისადმი გულისხმიერი მიდგომის, აღსრულების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის ვალდებულებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადანყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში (ანალოგიური შინაარსის დებულებას შეიცავს სზაკ-ის 85-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, არა მხოლოდ კრედიტორი, არამედ სააღსრულებო ბიურო ვალდებულია გულისხმიერად მოექცეს მოვალეს, მის ქონებას, აღნიშნული ვალდებულება ორმაგად ეკისრება აღსრულების ბიუროს, როგორც კრედიტორის აგენტს და როგორც საკუთრივ აღმასრულებელს. მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა მოვალის მთელი ქონების ნატურით გადაცემის აღსრულების უკიდურეს, არარელევანტურ ფორმად მიჩნევის შესაძლებლობას.

საგადასახადო კოდექსის 241.1 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სასამართლო გადანყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში. საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში უზრუნველყოფის ზომის გამოყენებას ითვალისწინებს აგრეთვე საგადასახადო კოდექსის 243.1, 244.1 მუხლები. მითითებული ნორმებით დადგენილია „საგადასახადო დავალიანების“/„აღიარებული საგადასახადო დავალიანების“ ფარგლებში გადახდევინების უზრუნველყოფა და არა საგადასახადო დავალიანებაზე/აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე მეტი ოდენობით თანხების გადახდევინების უზრუნველყოფა. საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შემოიფარგლება აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს იმ ოდენობის და მოცულობის გადასახადის ამოღებას, რომლის არსებობა დადასტურებული და აღიარებულია. ამდენად, დავალიანების და ქონების საბაზრო ღირებულების შეუსაბამობის შემთხვევაში ქონების ნატურით გადაცემა ხდება უკეთუ დავალიანება აღემატება ქონების საბაზრო ღირებულებას და არა პირიქით, არა ქონება უნდა აღემატებოდეს დავალიანებას, არამედ ყადაღადადებული ქონების ღირებულება უნდა აღემატებოდეს დავალიანებას

ან მისი ტოლი უნდა იყოს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 242.3 მუხლის, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის“ 43.2 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას ახორციელებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალის (გადასახადის გამამხდელის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ. ამდენად, მართებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების ფარგლებში სახელმწიფოსათვის ქონების ნატურით გადაცემა და არა საგადასახადო კოდექსის XXXV თავით დადგენილი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნულთან ერთად, მხედველობაშია მისაღები, რომ აღსრულება დეტერმინირებულია აღსასრულებელი გადაწყვეტილებით. აღსრულების წარმოების მიქცევა დაყადაღებულ ქონებაზე მიმდინარეობს სასამართლო აქტის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით. უკანასკნელის წარდგენა არის სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველი, თუმცა ხდება არა სააღსრულებო ფურცლის, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მოცემულ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი გაიცა სასამართლო ბრძანების საფუძველზე. აღსრულების პროცესი განპირობებულია მოთხოვნით, რომელიც განსაზღვრავს აღსრულების აზრს და ოდენობას, არ აღსრულებდა ის, რისი მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს (შემოსავლების სამსახურს) არ ჰქონდა და არც სასამართლოს მიუკუთვნებია. სას.კ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, სსკ-ის 248-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვერ გასცდება კრედიტორის მოთხოვნას და ვერც აღსრულების ორგანო ვერ მიაკუთვნებს მას იმაზე მეტ თანხას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია აღსასრულებელი გადაწყვეტილებით. იძულებით აუქციონზე ქონების რეალიზაციას/ქონების ნატურით გადაცემას უნდა უზრუნველყო ამ აღსრულების საფუძვლად არსებული სასამართლო ბრძა-

ნებით გათვალისწინებული აღიარებული საგადასახადო დავალიანების და მასზე რიცხული საურავის გადახდა. ამასთანავე, სასამართლო გადაწყვეტს უკვე წარმოშობილ სამართალურთიერთობებს და არა მომავალში შესაძლო წარმოსაშობ ურთიერთობებს, სასამართლოს არ შეუძლია დააკისროს პირს მომავალში იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც სასამართლოს არ შეეძლო. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის შესაბამისად, ქონების ნატურით გადაცემა ვრცელდება მოვალის (გადასახადის გადამხდელის) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს საგადასახადო კოდექსის 241-ე, 242-ე მუხლები. საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ფარგლებში. ამ ნორმის შინაარსის გათვალისწინებით, საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა შემოიფარგლება აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობით. საგადასახადო ორგანოს კომპეტენციის შემოფარგვა აღიარებული საგადასახადო ვალდებულების მოცულობით არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ მოხდეს სწორედ იმ ოდენობის და მოცულობის გადასახადის ამოღება, რომლის არსებობაც დასტურდება, აღიარებულია და რომლის მიმართაც გადასახადის გადამხდელს აქვს გადახდევინების მოლოდინი. მოცემულ შემთხვევაში ყადაღა დაედო მთელ ქონებას, გადაჭარბებული უზრუნველყოფა არ გასაჩივრდა მასში დავალიანების ფარგლებში ქონების რეალიზაციაზე მითითების გამო, მეტიც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანებით დასტურდება, რომ ამ მოსაზრებით და უსახსრობის გამო გადამხდელის წარმომადგენლის მიერ მხარდაჭერილი იქნა სააღსრულებო ორგანოს შუამდგომლობა აღიარებული დავალიანების ფარგლებში აუქციონზე ქონების რეალიზაციის შესახებ. აღსასრულებელ სასამართლო ბრძანებაში (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანება (საქმე №3/27-13)) მითითება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის დღისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში სპეციალიზებულ ღია აუქციონის გზით რეალიზებაზე გულისხმობს აღიარებული საგადასახადო დავალიანების და მასზე დარიცხული საურავების ღირებულების ოდენობას და არა ბრძანების გამოცემის შემდეგ წარმოქმნილ ახალ საგადასახადო დავალიანებებს, რომელიც ხსენებული სასამართლო ბრძანების გამოცემის დროისათვის აღიარებულად ვერ ჩაითვლება. აღნიშნულის მიუხედავად, მოცე-

მულ შემთხვევაში აუქციონის დროს არსებული საგადასახადო დავალიანება მოიცავდა არა მხოლოდ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას და მის გადაუხდელობასთან დაკავშირებულ საურავებს, არამედ აგრეთვე სასამართლოს ბრძანების შემდეგ წარმოშობილ ახალ საგადასახადო დავალიანებასაც. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 03.05.2017წ. აღმასრულებელმა შემოსავლების სამსახურიდან მოითხოვა ინფორმაცია დავალიანების ოდენობის შესახებ. შემოსავლების სამსახურის 11.05.2017წ. №21-05/68536 წერილით ბიუროს ეცნობა, რომ სს „...ს“ ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება 138 991,78 ლარის ოდენობით, მათ შორის ძირითადი დავალიანება შეადგენდა 84 588,81 ლარს, რაც ადასტურებს იმას, რომ აუქციონის მეშვეობით დაფარულ იქნა არა მხოლოდ აღიარებული დავალიანება და საურავები, არამედ სასამართლოს ბრძანების შემდეგ წარმოშობილი ახალი დავალიანება და საურავები, რომლის დასაფარავად ქონების აუქციონზე გატანა საჭიროებდა სასამართლოს ახალი ბრძანების გაცემას, რასაც ადგილი არ ჰქონია. იძულებითი აუქციონი უნდა ჩატარებულიყო აღიარებული საგადასახადო დავალიანებისა და მასზე დარიცხული სანქციების იძულებითი გადახდევინების მიზნით და არა სასამართლო ბრძანების გამოტანის შემდეგ დარიცხულ საგადასახადო დავალიანებასთან და სანქციებთან დაკავშირებით. შესაბამისად, დადგენას საჭიროებდა არა აუქციონის ჩატარების მომენტიდან არსებული დავალიანება, არამედ აუქციონის ჩატარების მომენტიდან სასამართლო ბრძანების გამოცემის მომენტში აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული სანქციების გათვალისწინებით არსებული საგადასახადო დავალიანების ოდენობა. სააღსრულებო ბიურომ აუქციონის წინ გამოითხოვა შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაცია დავალიანების შესახებ, მიიღო აუქციონამდე არსებული მთლიანი დავალიანების შესახებ ინფორმაცია და ამ ინფორმაციის ანალიზის გარეშე აღსასრულებელი ბრძანებით ნაგულისხმევი აღიარებული საგადასახადო დავალიანებიდან გადაუხდელი დავალიანების დადგენის, დავალიანების ოდენობის და ქონების ღირებულების შეპირისპირების გარეშე მოახდინა საქციო საზოგადოების უძრავი ქონების მთლიანად ნატურით გადაცემა. საქართველოს კონსტიტუციის 62.1 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირის, ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ, ამ ორგანოებსა და პირებს უფლება

არა აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან მათი აღსრულების შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით. აღსრულება განხორციელდა იმაზე მეტ თანხაზე, ვიდრე ეს სასამართლო ბრძანებით იყო გათვალისწინებული, რაც ქმნის სადავო აქტის ბათილად ცნობის (სზაკ-ის მე-5 და 60¹ მუხ.) საფუძველს.

ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაშია მისაღები, რომ დავალიანების ამოღება მიმდინარეობს არა საგადასახადო კოდექსის, არამედ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მიხედვით, შესაბამისად, დავალიანებასა და ნატურით გადაცემული ქონების სრული ექვივალენტურობის მოლოდინი უმართებულოა (უძრავი ქონების პირველივე იძულებით აუქციონზე პირველადი ფასი ქონების საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებია (75%), საბაზრო ღირებულებასა და პირველად ფასს შორის სხვაობა მატულობს ქონებაზე შემდეგი აუქციონების გამოცხადებისთანავე („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 71-ე მუხ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011წ. №21 ბრძანებით დამტკიცებული „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმებისა და წესის“ მე-3 მუხ.). ქონების ღირებულებასა და ვალდებულებას შორის დისპროპორცია აღსრულებაში დეტერმინირებულია სასამართლო აქტის აღსრულების შესრულების იმპერატიულობით, გადამხდელის აქტივიზმის ნახალისებით, რათა მოვალემ მისთვის მოსალოდნელი ნეგატიური შედეგის თავიდან აცილების მიზნით, არსებული დავალიანების დასაფარავად, აქტიურად გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობები (მოვალის მიერ ყადაღადაებული ქონების განკარგვა საგადასახადო ორგანოს თანხმობით (საგადასახადო კოდექსის 241.3 მუხ.), მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შეძენით დაინტერესებული პირების წარდგენა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18.1 მუხ. „დ“ ქვ.პ.) წინმსწრები სააუქციონო მომსახურება („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63² მუხ.), მონაწილეობის მიღება აუქციონში და თავად მოვალის მიერ ქონების გამოსყიდვა (70.3 მუხ.), რის შედეგადაც მას უზრუნდება ის თანხა, რომელიც აღემატება აღსრულების ხარჯებს და საგადასახადო დავალიანებას. ამდენად, „საჯარო ინტერესის“ მქონე ლეგიტიმური მიზნები შეიძლება მოითხოვდნენ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით უფრო ნაკლები ოდენობის კომპენსაციის მიკუთვნებას (James and Others v. the United Kingdom, §54; Papachelas v. Greece (GC), § 48). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარეალიზაციო ქონების კრედიტორისათვის ნატურით

გადაცემა არის კრედიტორის მოთხოვნის ამ გზით დაკმაყოფილების ალტერნატიული საშუალება. ქონების ნატურით გადაცემა მაშინ, როდესაც კრედიტორს არ აქვს ამ ქონების მიღების ინტერესი, აუარესებს მის უფლებრივ მდგომარეობას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას, ქონების ნატურით საკუთრებაში გადაცემა ინვესტორის უსაფუძვლო გამდიდრებას. ამასთანავე, ქონების ნატურით გადაცემის შეთავაზება უფრო ნაკლები ინტენსივობით ზღუდავს კრედიტორის უფლებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.11.2019წ. №2/5/879 გადაწყვეტილება საქმეზე „ზ. სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §50). მოცემულ შემთხვევაში კრედიტორი – საგადასახადო ორგანო დაინტერესებული უნდა იყოს არა კონკრეტული ქონების მისთვის გადაცემით, არამედ საგადასახადო დავალიანების გადახდევინებით. ამდენად, პრინციპში არ არის გამორიცხული ნატურით გამმოცემული ქონების ღირებულების დავალიანებაზე მეტობა, თუმცა აღნიშნული არ უნდა სცდებოდეს გონივრულ ფარგლებს და არ გამორიცხავს საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანობის, თანაზომიერების, გადასახადის გადამხდელის ქონებრივი უფლებების დაცვის პრინციპების მოქმედებას. მოცემულ შემთხვევაში ქონების ღირებულება საგადასახადო დავალიანებას (არა მხოლოდ რეალიზაციის შესახებ სასამართლო ბრძანების გამოტანის, არამედ აგრეთვე აუქციონის ჩატარების დროისათვის არსებულ საგადასახადო დავალიანებას) მრავალჯერ აღემატება. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში განსაზღვრული არ იყო საგადასახადო დავალიანების ოდენობა, სასამართლომ დაადგინა, რომ ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია სპეციალიზებული ღია აუქციონის გზით უნდა მომხდარიყო რეალიზაციის დღისთვის არსებული დავალიანების ფარგლებში. თუ აღსასრულებელ გადაწყვეტილებაში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღსასრულებელი თანხა და მხოლოდ ზოგადად არის მითითებული აღსრულების ფარგლები, დადგენას საჭიროებს დავალიანების ოდენობა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ბრძანების მიღების შემდეგ მოვალის მიერ გადახდილ იქნა 13 200 ლ.. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანების აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, 33 272,12 ლარით განისაზღვრა, ამდენად ქონების ღირებულება (3 723 000 ლ.) 112-ჯერ აღემატება საგადასახადო დავალიანებას, რომლის გადახდევინების უზრუნველსაყოფადაც გამოიცა სასამართლო ბრძანება, ხოლო აუქციონის ჩატარების პერიოდში არსებულ საგადასახადო დავალიანებას

(138 991,78 ლ.) – 27-ჯერ. ნატურით გადაცემული ქონების ღირებულებას (3 723 000 ლ.) და დავალიანებას (33 272 ლ.) შორის სხვაობა – 3 689 728 ლარს შეადგენს, ხოლო აუქციონის ჩატარებისათვის დავალიანებასა (138 991 ლ.) და ნატურით გადაცემული ქონების ღირებულებას შორის სხვაობა 3 584 009 ლარს შეადგენს, ორივე შემთხვევაში დისპროპორცია ექსპროპრიაციის ნიშნულს აღწევს. მაღალი ღირებულების მქონე ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადაცემისას კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრებასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 14.11.2019წ. №2/5/879 გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესების სამართლიანი ბალანსის მიღწევის საჭიროებაზე (§51). აღნიშნულის გათვალისწინებით, არ არის დაცული ბალანსი კრედიტორისა და მოვალის ინტერესებს შორის, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის უფლებისათვის მიყენებული ზიანი შეზღუდვის შედეგად დაცულ სიკეთესთან შედარებით ბევრად მძიმეა.

ყადაღადადებული ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს დავალიანების მოცულობას, რათა არ მოხდეს მოვალის რეალურად არსებულზე მეტი ოდენობით არაგონივრული გადახდევინება. აღნიშნულის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 27.03.2013წ. ბრძანების მე-2 პუნქტში და 18.09.2013წ. საალსრულებო ფურცელში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის გზით რეალიზებულ უნდა იქნეს სს „...ს“ ყადაღადადებული ქონება რეალიზაციის დღისთვის არსებული დავალიანების ფარგლებში (ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 25.02.2013წ. აქტი, შემოსავლების სამსახურის 06.02.2020წ. №027-18 ბრძანება). ზოგადი წესის თანახმად, არ შეიძლება აღსრულდეს ის, რისი მოთხოვნის უფლება კრედიტორს (მოცემულ შემთხვევაში შემოსავლების სამსახურს) არ ჰქონდა და არც სასამართლოს მიუკუთვნებია. 28.02.2013წ. შუამდგომლობით აღსრულების ეროვნული ბიუროს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საალსრულებო ბიურო, საგადასახადო კოდექსის 241-ე, 242-ე მუხლების, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1¹ პუნქტის, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის 14.04.2011წ. გაფორმებული ხელშეკრულების, სასკ-ის VII⁵ თავის საფუძველზე ითხოვდა სპეციალიზებულ ღია საჯარო აუქციონზე ყადაღის აქტებში მითითებული ქონების რეალიზაციის ნებართვას, რეალიზაციის დროისათვის არსებული დავალიანების ფარგლებში. რეალიზაციის დავალიანებით შემოფარგვლის გამო, სს „...ს“ წარმომადგენელი დაეთანხმა შუამდგომლობას და ითხოვდა მის დაკმაყოფილებას. მოთ-

ხოვნა ეხებოდა აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას და მის გადაუხდელობასთან დაკავშირებულ სანქციებს და არა შემდგომში წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებას. ამასთანავე, აღსასრულებელ სასამართლო ბრძანებაში მითითება ქონების „დავალიანების ფარგლებში“ სპეციალიზებულ ღია აუქციონზე რეალიზაციის შესახებ სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ სს „...ს“ უძრავი ქონება მრავალჯერ აღემატებოდა საგადასახადო დავალიანებას, ხოლო საურავის ოდენობა ცვალებადია და სააღსრულებო პროცედურის დასრულების მომენტზე არის დამოკიდებული. მითითების დანიშნულება სწორედ ის იყო, რომ ადგილი არ ჰქონოდა საკუთრების უფლების მნიშვნელოვან, არაპროპორციულ შეზღუდვას, ამასთანავე, მითითება შესაბამის მოლოდინს უქმნიდა გადასახადის გადამხდელს. აღსრულების წარმოება არ უნდა იქცეს გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვად, აღსრულების პროცესის განმავლობაში დაცული უნდა იყოს ბალანსი მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესებს შორის. აღსრულების პროცესი თანაბარზომიერი უნდა იყოს წარდგენილი პრეტენზიისა, ამოსაღები დავალიანებისა და უნდა ითვალისწინებდეს მოპასუხის ინტერესებს (ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციები REC(2003)17, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის 09.09.03წ. 85-ე შეხვედრაზე, III.1. „ე“, „ზ“ ქვეპუნქტები, III.4 პ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააღსრულებო პროცედურის ფარგლებში არ არის გამორიცხული ისეთი ქონების ნატურით გადაცემა, რომელიც აღემატება საგადასახადო დავალიანებას, თუ ქონება წარმოადგენს ერთიან კომპლექსს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ქონების რეალიზება ხდება და ბიუროს არ აქვს შერჩევის შესაძლებლობა, მან ქონება უნდა გაიტანოს სარეალიზაციოდ და თუ ამონაგები თანხა დავალიანებაზე და ხარჯებზე მეტი აღმოჩნდება, მაშინ ნამეტი თანხა, ქონების აუქციონზე გაყიდვის შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსის 242.2 მუხლის, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 70.3 მუხლის შესაბამისად მოვალე გადასახადის გადამხდელს უნდა დაუბრუნოს, თუკი მოვალის მიმართ არ მიმდინარეობს სხვა სააღსრულებო წარმოება იმავე ან/და სხვა კრედიტორის სასარგებლოდ და ასეთი წარმოების ფარგლებში მოვალეს არ ეკისრება რაიმე სახის გადახდევინება. მოცემულ შემთხვევაში უძრავი ქონების რეალიზაცია არ განხორციელდა იძულებით აუქციონზე, მოვალე – სს „...ს“ საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ზუგდიდი, ...ას ქ. №1, ს.კ.:№... (ნაკვეთის წინა ნომერი: №...) ჩატარებული უშედეგო აუქციონების შემდგომ გადაცემა სახელმწიფოს. იმ შემთხვევაში, თუ ქონება არ გაიყიდა, საქარ-

თველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №994 ბრძანებით დამტკიცებული „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესის“ 55^{2.4} მუხლის, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.2010წ. №144 ბრძანებით დამტკიცებული „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურის ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის“ 2.6 მუხლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო ახორციელებს გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების დადგენილი რიგითობით ჩამონერას ამ ქონების საბაზრო ღირებულების ნახევრით. ამდენად, ქონების სახელმწიფო საკუთრებაში ნატურით გადაცემის შემთხვევაში, დავალიანება იფარება მისი ღირებულების ნახევრით. უკეთუ დავალიანება არ იფარება, საგადასახადო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება (განსხვავებით გირაოს საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემისაგან (სკ-ის 276-ე მუხ.), აგრეთვე იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისაგან (სკ-ის მე-300 მუხ.)). მოცემულ შემთხვევაში ნატურით გადაცემული ქონების ღირებულების ნახევარი ფასი ასევე მნიშვნელოვნად აღემატება საგადასახადო დავალიანებას. სადავო განკარგულების თანახმად სს „...ს“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება ნატურით გადაცემისას, თანახმად საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.07.2010წ. №144 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 2.6 მუხლისა, შეადგენს 1.861500 ლარს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საგადასახადო დავალიანების ოდენობას. შემოსავლების სამსახურის 27.07.2017წ. წერილით დასტურდება, რომ თბილისის საალსრულებო ბიუროს 22.05.2017წ. განკარგულების საფუძველზე სს „...ს“ პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხვული საგადასახადო დავალიანება შეუმცირდა სრულად, – 139499,31 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ნატურით გადაცემული უძრავი ქონების ის ღირებულება, რომელიც ხსენებული წესით დავალიანებას აღემატება, არ ჩაეთვალა გადასახადის გადამხდელს ზედმეტობაში. საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად თუ საგადასახადის გადამხდელის გადასახადების ან/და სანქციების გადახდილი თანხა აღემატება დარიცხვით გადასახადების ან/და სანქციების თანხას,

საგადასახადო ორგანო: ზედმეტად გადახდილ თანხას ჩაუთვლის მომავალი საგადასახადო ვალდებულების ანგარიშში; გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე ამ მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს სამი თვისა უბრუნებს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად გადახდილ თანხას. ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლი ითვალისწინებს ზედმეტად გადახდილი თანხის ჩათვლას გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის ან/და სანქციების თანხის გადამეტებით გადახდის შემთხვევაში, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს დავალიანების გადაუხდელობას, დავალიანების დასაფარავად „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე ქონების ნატურით გადაცემას, შესაბამისად, მოსარჩელეს არ აქვს შესაძლებლობა საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის წარდგენით დაიბრუნოს თანხა ან ჩაითვალოს სხვა სახის გადასახადში/სანქციაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კრედიტორის აღიარებული კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება არის იმგვარი ღირებული საჯარო მიზანი, რომლის მიღწევისთვისაც შესაძლოა შეიზღუდოს საკუთრების უფლება, კრედიტორს გადაეცეს მოვალის ისეთი ღირებულების ქონება, რომელიც თუნდაც მნიშვნელოვნად აღემატება რეალიზაციის დროისათვის არსებულ დავალიანებას, თუმცა უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.06.2012წ. №3/1/512 გადაწყვეტილება, 28.05.2019წ. №2/2/867 გადაწყვეტილება). ბალანსი კრედიტორის და მოვალის საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს.

იძულებითი აუქციონის შედეგად ქონების რეალიზების შეუძლებლობისას კრედიტორისათვის ქონების ნატურით გადაცემას ითვალისწინებს საალსრულებო წარმოების სისტემა. ქონების ნატურით გადაცემას ითვალისწინებს „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 10-12¹ პუნქტები და 77¹ მუხლი, ქონების ნატურით გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, საალსრულებო წარმოების სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ, ასევე მოვალის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, ასევე ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საგადასახადო ორგა-

ნოს სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლის ადრინდელი რედაქცია ითვალისწინებდა ქონების ნატურით გადაცემას არა მხოლოდ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ, არამედ აგრეთვე კერძო პირისათვის ქონების გადაცემის შემთხვევაში. 77¹ მუხლში 17.06.2011წ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ნორმა ითვალისწინებს ქონების მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში ნატურით გადაცემის შესაძლებლობას (ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ქონების გადაცემის ცალკეულ შემთხვევებს ითვალისწინებს კერძოსამართლებრივი კანონმდებლობაც, თუმცა დათქმა, რომლის მიხედვითაც იპოთეკით (ან გირავნობით) დატვირთული საგანი უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა გადავიდეს იპოთეკარის (მოგირავნის) საკუთრებაში (ე.წ. lex commissoria), ზოგადად უკუგდებულია მესაკუთრის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენების („გაყვლეფის“) რისკის გამო, რომელსაც ის საკუთარ თავში შეიცავს. საგნის გადასვლისას მოთხოვნის და საგნის ღირებულების გონივრული თანაფარდობის მოთხოვნის დაცვის ნორმას შეიცავს მაგ. სკ-ის 258.2 მუხ. „დ“ ქვ.პ., 280.3 მუხლი. გირავნობის საგნის რეალიზაცია სკ-ის 283-ე მუხლის თანახმად, ძირითადად ხდება მოგირავნის მიერ გირაოს საგნის რეალიზაციით. გირავნობის საგნის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემა (სკ-ის 260¹ მუხ.) ხდება მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ საკუთრებაში გადაცემის შესახებ პირდაპირ მითითებულია გირავნობის ხელშეკრულებაში, გირავნობის რეგისტრაცია თავის მხრივ უნდა ხდებოდეს გირავნობის საგნის ღირებულების და დავალიანების გონივრული შეპირისპირების შემთხვევაში. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლა დაიშვება მხოლოდ მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების შემთხვევაში, კრედიტორის (იპოთეკარის) და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მარეგისტრირებელი ორგანოსათვის მიმართვის საფუძველზე (სკ-ის 300.1 მუხ.). იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრებაში გადასვლის მომენტისთვის საგნის ღირებულება აღემატება მოთხოვნის ოდენობას, იპოთეკარმა/მოგირავნემ ან ფულით უნდა აანაზღაუროს ეს სხვაობა, ან მხოლოდ საკუთარი მოთხოვნის შესაბამისი წილობრივი თანასაკუთრება უნდა მოიპოვოს საგანზე. სასამართლოს გადაწყვეტილება უძრავი ნივთის აუქციონზე იძულებით გაყიდვის შესახებ აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურ-

ცლის საფუძველზე უძრავი ნივთის იძულებითი აუქციონის ან კერძოსამართლებრივი აუქციონის ფარგლებში რეალიზაცია არ იწვევს კერძოსამართლებრივი სუბიექტისათვის (კრედიტორისათვის) ქონების ნატურით გადაცემას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 77¹ მუხლი წარმოადგენს ერთი პირის ქონების მეშვეობით მეორე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების წესის ნაწილს. სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი საჩივრდება სასამართლოში („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 18³.10 მუხ.). იმის გათვალისწინებით, რომ ნატურით გადაცემული ქონების ღირებულება მრავალჯერადად აღემატება საგადასახადო დავალიანების ოდენობას, ხოლო ქონების კრედიტორისათვის ნატურით გადაცემის შემთხვევაში ქონების ღირებულება-სა და დავალიანებას შორის სხვაობის დაბრუნებას „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ კანონის ამჟამინდელი რედაქცია არ ითვალისწინებს, შესაბამისად, დარღვეულია თანაზომიერებისა და სამართლიანობის პრინციპი, ქონების ნატურით გადაცემას მიღებული აქვს არა საკომპენსაციო (აღდგენითი), არამედ რეპრესიული, ექსპროპრიაციული ხასიათი. ქონების ღირებულებასა და დავალიანებას შორის მკვეთრი დისპროპორცია აძლიერებს გადამხდელის უფლების დაცვის იმპერატივს. გადასახადის გადაუხდელობით გამონეული ბიუჯეტის ფინანსური დანაკარგის ოდენობა განისაზღვრება ინფლაციის დონით, დავალიანებასა და ნატურით გადაცემული ქონების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა სცილდება გონივრულობის ფარგლებს, მას არ აქვს რაიმე ეკონომიკური დასაბუთება და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის ხარჯზე უსაფუძვლო გამდიდრების ნიშნულს აღწევს. მართალია, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საჯარო ინტერესი ლეგიტიმურ მიზანს ინარჩუნებს, თუმცა ეს მიზანი სახეცვლილია სახელმწიფოსთან მიმართებით. სახელმწიფოს, რომელიც თავად უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი, არ აქვს ამ ინტერესის სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი, რაც განასხვავებს მას კერძო პირისგან. მაშასადამე აქ განსხვავებულია დაპირისპირებული ინტერესები და, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისათვის. როდესაც ლეგიტიმური საჯარო მიზნებისათვის საფრთხის მიყენების რისკები უმნიშვნელოა ან არ არსებობს, ან/და სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვის მცდელობას თავად შეუძლია გამოიწვიოს ამავე ლე-

გიტიმური მიზნის უგულბელებოფა, მაშინ უფლებაში ჩარევის სა-ჭიროება გაცილებით ნაკლებია (საქართველოს საკონსტიტუციო სა-სამართლოს პლენუმის 05.11.2013წ. გადაწყვეტილება №3/1/531, საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თ. ჯანიაშვილი, ნ. ჯანიაშვილი და ი. ჯანიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, §36).

საალსრულებო წარმოებაში მონაწილე კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უაღრესად მნიშვნელოვანი ინტერესია. ნატურით გადაცემა უზრუნველყოფს იმას, რომ არალიკვიდური ნივთი გამუდმებით არ იქნეს შეთავაზებული ბაზრისთვის, ვინაიდან ამგვარი შეთავაზება არ იქნება კონკრეტული შედეგისაკენ მიმართული. კრედიტორისათვის საკუთრებითი ინტერესის დროული და ეფექტური დაკმაყოფილება ღირებული სიკეთეა. ქონების აუქციონზე სამჯერ გატანა ადასტურებს ფორმალურად ჯეროვანი ზომის მიღებას ქონების რეალიზაციისათვის. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორის მოთხოვნა ქონების საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებია, ნივთის ნატურით გადაცემისას იგი გამოიწვევს უსაფუძვლო გამდიდრებას, გადამხდელის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებას. მოთხოვნის და ღირებულების გაუთვალისწინებლობა ქმნის ატიპიურ რისკს, რომელიც მეორე მხარის მიერ შესაძლოა წინასწარ იქნეს გათვლილი, რამაც გარკვეულწილად შესაძლოა წაახალისოს აღსრულების არაოპტიმალური სახის გამოყენება და შეამციროს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საგნის რეალიზაციის ინტერესი. დადგენილი წესით ჩატარებულ აუქციონზე ქონების რეალიზების შეუძლებლობა, არ გულისხმობს, რომ ამ ქონებას ღირებულება არ გააჩნია და მისი მეშვეობით კრედიტორის კანონით დადგენილი წესით აღიარებული მოთხოვნის დაკმაყოფილება a priori შეუძლებელია. ქონების ღირებულებას განსაზღვრავს მისი საბაზრო ფასი და არა ის გარემოება გაიყიდება თუ არა იგი იძულებით აუქციონზე. ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზებაზე მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი ახდენს გავლენას. ნივთის შექმნისადმი ინტერესი შესაძლოა იცვლებოდეს დროის კონკრეტული პერიოდების ან სხვა ფაქტორების მიხედვით. შესაძლებელია ქონების აუქციონზე რეალიზება ვერ მოხერხდეს სხვადასხვა მიზეზის გამო, ასეთი მაგ., შეიძლება იყოს სარეალიზაციო ნივთის მაღალი ღირებულება და სხვ.. ქონების სამ აუქციონზე რეალიზების შეუძლებლობა თავისთავად არ მიუთითებს, რომ ამ ქონებას ღირებულება არ გააჩნია, უფრო მეტიც მას შესაძლოა სოლიდური საბაზრო ფასი ჰქონდეს. განსახილველ შემთხვევაში ქონებაზე საწყისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას არ იყო გათვალისწინებული გარდამავალი უფლება. ქონების გასხვისებისას ამ ქონებაზე გარდამავა-

ლი უფლების არსებობა გულისხმობს მის გარკვეული სანივთო უფლებით დატვირთვას, რომელიც ამ ნივთის გასხვისების შემთხვევაშიც კი მიჰყვება მას. მოცემულ შემთხვევაში აღსრულების ბიუროსათვის ცნობილი იყო გარდამავალი უფლების არსებობის შესახებ. საქმეში დაცული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სს „...ს“ საკუთრებაზე, კერძოდ 75686 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ №1, №2, №3 შენობა-ნაგებობებზე 26.12.2011წ. იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე 30.12.2011წ. რეგისტრირებულია იპოთეკა, იპოთეკარი სს „თ...ის“ №1 ზუგდიდის ...ი. მიუხედავად ბანკის 12.01.2017წ. №5/124-02 წერილისა, რომლის თანახმად სს „...ს“ საბანკო დავალიანება არ ჰქონდა, საჯარო რეესტრში სს „...ს“ უძრავ ქონებაზე ირიცხება იპოთეკა, აუქციონზე ქონება გატანილ იქნა გარდამავალი უფლებით, რასაც შეეძლო შემოქმედება მოეხდინა მის რეალიზაციაზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2011წ. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის („იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმები და წესი“) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ინტერნეტ-განცხადების შინაარსს, მისი „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინტერნეტ-განცხადება უნდა შეიცავდეს გარდამავალ უფლებათა ღირებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ინტერნეტ-განცხადებაში გაკეთდა გარდამავალი უფლების შესახებ განცხადება, იქვე აღინიშნა, რომ ბანკის წერილის თანახმად, დავალიანება არ არის. დავალიანების არარსებობის შესახებ ბანკის წერილის მიუხედავად, სს „...ს“ ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია იპოთეკა. ამ გარემოების გამორკვევის, იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის წარდგენის გარეშე უძრავი ქონება გატანილ იქნა აუქციონზე. ზემოაღნიშნული გარემოება შესაძლოა გამხდარიყო ქონების რეალიზაციის დამბრკოლებელი გარემოება. მიუხედავად ამისა აუქციონზე გასატანი ქონების შეფასებისას ქონებაზე გარდამავალი უფლებების არსებობა არ ყოფილა გათვალისწინებული. ამდენად, უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნები არ იყო სრულად გარკვეული და შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებდა. ცხადია, რომ უძრავ ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ნივთის ღირებულების თავისუფალი ბაზრის პირობებში განსაზღვრაზე, ამგვარი უფლებრივი ნაკლის არსებობის პირობებში იკლებს ნივთის ღირებულება, ასეთ პირობებში მაღალია აუქციონზე ქონების რეალიზაციის განუხორციელებლობა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 28.05.2019წ. №2/2/867 გადაწყვეტილება, §41-46).

ის გარემოება, რომ დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ არსე-

ბოძს სარეალიზაციო ნივთის შეძენის სურვილი, არ გამორიცხავს სამომავლოდ ამ ქონებაზე მოთხოვნის გაჩენის შესაძლებლობას, რაც შემძენისათვის ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა დღეს, შეიძლება საინტერესო იყოს გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის ჯერ კიდევ აღუსრულებლობის პირობებში, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დადებული ყადაღისაგან მოვალის ქონების გათავისუფლება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლელი ქმედებაა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.11.2019წ. №2/5/879 გადაწყვეტილება, §19,20). სადავო აქტის ბათილად ცნობა იწვევს ქონების ნატურით გადაცემის შედეგად დაფარული საგადასახადო დავალიანების აღდგენას, რომლის იძულებითი გადახდევინება შესაძლებელია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღსრულების სახეების გამოყენების (კრედიტორს უფლება აქვს მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე რამდენჯერმე მოითხოვოს იძულებითი აღსრულების ერთი სახის სხვა სახით შეცვლა, მათ შორის აღსრულების სახის შეცვლამდე გამოყენებული აღსრულების სახის გამოყენება („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 63.3 მუხ.), აგრეთვე საგადასახადო ორგანოს მიერ ვაკოტრების პროცედურის დაწყების („გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-14 მუხ. 1-ლი პ. „ბ“ ქვ.პ.) მეშვეობით. სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მოსარჩელე სარჩელით მოითხოვს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 22.05.2017წ. განკარგულების ბათილად ცნობას, სსკ-ის 406-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო ინსტანციაში დავის საგნის შეცვლა ან გაზრდა არ დაიშვება, შესაბამისად საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრებები ყადაღის მოხსნის შესახებ სცილდება განსახილველი დავის საგანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო გასცდა სააღსრულებო ფურცლით ნაგულისხმევი დავალიანების ფარგლებს, არ არის დაცული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, აღსრულების თანაზომიერების პრინციპი, რაც ქმნის აღმასრულებლის 22.05.2017წ. განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-

დანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს – თბილისის სააღსრულებო ბიუროს უნდა დაეკისროს სასარჩელო მოთხოვნაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით (100+150+300) გადახდილი 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „...ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი უძრავი ქონების ნატურით გადაცემის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 22.05.2017წ. №13059019-021/001 განკარგულება;
5. მოპასუხეს – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაეკისროს გ. ფ-ას სასარგებლოდ მის მიერ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად
მიჩნევის საფუძველი**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-221(კ-20)

22 აპრილი, 2021 წელი ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: აღმასრულებლის მოქმედების უკანონოდ ცნო-
ბა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-
თილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის 29 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრუ-
ლების ეროვნული ბიუროს მიმართ და მოითხოვა თბილისის საალ-
სრულებო ბიუროს აღმასრულებლის – მ. ბ-ის 2017 წლის 22 სექ-
ტემბრის ქმედების (№69730 წერილი) უკანონოდ აღიარება, სსიპ
აღსრულების ეროვნული ბიუროს 2017 წლის 6 ნოემბრის №5206
ბრძანების ბათილად ცნობა და ამავე ბიუროსთვის თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის №2/1637-14 გა-
დანყევტილების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის
21 ივნისის №2ბ/163-16 დამატებითი განჩინებისა და საქართვე-
ლოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის №ას-938-903-
2016 განჩინების აღსრულებულად ცნობის დავალება. ამასთან, მო-
სარჩელემ სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ იშუამ-
დგომლა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სარჩელის უზ-
რუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ქალაქ თბილი-
სის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილ-
და. აღნიშნული განჩინება ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრით
გაასაჩივრა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით ქალაქ თბი-

ლისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინება; შეჩერდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული №A17086450, №A17086461 და №A17117273 სააღსრულებო საქმეები და თბილისის სააღსრულებო ბიუროს აეკრძალა აღნიშნული სააღსრულებო წარმოებების ფარგლებში (№A17086450, №A17086461, №A17117273) იძულებითი სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება დავის საბოლოოდ დასრულებამდე.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ივნისის განჩინებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაება ჯ. ხ-ი.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/1637-14) ქალაქ თბილისის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შპს „...ს“ ქალაქ თბილისის მერიის სასარგებლოდ 2011 წლის 20 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა საიჯარო ქირის დავალიანების – 88687,61 ლარის, პირგასამტეხლოს – 1652 ლარის, 2013 წლის 25 ნოემბრიდან ვალდებულების შესრულებამდე გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,01 პროცენტის, აღნაგობის საფასურის – 56977,4 ლარის, აღნაგობის საფასურის გადახდის ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს – 1647,9 ლარის და 2013 წლის 25 ნოემბრიდან აღნაგობის გადაუხდელი საფასურის – 0,01 პროცენტის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა შპს „...ს“ შეგებებული სარჩელი; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 20 სექტემბრის №01-4/419 ბრძანებაზე თანდართული და მხარეებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების 10.4 და 10.5 პუნქტები და აღნაგობის ხელშეკრულების 8.4 და 8.5 პუნქტები; ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა საბაგროს ღირებულების – 200422,5 ევროს ეკვივალენტი ლარის და საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობისათვის განუული ხარჯის – 152020,73 ლარის გადახდა; შპს „...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით; ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 4610 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად; ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 2500 ლარის გადახდა წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ასანაზღაურების მიზნით;

7.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების პირველი პუნქტით №2/1637-14 სამოქალაქო საქმეზე სს „...ს“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ჯ. ხ-ი. ამავდროულად სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით (საქმე №2/1637-14) გასწორდა 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამოქალაქო საქმეზე №2/1637-14, სს „...ს“ (ს/ნ ...) უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნეს ჯ. ხ-ი (პ/ნ ...), მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ არსებული სს „...ს“ მოთხოვნის ნაწილში“;

7.3. „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე №2/1637-14) შესულია კანონიერ ძალაში;

7.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/1637-14) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით კი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

7.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინებით (საქმე №28/163-16) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება;

7.6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ივნისს მიიღო დამატებითი განჩინება (საქმე №2ბ/163-16), რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას სს „...ს“ უფლებამონაცვლე ჯ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისთვის განუხლი ხარჯის ანაზღაურება 2500 ლარის ოდენობით;

7.7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინება და 21 ივნისის დამატებითი განჩინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების/დამატებითი განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე – უარის თქმა;

7.8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის განჩინებით (საქმე №ას-938-903-2016) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის დამატებითი განჩინება; ჯ. ხ-ის შუამდგომლობა იურიდიული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ჯ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა საკასაციო სამართალწარმოების გამო იურიდიულ მომსახურებაზე განუხლი ხარჯის – 800 ლარის ანაზღაურება;

7.9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის განჩინებით (საქმე №ას-938-903-2016) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/1637-14) შევიდა კანონიერ ძალაში და საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 7 ივლისს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი (საქმე №2/1637-14) კრედიტორის – ჯ. ხ-ის სასარგებლოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-10 (ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა საბაგროს ღირებულების – 200422,5 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა) და მე-11 (ქალაქ თბილისის მერიას შპს „...ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 152020,73 ლარის გადახდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობისათვის განუხლი ხარჯის ასანაზღაურებლად) პუნქტების იძულებით აღსრულების მიზნით;

7.10. 2017 წლის 26 ივლისს ჯ. ხ-ის წარმომადგენელმა განცხა-

დებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს, წარუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ივლისის სააღსრულებო ფურცელი (საქმე №2/1637-14) და მოითხოვა მოვალისთვის – ქალაქ თბილისის მერიისთვის სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის – 200422,5 ევროსა და 152020,73 ლარის იძულებით აღსრულება;

7.11. 2017 წლის 9 აგვისტოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურომ „გადაწყვეტილების შესრულების შესახებ“ შეტყობინებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და აცნობა, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია №A17086450 სააღსრულებო საქმე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 წლის 7 ივლისს გაცემული №2/1637-14 სააღსრულებო ფურცლის იძულებით აღსრულების მიზნით. ამავე შეტყობინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცა წინადადება სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის ერთი თვის ვადაში ნებაყოფლობით გადახდის შესახებ;

7.12. 2017 წლის 29 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა №10-01172411129 წერილით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა 2017 წლის 9 აგვისტოს შეტყობინება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2017 წლის 9 აგვისტოს მიიღო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ №29.02.575 განკარგულება, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ჯ. ხ-ის სასარგებლოდ დაკისრებულ თანხას გამოაკლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის №2/1637-14 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ შპს „...სთვის“ დაკისრებული საიჯარო ქირისა და აღნაგობის საფასური, შესაბამისი პირგასამტეხლოთი. დარჩენილი 556020,87 ლარი კი №00021 საგადასახადო დავალებით ჩაირიცხა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. ხ-ის მიმართ არსებული დავალიანების სრულად დაფარვის საფუძველით, მოთხოვნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის 2/1637-14 გადაწყვეტილების აღსრულებულად ჩათვლა. №10-01172411129

წერილს თან დაერთო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.02.575 განკარგულება და 2017 წლის 16 აგვისტოს №00021 საგადახდო მოთხოვნა;

7.13. 2017 წლის 4 სექტემბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელმა №A17086450-007/001 წერილით მიმართა ჯ. ხ-სა და მის წარმომადგენელს და აცნობა, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარდგენილია ქალაქ თბილისის მერიის 2017 წლის 29 აგვისტოს №10-01172411129 წერილი თანხის ურთიერთგაქვითვის შესახებ. ამასთან, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე ქალაქ თბილისის მერიის მიერ ჩარიცხულია 556020,87 ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კრედიტორს ეთხოვა აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის, შემჭიდროვებულ ვადაში, წერილობით ეცნობებინა, ეთანხმებოდა თუ არა წერილში მოყვანილ გარემოებებს და ამცირებდა თუ არა მოვალის მიმართ მის მოთხოვნას;

7.14. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლის 2017 წლის 4 სექტემბრის №A17086450-007/001 წერილის პასუხად, ჯ. ხ-ის წარმომადგენელმა 2017 წლის 8 სექტემბერს წერილით მიმართა აღმასრულებელს და აცნობა, რომ კრედიტორი არ ეთანხმებოდა წერილში მოყვანილ გარემოებებს და არ ამცირებდა მოთხოვნას მოვალის მიმართ. აღნიშნულ წერილს თან დაერთო: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრისა და 2016 წლის 28 ივნისის განჩინებები და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილება შპს „...ს“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ;

7.15. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივნისის განჩინების (საქმე №2/11553-2016) თანახმად, სს „...ს“ მიმართ შეწყდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება; სს „...ს“ გამოცხადდა გაკოტრებულად და გაუქმდა საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 25 ივლისის №... გადაწყვეტილებით სს „...ს“ რეგისტრაცია გაუქმდა;

7.16. 2017 წლის 22 სექტემბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა – მ. ბ-მა №69730 წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს და აცნობა, რომ სასამართლოს აღსასრულებელი გადაწყვეტილების შინაარსისა და საქმეში წარდგენილი დოკუმენტაციის დამატებით შესწავლის საფუძველზე (კრედიტორის – ჯ. ხ-ის განცხადება, №2/2/1637-14 განჩინება), თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ ვერ იქნება გათ-

ვალისწინებული 2017 წლის 29 აგვისტოს №10-01172411129 წერილში მოყვანილი არგუმენტები. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა, რომ 2017 წლის 16 აგვისტოს ჩარიცხვით – 556020,87 ლარით დაფარულია №2/1637-14 სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის მხოლოდ ნაწილი – 152020,73 ლარი და 200422,50 ევროდან – 143982,37 ევროს ეკვივალენტი ლარი. ამდენად, მოვალეს ეთხოვა დარჩენილი დავალიანების ნებაყოფლობით გადახდა, მასვე განემარტა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდებოდა იძულებითი აღსრულების ღონისძიებები დარჩენილი დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად;

7.17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017 წლის 6 ოქტომბერს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – მ. ბ-ის 2017 წლის 22 სექტემბრის ქმედება (№69730 წერილი) აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან გაასაჩივრა;

7.18. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2017 წლის 6 ნოემბრის №5206 ბრძანებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი ვარემოებების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე №2/1637-14) შესულია კანონიერ ძალაში, ჯ. ხ-ი შპს „...ს“ უფლებამონაცვლეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ არსებული მოთხოვნის ნაწილში წარმოადგენს. მერიისთვის სასამართლოს დასახელებული განჩინების ჩაბარებისა და განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხის კვლევა, მართალია, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საკითხს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ „უსწორობის გასწორების შესახებ“ განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 იანვრის განჩინებით (საქმე №2ბ/50-19), როგორც დაუშვებელი, განუხილველი დარჩა, რაც დამატებით ადასტურებს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის ფაქტს.

9. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ რამდენადაც ჯ. ხ-ი არ წარმოადგენს შპს „...ს“ უფლებამონაცვლეს კომპანიისთვის დაკისრებული ვალდებულებების ნაწილში, მერია არ იყო უფლებამო-

სილი, მოეხდინა ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვა.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსზე მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ აღმასრულებლის ქმედება შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

13. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დადგენილად მიიჩნია, რომ „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება (საქმე №2/1637-14) შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, ჯ. ხ-ი მპს „...ს“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენს მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ არსებული მოთხოვნის ნაწილში, ხოლო ვალდებულების ნაწილში იგი არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამოიწვევდა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

15. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის დათმობით ახალ მფლობელზე გადადის მისი უზრუნველყოფის საშუალებები და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებები. მოვალეს უფლება აქვს, ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი წარუდგინოს, რაც მას თავდაპირველი მფლობელის მიმართ გააჩნდა. მოცემულ შემთხვევაში, სს „...მ“ ჯ. ხ-ს დაუთმო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ არსებული მოთხოვნა, რის საფუძველზეც

ჯ. ხ-ი ავტომატურად გახდა იმ შესაგებლის ადრესატიც, რომლის წარდგენაც მერიას საწარმოს მიმართ შეეძლო. შესაბამისად, კასატორი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი იყო, ჯ. ხ-თან ანგარიშსწორებისას მოეხდინა მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა, ვინაიდან ჯ. ხ-ი ითვლება სს „...ს“ უფლებამონაცვლედ. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულად უნდა ჩაითვალოს.

16. კასატორი, „უსწორობის გასწორების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებასთან დაკავშირებით, მიუთითებს, რომ დასახელებული განჩინება კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებულად მიჩნევა, კერძოდ, რამდენად ჰქონდა მოვალეს – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კრედიტორის – ჯ. ხ-ის მიმართ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა.

20. საკასაციო სასამართლო, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე, მიუთითებს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულოობის უზრუნველსაყოფად კი კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების მექანიზმი, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელმაც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნორმატიულად განერილი პროცედურის ზედმინევენით დაცვით, დრო-

ულად და ჯეროვნად უნდა აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუკი მოვალე დაკისრებულ ვალდებულებას ნებაყოფლობით არ შეასრულებს. ამასთან, თანხის გადახდევინების საქმეებზე აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებაზე ან ამ ქონების ხარჯზე და კრედიტორს უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული თანხა.

21. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №2/1637-14) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქალაქ თბილისის მერიის სარჩელი და შპს „...ს“ (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოების სახით) შეგებებული სარჩელი; მხარეებს ერთმანეთის სასარგებლოდ ფულადი ვალდებულებები დაეკისრათ.

22. დადგენილია, რომ სს „...მ“ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ მოთხოვნები ჯ. ხ-ს დაუთმო. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების პირველი პუნქტით, ზემოაღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე, სს „...ს“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა ჯ. ხ-ი. ამავე სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით კი გასწორდა დასახელებულ განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „სამოქალაქო საქმეზე №2/1637-14, სს „...ს“ (ს/ნ ...) უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნეს ჯ. ხ-ი (პ/ნ ...), მხოლოდ ქ. თბილისის მერიის მიმართ არსებული სს „...ს“ მოთხოვნის ნაწილში“. საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებაში მიუთითა, რომ აუცილებელი იყო უფლებამონაცვლეობის ფარგლების დაკონკრეტება, რათა განჩინების არსებული შინაარსით დატოვებას სამომავლოდ გაუგებრობა არ გამოეწვია.

23. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინება შესულია კანონიერ ძალაში. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს არა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის უფროსის წერილი, არამედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 იანვრის განჩინებაც, რომლითაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

24. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 მარტის განჩინებაზე, რომლითაც მერიას უარი ეთქვა, ჯ. ხ-ი სს „...ს უფლებამონაცვლედ მიჩნეულიყო ვალდებულებების ნაწილში. სასამართლომ განმარტა, რომ ადგილი ჰქონდა მოთხოვნის დათმობას და არა ვალის გადაკისრებას.

25. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ სამოქალაქო დავა იმგვარად წარიმართა და დასრულდა, რომ ჯ. ხ-ზე სს „...ს“ მხოლოდ მოთხოვნა გადავიდა, ფიზიკური პირი არ ყოფილა განხილული საწარმოს უფლებამონაცვლედ ვალდებულებების ნაწილში; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის №ას-938-903-2016 განჩინებაშიც კი ჯ. ხ-ი მოხსენიებულია როგორც სს „...ს“ უფლებამონაცვლედ კრედიტორული დავალიანების ნაწილში. შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიკუთვნებული თანხის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა სს „...“; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დაკისრებული თანხა კი უნდა გადახდილიყო ჯ. ხ-ის სასარგებლოდ.

26. საქმეზე დადგენილია, რომ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ კრედიტორის – ჯ. ხ-ის განცხადების საფუძველზე, მოვალის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ დაიწყო სააღსრულებო წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია კი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს აღსრულებულად, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.02.575 განკარგულების საფუძველზე, სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული თანხის (718134,12 ლარი) ნაწილი – 556020,87 ლარი ჩარიცხულ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე. რაც შეეხება თანხის დარჩენილ ნაწილს, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „...საც“ დაეკისრა მერიის სასარგებლოდ თანხის გადახდა, თბილისის მერიამ მოახდინა ჯ. ხ-ისთვის გადასახდელი და მერიის სასარგებლოდ კომპანიისთვის დაკისრებული თანხის ურთიერთგაქვითვა.

27. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებუ-

ლებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ამრიგად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა, რომ ურთიერთობის ორივე მხარეს გააჩნდეს ერთმანეთის მიმართ შეუსრულებელი ვალდებულება, ანუ ორივე ერთმანეთის მიმართ ერთდროულად უნდა იყვნენ როგორც მოვალეები, ასევე კრედიტორები. ამასთან, „ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც, სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არასადავოობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის №ას-1632-2019 განჩინება).

28. განსახილველ შემთხვევაში კი, დასრულებული სამართალწარმოების საფუძველზე, ჯ. ხ-ს მოთხოვნა გააჩნია მერიის მიმართ, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვნა გააჩნია სს „...ს“ მიმართ. შესაბამისად, ერთდროულად ერთმანეთის მიმართ შეუსრულებელი მოთხოვნები არ არსებობს, თითოეულის მოთხოვნის ნაწილში სხვადასხვა პირია მოვალე. ამასთან, ჯ. ხ-ის კომპანიის უფლებამონაცვლედ დადგენამდე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი უშუალო მოვალის (სანარმოს) მიმართ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის თაობაზე შეტყობინების გაგზავნის ფაქტიც არ დასტურდება. უფრო მეტიც, დღეის მდგომარეობით, სს „...“ გამოცხადებულია გაკოტრებულად და გაუქმებულია მისი სამენარმეო რეესტრში რეგისტრაცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 454-ე მუხლის შესაბამისად კი, იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის საფუძველები.

29. საკასაციო პალატა დამატებით ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ ჯ. ხ-ს სს „...მ“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის საფუძველზე დაუთმო მოთხოვნები. ამასთანავე, სს „...მ“ ჯ. ხ-ს მოთხოვნა დაუთმო იმ მიზეზით, რომ კომპანიას ჯ. ხ-ის

მიმართ სასესხო დავალიანება გააჩნდა. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ძალაშია და ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო ვერ შეაფასებს მის კანონიერებას, ან გადაცემული მოთხოვნის მოცულობას. ასეთ პირობებში კი, კასატორი არ იყო უფლებამოსილი, თავად შეემცირებინა ჯ. ხ-ისთვის გადასახდელი თანხა სს „...ს“ მიმართ არსებული მოთხოვნის მოცულობით.

30. საკასაციო სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის მორიგებით დასრულების აქტიური მცდელობისა და მხარეთა მორიგების მიზნით საქმის განხილვის გადადების მიუხედავად, მხარეთა შორის ვერ იქნა მიღწეული მორიგება, რაც მხარეთა ფინანსური ვალდებულებების დაბალანსებას უზრუნველყოფდა.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებების, ჯ. ხ-ის უფლებამონაცვლედ ცნობის სამართლებრივი საფუძვლისა და ძალაში შესული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. ხ-ი არ წარმოადგენს სს „...ს“ უფლებამონაცვლეს კომპანიისთვის დაკისრებული ვალდებულებების ნაწილში. შესაბამისად, არ არსებობს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაძლებლობა და სასამართლოს გადანყვეტილება აღსრულებულად ვერ ჩაითვლება. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ოქტომბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-16-16(2უს-18)

13 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ეკონომიკი-
სა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწი-
ფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჩივარი თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
13.12.2017წ. განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ლ-მა 16.11.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეე-
ბის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-
მინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
მიმართ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
15.06.2016წ. №16/30128 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის,
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-
ტროს 14.11.2016წ. №1-1/614 გადაწყვეტილების ბათილად ცნობი-
სა და მოპასუხეებისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2004 წლიდან იჯარის ხელშეკრუ-
ლების საფუძველზე ფლობდა ... მდებარე სახელმწიფო საკუთრე-
ბაში არსებულ საძოვარს (ს/კ ...), რაც მას აძლევდა შესაძლებლო-
ბას იმ დროს მოქმედი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სა-
სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“
კანონის საფუძველზე მოეხდინა მიწის ნაკვეთის პრივატიზება,
თუმცა აღნიშნული ვერ განახორციელა, რადგან იმავე მიწის ნაკ-
ვეთზე უკვე არსებობდა სახელმწიფოს მიერ რამდენიმე ფიზიკურ
პირთან სხვადასხვა დროს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულე-

ბები. ნინონმინდის რაიონული სასამართლოს 27.06.2006წ. გადაწყვეტილებით გაუქმდა №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე დადებული ყველა იჯარის ხელშეკრულება და ნინონმინდის რაიონის გამგეობას და მიწის იჯარით გამცემ კომისიას დაევა-
ლა ყველა გარემოების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასე-
ბის შემდეგ ერთკვირიან ვადაში ახალი აქტების გამოცემა. სასა-
მართლოს დავალების მიუხედავად ნინონმინდის რაიონის გამგეო-
ბის მიერ რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. ნინონ-
მინდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 30.08.2006წ. სადავო მიწის
ნაკვეთი იჯარით 10 წლის ვადით უკონკურსოდ გადასცა ვ. გ-ს, რო-
მელმაც 18.07.2008წ. განახორციელა იჯარით გადაცემული მიწის
ნაკვეთის მის სახელზე პრივატიზება. დ. ლ-ის მიერ სასამართლო-
ში გასაჩივრების შემდეგ ვ. გ-ის სახელზე გაცემული უფლების
დამდგენი დოკუმენტები ბათილად იქნა ცნობილი ახალქალაქის რა-
იონული სასამართლოს 20.07.2011წ. გადაწყვეტილებით, იმ მოტი-
ვით, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატი-
ზების შესახებ“ კანონის ახალი რედაქციით პრივატიზებას არ ექ-
ვემდებარებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვარი.
ამის შემდეგ, ნინონმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავ-
მჯდომარის 01.05.2012წ. ბრძანებით დ. ლ-ს ზემოაღნიშნული მი-
წის ნაკვეთი იჯარით სარგებლობისათვის გადაეცა 10.10.2012 წლამ-
დე, რომლის ვადის ამოწურვის შემდეგაც დ. ლ-მა ორჯერ, პირვე-
ლად 31.03.2014წ. და მეორედ 13.06.2016წ. განცხადებით მიმართა
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიწის ნაკვეთის
იჯარით გადაცემისა და პრივატიზების მოთხოვნით. სსიპ სახელ-
მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 15.06.2016წ. №16/30128 წე-
რილით განემარტა, რომ პრივატიზებისთვის განმცხადებელს შე-
საბამისი ორგანოსათვის უნდა მიემართა არაუგვიანეს 2011 წლის 1
მაისისა, ხოლო რაც შეეხება იჯარით გაცემის საკითხს, დადებითი
გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის იჯარით
გაცემის თაობაზე ლოტი განთავსდებოდა შესაბამის ვებგვერდზე.
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 15.06.2016წ.
№16/30128 წერილი დ. ლ-ის მიერ გასაჩივრდა საქართველოს ეკო-
ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის
14.11.2016წ. №1-1/614 გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყო-
ვილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 31.03.2017წ. გადაწყვეტილებით დ. ლ-ის სარჩელი
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად
ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-
აგენტოს 15.06.2016წ. №16/30128 და საქართველოს ეკონომიკისა

და მდგრადი განვითარების სამინისტროს 14.11.2016წ. №1-1/614 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დაევალა კანონით დადგენილ ვადაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დ. ლ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით. მოსარჩელის მოთხოვნა გადახდილი საადვოკატო ჰონორარის მოპასუხეებზე დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ.

დ. ლ-ის წარმომადგენელმა ლ. გ-მა 13.12.2017წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. შუამდგომლობის ავტორმა აღნიშნა, რომ გაზაფხულის მოახლოვებასთან ერთად შესაძლოა აქტუალური გახდეს მიწის ნაკვეთის სხვა პირებზე იჯარით გადაცემის საკითხი, ვინაიდან სადავო მიწა წარმოადგენს ზაფხულის საძოვარს და წინა სასამართლო დავების დროს არაერთხელ იყო გაცემული იჯარით, ხოლო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში არსებობს სადავო მიწის ნაკვეთის გადაცემის გამარტივების რისკი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.12.2017წ. განჩინებით დ. ლ-ის წარმომადგენლის ლ. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს აეკრძალათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ... რაიონი, ... 2, ... საზაფხულო საძოვარი, საკადასტრო კოდი №..., გასხვისება, იჯარით გადაცემა და სანივთო სამართლებრივი უფლებით (იპოთეკა, აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი) დატვირთვა.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 22.12.2017წ. და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 27.12.2017წ. შეიტანეს საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.12.2017წ. განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.01.2018წ. განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჩივრები თბილისის საა-

პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.12.2017წ. განჩინებებზე დაუსაბუთებულობის გამო არ დაკმაყოფილდა, საქმის მასალები საჩივრებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. განსახილველ შემთხვევაში დ. ლ-ის წარმომადგენელმა ლ. გ-მა 13.12.2017წ. განცხადებით მოითხოვა №... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის, გასხვისების, მასზე იპოთეკის, შეზღუდული სარგებლობის ან სხვა ვალდებულების რეგისტრაციის აკრძალვა იმ დასაბუთებით, რომ მიწის ნაკვეთი, როგორც ზაფხულის საძოვარი, სეზონის მოახლოვებასთან ერთად შესაძლოა სხვა პირებზე გაცემულიყო იჯარით, რისი რეალური საშიშროებაც არსებობდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის ირგვლივ მანამდე არსებული დავებიდან გამომდინარე, ხოლო მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს შეიძლება გამოეწვია სადავო მიწის ნაკვეთის გადაცემის გამარტივება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის

ლონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულიად დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხეებისათვის სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებაში გარკვეული მოქმედებების აკრძალვის შესახებ, რადგან საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარსულში რამდენჯერმე იყო განკარგული სახელმწიფოს მიერ, რამაც დავა წარმოშვა მხარეთა შორის, კერძოდ, სადავო მიწის ნაკვეთი 2001 წელს კანონმდებლობის მათხოვნათა დარღვევით გაიცა იჯარით, რაც გაუქმდა ნინოშინდის რაიონული სასამართლოს 27.06.2006წ. გადაწყვეტილებით. აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2006 წელს კვლავ გაიცა იჯარით. 2008 წელს მოხდა იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის პრივატიზება, რომელიც დ. ლ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 20.07.2011წ. გადაწყვეტილებით. შესაბამისად დიდია აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობით შესაძლო გაცემის, გასხვისების ალბათობა, რაც გააძნელებს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას საქმის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში. რეგისტრაციასთან დაკავშირებული ქმედებების (გასხვისება, იჯარით გადაცემა, აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი) განხორციელების აკრძალვის პირობებში მოპასუხეებს ერთმევათ შესაძლებლობა გაასხვისონ ან უფლებრივად დატვირთონ ის მიწის ნაკვეთი, რომლებზეც შესაძლოა მოსარჩელის უფლების არსებობა დადგინდეს. აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად გართულდება ან სულაც შეუძლებელი გახდება კეთილსინდისიერი შემძენის უფლების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრების ავტორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებლად, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველების გარეშე განხორციელდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პირობა, ასევე არსებობს საფუძველი, რომლის გამოც უზრუნველყოფის ღონის-

ციების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადან-
ყვეტილების აღსრულებას.

საჩივრების ავტორები მიიჩნევენ, რომ სათანადო მტკიცებუ-
ლებებით არ დასტურდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-
ების გამოყენების საჭიროება, სასამართლოს გადანყვეტილების
აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის არსებო-
ბა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონის-
ძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადანყვეტილე-
ბის აღუსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მი-
ნიმუმამდე დაყვანას. რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მი-
სი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს, იგი ჯერ არ არის რეალი-
ზებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხროცილდეს. ამდენად,
ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-
ტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფი-
ლა და ადმინისტრაციულ ორგანოს, სსიპ სახელმწიფო ქონების
ეროვნულ სააგენტოს დაევალა კანონით დადგენილ ვადაში, საქ-
მისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულ-
ყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუ-
ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დ. ლ-
ის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ასევე წარსულში სადავო მინის
ნაკვეთთან დაკავშირებით არსებული დავები, სსკ-ის 191-ე მუხ-
ლის საფუძველზე ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-
ბის გამოყენების წინაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის,
რომ არ არსებობს საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-
წილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-
მინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.12.2017წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-
რდება

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-108(უს-19)

7 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 10 მაისს გ. ქ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების (№492 ოქმი) ბათილად ცნობა გ. ქ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მოპასუხისათვის ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 540 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გ. ქ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 6 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინება.

2018 წლის 30 ოქტომბერს გ. ქ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შორის, 540 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდიდან მოპოვებულ იქნა და საქმის მასალებს დაერთო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შორის (საკადასტრო კოდით ...) ახლანდელი და წინა მესაკუთრეების თაობაზე მასალები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით გ. ქ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინება საჩივრით გაასაჩივრა გ. ქ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შორის (საკადასტრო კოდით ...) ყადაღის დადება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განჩინებით გ. ქ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ქ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის 2009 წლის 28 სექტემბრის ამონაწერის მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 541.00 კვ.მ, მდებარე: თბილისი, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შორის, საკადასტრო კოდი ..., დარეგისტრირდა ო. ფ-ის სახელზე. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია საკუთრების უფლების მოწმობა №..., დამონშების თარიღი 31/08/2009წ., ქ. თბილისის საკრებულო. აღნიშნული რეგისტრაციისათვის 2009 წლის 17 სექტემბერს დაინტერესებულმა პირმა ო. ფ-ემ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა საკუთრებად აღიარებულ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. უძრავი ნივთის მისამართად მითითებულია, თბილისი, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შორის.

სსიპ საჯარო რეესტრის 2014 წლის 10 სექტემბრის ამონაწერის მიხედვით, 2014 წლის 8 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 541.00 კვ.მ, მდებარე: თბილისი, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შორის, საკადასტრო კოდი ..., დარეგისტრირდა ნ. ფ-ის სახელზე.

სსიპ საჯარო რეესტრის 2015 წლის 5 მარტის ამონაწერის მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 541.00 კვ.მ, მდებარე: თბილისი, ... ქ. №8 და №10 კორპუსებს შო-

რის, საკადასტრო კოდი ..., დარეგისტრირდა გ. ქ-ის სახელზე. უფლების დამდგენ დოკუმენტად მითითებულია უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დათარიღებული 2015 წლის 27 თებერვლით.

2015 წლის 2 ნოემბერს გ. ქ-ის წარმომადგენელმა გ. ბ-მა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, რომლითაც ქალაქ თბილისში, ... ქუჩაზე, №8 და №10 კორპუსებს შორის მდებარე №... საკადასტრო კოდის მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 540 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გ. ქ-ის საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა, იმ მოტივით, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთს ფლობდა 1970 წლიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2016 წლის 28 მარტის №492 გადაწყვეტილებით გ. ქ-ეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ არ დასტურდებოდა ქალაქ თბილისში, ... ქუჩა №8 და №10 კორპუსების მიმდებარე 540 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2007 წლამდე თვითნებურად დაკავების ფაქტი.

მოსარჩელის – გ. ქ-ის მიზანია ქ. თბილისში, ... ქუჩაზე №... საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე 540 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით ..., მისი საკუთრების უფლების აღიარება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია მოსარჩელის უფლება მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ამავე მუხლით განსაზღვრულია მითითებული საპროცესო უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის

უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ქ-ემ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი არც განცხადების და არც საჩივრის განხილვის დროს სასამართლოს მხრიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის. მხარე განცხადებაში კონკრეტულად და რეალურად უნდა მიუთითებდეს იმ კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც ეჭვქვეშ აყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებლობას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, რაც გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებადი ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, ამასთან, ქმნის სავარაუდო განცდას სარჩელის პერსპექტიულობის თაობაზე, რაც წინამდებარე შემთხვევაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ქ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ქ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ნოემბრისა და 2018 წლის 25 დეკემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-469(უს-19)

16 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 30 ოქტომბერს კ. ს-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსრულების პოლიციის მიმართ და მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და აღსრულების პოლიციას აეკრძალოს აღსრულების განხორციელება, კერძოდ, კ. ს-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. ... მდებარე ქ. თბილისში, №..., ბინა 73) კ. ს-ის გამოსახლება. მოსარჩელემ ასევე, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და საქმის საბოლოო განხილვამდე აღმასრულებელ რ. გ-ას წარმოებაში არსებული №18028594-004/001 სააღსრულებო წარმოების შეჩერება მოითხოვა.

2018 წლის 05 ნოემბერს მოსარჩელე კ. ს-ის წარმომადგენელმა ხარვეზის შევსების მიზნით, განცხადებით მიმართა სასამართლოს,

დააზუსტა მოპასუხეთა წრე, მოპასუხედ მიუთითა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიცია და მოითხოვა მოპასუხეს აეკრძალოს აღსრულების განხორციელება, კერძოდ, კ. ხ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. ..., მდებარე: ქ. თბილისში,, ბინა 73) კ. ს-ის გამოსახლება.

2018 წლის 14 ნოემბერს კ. ს-ის წარმომადგენელმა თ. გ-მა ასევე დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხედ მიუთითა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსრულების პოლიცია და მოითხოვა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სამართალურთიერთობის არარსებობის დადგენა. ასევე უზრუნველყოფის სახით მოითხოვა მოპასუხისათვის აღსრულების განხორციელების აკრძალვა, კერძოდ, კ. ხ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. ... მდებარე ქ. თბილისში, ... №..., ბინა 73) კ. ს-ის გამოსახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 18 იანვარს კ. ს-ის წარმომადგენელმა ვ. რ-ემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი გამოსახლების პროცესის შეჩერება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა განუხილველად იქნა დატოვებული, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა და 2019 წლის 18 იანვარს მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა იმავე საგანზე – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი გამოსახლების პროცესის შეჩერება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 18 თებერვალს 17:52 საათზე კ. ს-ის წარმომადგენელმა თ. გ-მა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქმის საბოლოო განხილვამდე აღმას-

რულებელ რ. გ-ას წარმოებაში არსებული № 18028594-004/001 სა-
აღსრულებო წარმოების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის
განჩინებით კ. ს-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის
უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერების შე-
სახებ არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძვლით, რომ როდესაც სასამარ-
თლოს მიერ საქმეზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილება სარჩე-
ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, არ არსებობდა სარ-
ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საქართველოს
სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წინაპირობები.

2019 წლის 20 თებერვალს კ. ს-მა სარჩელის უზრუნველყოფის
ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიას და მოითხოვა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კ. ს-ის
გამოსახლების აკრძალვა. აღნიშნული განცხადება, განსახილვე-
ლად გაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა პალატაში 2019 წლის 21 თებერვალს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებით კ. ს-ს დაუდ-
გინდა ხარვეზი, რომლითაც მხარეს დაევალა მოთხოვნის დაზუს-
ტება. კერძოდ, განცხადების ავტორს სასამართლოსთვის უნდა მი-
ეთითებინა 2019 წლის 20 თებერვალს წარმოდგენილი განცხადე-
ბით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინების გა-
უქმებას და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენე-
ბას, თუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის წინაშე აყენებდა შუამდგომლობას სარჩელის უზ-
რუნველყოფის ღონისძიების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატაში 2019 წლის 22 თებერვალს კ. ს-ის წარმომადგენელ-
მა წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე, სადაც მხა-
რემ მიუთითა, რომ არ ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერ-
ვლის განჩინებას და ითხოვდა კ. ს-ის ნაწილში გამოსახლების შე-
ჩერებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებით კ. ს-ის გან-
ცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების
თაობაზე დარჩა განუხილველი, იმ საფუძვლით, რომ არსებობდა
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის
მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ, სააპელა-

ციო სასამართლოში მოსარჩელის შუამდგომლობა დაყენებული იყო იმავე საგანზე და მოთხოვნაც გამომდინარეობდა იმავე საფუძვლიდან, რაზეც მიუთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ განცხადებებში. ანალოგიური შინაარსის განცხადებები კი განხილულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი გამოსახლების პროცესის შეჩერების თაობაზე, დარჩა განუხილველად, რაც არ გასაჩივრებულა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა კ. ს-ს განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი, რადგან სახეზე იყო სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში 2019 წლის 26 თებერვალს წარდგენილ იქნა კ. ს-ის განცხადება-თხოვნა, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით სააპელაციო პალატამ მიიჩნია 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებაზე წარდგენილ საჩივრად, რადგან კ. ს-ი აღნიშნული განცხადებით არ ეთანხმებოდა სადავო ბინიდან მის გამოსახლებას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებას, რომლითაც მხარის განცხადება გამოსახლების შეჩერებასთან დაკავშირებით დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 6 მარტის განჩინებით კ. ს-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ს-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის მიერ წარდგენილია დასაბუთებული და არგუმენტირებული პოზიცია კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე, ასევე განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი გავლენა გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებით კ. ს-ის განცხადება გამოსახლების შეჩერებასთან დაკავშირებით დარჩა განუხილველი, რადგან, მხარე კვლავ ითხოვდა სასამართლოსგან გამოსახლების შეჩერებას იმავე საფუძველით, რაზეც უთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ განცხადებებში, რომელთა თაობაზეც სასამართლომ იმსჯელა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი გამოსახლების პროცესის შეჩერების თაობაზე, დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უკავშირდება სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს

2019 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით კ. ს-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინების მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სასამართლოს მიერ საქმეზე უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წინაპირობები, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოში 2019 წლის 20 თებერვალს წარდგენილი მოსარჩელის შუამდგომლობა, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კ. ს-ის გამოსახლების აკრძალვის თაობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ საქმეზე ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას, რამდენადაც საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით კ. ს-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რომელიც არ გასაჩივრებულა. ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 2019 წლის 20 თებერვალს წარდგენილი და 22 თებერვალს დაზუსტებული მოსარჩელის შუამდგომლობა დაყენებული იყო იმავე საგანზე და მოთხოვნაც გამომდინარეობდა იმავე საფუძვლიდან, რაზეც მოსარჩელე მიუთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ განცხადებებში, რომლებიც არაერთგზის განხილულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და 2018 წლის 15 ნოემბრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით კ. ს-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იძულებითი გამოსახლების პროცესის შეჩერების თაობაზე, დარჩა განუხილველად; ამასთან საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ განცხადებაში კონკრეტულად და რეალურად ვერ იქნა მითითებული იმ კანონშეუსაბამობის თაობაზე, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელებას ან შეუძლებლობას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, რაც გამოიწვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 თებერვალს კ. ს-ის სარჩელზე მიღებულია გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე .

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ს-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. ს-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლისა და 2019 წლის 6 მარტის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების
მართლზომიერება**

**განჩინება
საქართველოს სასჯელით**

№ბს-561(უს-19)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 19.09.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – შპს „...ას“, ა. კ-ისა და დ. ა-ის მიმართ, მოპასუხეების ცრუმაგიერ პირებად ცნობის მოთხოვნით. ამავე სარჩელით მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოითხოვა ყადაღის დადება მოპასუხე ა. კ-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ 1) 50%-იან წილზე შპს „...ას“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 2) 100%-იან წილზე შპს „ნ...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 3) 25%-იან წილზე შპს „კ...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 4) 100% წილზე შპს „პ...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 5) მოპასუხე დ. ა-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 6) უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 7) უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 8) უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 9) უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 10) უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 11) უძრავ ქონებაზე ს/კ ...; 12) ავტომანქანაზე X5 XDRIVE 351 სახ. ნომრით ...; 13) ცეცხლსასროლ თოფზე FABARM იარაღის ნომერი ...; 14) რევოლვერზე HOLEK 820 იარაღის ნომერი ...; 15) 50%-იან წილზე შპს „...ას“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 16) 44%-იან წილზე შპს „ბ...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 17) 25%-იან წილზე შპს „კ...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 18) 70%-იან წილზე შპს „კო...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 19) 100%-იან წილზე შპს „ვ...ის“ (ს/ნ ...) კაპიტალში; 20) საბანკო ანგარიშზე სს „...ში“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.09.2018წ. განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 01.10.2018წ. საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.09.2018წ. განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.10.2018წ. განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.11.2018წ. განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.09.2018წ. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე და 29.10.2018წ. განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და მისი ზემდგომ სასამართლოში გადმოგზავნის თაობაზე; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა და ყადაღა დაედო მოპასუხე ა. კ-ის 50%-იან წილზე შპს „...ში“ (ს/ნ ...), ასევე ყადაღა დაედო დ. ა-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებას: 1) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 2) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 3) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 4) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ...ას ქ. №5, ს/კ ...; 5) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 6) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, სოფელი დილომი, ..., №23, ს/კ ...; 7) უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... №70, ...; დანარჩენ ნაწილში საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოპასუხე დ. ა-ის წარმომადგენელმა ქ. ზ-მა 21.02.2019წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მოთხოვნით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.11.2018წ. განჩინებით დაყადებული ქონების მთლიანი ღირებულება შეადგენს დაახლოებით 8 000 000 (რვა მილიონ) ლარს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ შპს „...ს“ საგადასახადო დავალიანება 24.07.2018 წლის მდგომარეობით შეადგენს 87 893,96 ლარს, ხოლო დავის დასრულებისათვის დავალიანების სავარაუდო ოდენობა საშუალოდ 103 218 ლარი იქნება. განმცხადებელმა მიუთითა 196¹.1 მუხლზე, მოითხოვა უზრუნველყოფის საგნის შეცვლა და სასამართლო დავის დასრულებ-

ბამდე დ. ა-ისათვის მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილისი, ...ს ქ. №5 ს/კ ...) გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა. განცხადებას თან ერთვოდა ზემოაღნიშნული უძრავი ქონების შეფასების დასკვნა, რომლის მიხედვითაც ქონების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 404 000 (ოთხასოთხი ათას) ლარს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ქონების ღირებულება დავის დასრულებისათვის შემოსავლების სამსახურის ქონებრივ ინტერესს დაახლოებით 4-ჯერ აღემატება. შემოთავაზებული უზრუნველყოფის სახეც (გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა) შესაბამისობაშია უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტის მთავარ პრინციპთან – აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო ყადაღა გაუმართლებლად ხელყოფს მოპასუხის ინტერესს, მითუფრო იმ პირობებში, როდესაც დაყადაღებული ქონების ნაწილი გაცემულია იჯარით. ამდენად, სახეზეა სსსკ-ის 196¹.1 მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის საგნის სარჩელის ტოლფასი სხვა ქონების შეცვლის წინაპირობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინებით დ. ა-ის წარმომადგენლის ქ. ზ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ყადაღა მოეხსნა უძრავ ქონებას მდებარე: 1) ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 2) ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 3) ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 4) ქ. თბილისი, ... №70, ს/კ ...; 5) ქ. თბილისი, სოფელი დილომი, ..., №23, ს/კ ...; 6) ქ. თბილისი, ... №70,

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 18.03.2019წ. საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინების გაუქმება მოითხოვა. სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის სრულყოფილად გამოკვლეული და არსებითად შეფასებული სარჩელის ფასისა და ყადაღადადებული ქონებების ღირებულების შესაბამისობის, ჩანაცვლების მოთხოვნით წარმოდგენილი უძრავი ქონების დავის დასრულებისათვის არსებული ღირებულების საკითხი. ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით ერთ-ერთი უძრავი ქონების ღირებულება არის 404 000 ლარი, არ გულისხმობს, რომ დავის დასრულებისათვის აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება იგივე იქნება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უძრავი ქონების ბაზარი და სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების საფუძველზე განპირობებული ფასების ცვალებადობა. შესაძლებელია დავის დასრულებისათვის ქონება გაცილებით ნაკლები ღირებულების იყოს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში შეუძლებელს გახდის კრედიტორის

ინტერესების დაკმაყოფილებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება მოსარჩელეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.04.2019წ. განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ცრუმადგიერ პირებად აღიარება, რაც დაკავშირებულია გადასახადების ამოღებასთან. დადგენილია, რომ საგადასახადო დავლიანება სარჩელის მიხედვით შეადგენს 87 893,96 ლარს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 196¹.1 მუხლის თანახმად, ყადაღადადებული ქონების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის მიზნით, სასამართლოს სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება შესთავაზოს. სასამართლოს საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებაში ცვლილების შეტანა გამართლებულია და გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების, თუ შეუძლებლობის საფრთხე არ დასტურდება. აღნიშნულის გადანყვეტის წინაპირობა უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და სარჩელის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა-გადაწყვეტაა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ბალანსის გონივრულად შეფასების პირობებში, სააპელაციო პალატის მიერ მართებულად დაკმაყოფილდა ნაწილობრივ დ. ა-ის წარმომადგენლის ქ. ზ-ის შუამდგომლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. ა-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისში,ას ქ. №5-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) შეფასების დასკვნა, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნული ქონების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 404 000 ლარს. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც საგადასახადო დავლიანება სარჩელის მიხედვით წარმოადგენს 87 893.96 ლარს, მოპასუხის მიერ შეთავაზებული ქონების ღირებულება მოთხოვნის თანაზომიერია და უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესის დაცვას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მინიმუმამდე დაყვანას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა და მოპასუხის ინტერესს შორის. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცუ-

ლობის ადეკვატური. დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის აპელირება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების არამართლზომიერებაზე. საჩივარში წარმოდგენილი მოტივაცია ემყარება იმ გარემოებას, რომ შპს „...ას“ (ს/კ ...) დავალიანება შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს დავის დასრულებამდე, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაყადაღებული ქონება ვეღარ უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მოსარჩელეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჩივარში მოყვანილი მსჯელობა დაუსაბუთებელი, აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათისაა, საჩივრის ავტორი ვერ უთითებს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებზე, რაც გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების არამართებულობაზე მიუთითებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ყადაღადადებული ქონების (ს/კ ...) ღირებულება გონივრულ შესაბამისობაშია საგადასახადო დავალიანების თანხასთან, შესაბამისად არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 419-ე, 420-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.03.2019წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გამო სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმება

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-314(კს-20)

9 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ა. ნულაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
უქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 12 ოქტომბერს ლ. გ-მა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადებით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის მიზნით მ. ზ-ს აკრძალვოდა მის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ახალქალაქის რაიონის სოფ. ...ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდით ...) გასხვისება, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ლ. გ-ის მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; მ. ზ-ს აკრძალა ახალქალაქის რაიონის სოფ. ...ში მდებარე (საკადასტრო კოდით ...) მიწის ნაკვეთის გასხვისება.

2015 წლის 21 ოქტომბერს ლ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ახალქალაქის სარეგისტრაციო სამსახურისა და მ. ზ-ის მიმართ.

მოსარჩელემ ახალქალაქის რაიონის სოფელ ...ში მდებარე 1000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით ...) მ. ზ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ახალქალაქის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 4 სექტემბერს მიღებული №... გადაწყვეტილების მიწის ნაკვეთებს შორის გადაფარვის ნაწილში ბათილად ცნობა მოითხო-

ვა.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით მიღებული ღონისძიება მ. ზ-ისათვის (პირადი №...) ახალქალაქის რაიონის სოფელ ...ში მდებარე (საკადასტრო კოდით ...) მიწის ნაკვეთის გასხვისების აკრძალვის თაობაზე.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მ. ზ-ის სახელზე მიწის რეგისტრაციის შესახებ ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილება (ს.კ. ...), ლ. გ-ის მიერ წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითებულ მიწის ნაკვეთთან გადაფარვის ნაწილში და სარეგისტრაციო სამსახურს საქმის გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე მ. ზ-ის სახელზე მიწის რეგისტრაციის შესახებ გადაფარვის ნაწილში ახალი აქტის მიღება დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ზ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

მ. ზ-მა 2019 წლის 13 ნოემბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ითხოვა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის

გადანყვეტილებით, რომლითაც ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, არ არის ნამსჯელი უზრუნველყოფის ღონისძიების ბედზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინებით მ. ზ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მ. ზ-ის სახელზე მიწის რეგისტრაციის შესახებ ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილება (ს.კ. ...), ლ. გ-ის მიერ წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითებულ მიწის ნაკვეთთან გადაფარვის ნაწილში და ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე მ. ზ-ის სახელზე მიწის რეგისტრაციის შესახებ გადაფარვის ნაწილში ახალი აქტის მიღება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მითითებული გადაწყვეტილების საფუძველზე მართალია არა არსებითად, მაგრამ ბათილად არის ცნობილი რეგისტრაციის შესახებ ის გადაწყვეტილება, რომელმაც სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილზე წარმოშვა მ. ზ-ის საკუთრების უფლება. შესაბამისად, მ. ზ-ი ამ ეტაპზე არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის სრულფასოვან მესაკუთრეს და კვლავაც გაურკვეველია ლ. გ-ის უფლებრივი საკითხი სადავო უძრავ ნივთთან მიმართებაში.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით გამოიწვევს მ. ზ-ის იმ უფლებებში აღდგენას, რაც მას ამ ეტაპზე არ გააჩნია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მიიჩნია უსაფუძვლოდ.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ თუ მხარეთა შორის ურთიერთობა შეიცვალა, მხარეები მორიგდნენ ან/და გამოიცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წინამდებარე განჩინება განმცხადებელს არ ართმევს შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ზ-მა. კერძო საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის განჩინებაში გამორჩენილი უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ თავის დროზე სასამართლოს მიერ დაშვებულ იქნა მექანიკური შეცდომა და სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ იმსჯელა უზრუნველყოფის გაუქმების ბედზე, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საფუძველს წარმოადგენდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო რეესტრის მიერ გადაწყდა კონკრეტული საკითხი, კერძოდ, მოხდა ნახაზის კორექტირება, ხოლო ლ. გ-ს 2019 წლის 11 ოქტომბერს უარი ეთქვა რეგისტრაციის განხორციელებაზე. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით აღარ არსებობს დავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ივლისის განჩინებით მ. ზ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ზ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილი კერძო საჩივრით სადავოდ არის გამხდარი სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე უარის თქმის კანონიერება. სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს

ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

განსახილველ დავაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით მ. ზ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია სარჩელის აღძვრამდე ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით. ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი მ. ზ-ის სახელზე მიწის რეგისტრაციის შესახებ ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის №... გადაწყვეტილება (ს.კ. ...), ლ. გ-ის მიერ წარდგენილ საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითებულ მიწის ნაკვეთთან გადაფარვის ნაწილში და ახალციხის სარეგისტრა-

ციო სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე მ. ზ-ის სახელზე მიწის რეგისტრაციის შესახებ გადაფარვის ნაწილში ახალი აქტის მიღება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი ახლებურად არ გადაწყვეტილა და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებით, ავტომატურად ძალაში დარჩა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ შესაბამის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების ან დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია განიმარტოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე არა არსებითად, მაგრამ ბათილად იყო ცნობილი რეგისტრაციის შესახებ ის გადაწყვეტილება, რომელმაც სადავო მიწის ნაკვეთის ნაწილზე წარმოშვა მ. ზ-ის საკუთრების უფლება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ზ-ი იმ ეტაპზე არ წარმოადგენდა მიწის ნაკვეთის სრულფასოვან მესაკუთრეს და კვლავაც გაურკვეველი იყო ლ. გ-ის უფლებრივი საკითხი სადავო უძრავ ნივთთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული დასკვნის გაკეთება გამოიწვია, მ. ზ-ის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ წარდგენილ განცხადებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობამ, მტკიცებულებების წარუდგენლობამ, რომლებიც დაადასტურებდნენ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნის მ. ზ-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 22 თებერვლის №... გადაწყვეტილებით კორექტირებული ნახაზის შესაბამისად, 921 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად) განხორციელდა მ. ზ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთან, 2019 წლის 11 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით – სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაციის თაობაზე ლ. გ-ის მიერ წარდგენილ განცხადებაზე, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ იქნა გადან-

ყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებისა და მისი აღსრულების საშუალებას წარმოადგენს, მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულებულია, შესაბამისად, აღარ არსებობს მოცემულ საქმეზე აღძრული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე წარმოიშვა მ. ზ-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ზ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინება;
3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მ. ზ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – მ. ზ-ისთვის ახალქალაქის რაიონის სოფ. ...ში მდებარე (საკადასტრო კოდით ...) მიწის ნაკვეთის გასხვისების აკრძალვის შესახებ;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დავის არსებითად დასრულების გამო სარჩელის
უზრუნველყოფის გაუქმება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-320(კს-20)

9 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ა. ნულაძე**

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გა-
უქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 2 აპრილს ნ. ნ-მა სარჩელი აღძრა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 3 თებერვლის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 6 მარტის №... გადაწყვეტილების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 მარტის №... გადაწყვეტილების და 2007 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილების (განცხადების რეგისტრაციის №...) – 162 კვ.მ ფართის ნაწილში ბათილად ცნობა მოითხოვა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სს „...ა“.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ნ-ის სარჩელი, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირის – სს „...ის“ მიმართ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა

ნ. ნ-მა.

2017 წლის 11 მაისს ნ. ნ-ის მიერ სააპელაციო ეტაპზე დაზუსტდა მოთხოვნა, კერძოდ, აპელანტმა მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2015 წლის 3 თებერვალს მიღებული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 2015 წლის 6 მარტს მიღებული სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სს „...ის“ სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების (განაცხადის რეგისტრაციის №..., 2007 წლის 23 აგვისტო, მინის ნაკვეთის ს/კ ...) ბათილად ცნობა; ასევე – სარეგისტრაციო ობიექტთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაციის თაობაზე მიღებული ყველა შემდგომი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, კერძოდ, გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების: №... (29.09.2009წ.) ს/კ ...; №... (22.01.2015წ.) ს/კ ...; №... (29.10.2015წ.) ს/კ ...; №... (10.11.2015წ. ს/კ. ...) – 162 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში ბათილად ცნობა; ნ. ნ-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 მარტის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ნ. ნ-ის 2015 წლის 29 იანვრის №... განაცხადებაზე საქმის წარმოების განახლებისა და რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დავალდებულება.

2017 წლის 15 მაისს ნ. ნ-მა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განაცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისა და 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოითხოვა, მოპასუხეებს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონულ ოფისს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმის საბოლოო დასრულებამდე აკრძალვოდა ... საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების შემდგომი დაყოფის, გაერთიანების უფლების გადასვლის რეგისტრაციის განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ნ. ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრაციის თაობაზე მიღებული ყველა შემდგომი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ტრაციო სამსახურს აეკრძალათ სს „...ის“ სახელზე საკადასტრო კოდით ... რეგისტრირებულ ქონებაზე შემდგომი დაყოფის, გაერთიანებისა და უფლების გადასვლის რეგისტრაციის განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით აპელანტი ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ნ-ის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, 162 კვ.მ ფართის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, (განაცხადის რეგისტრაციის №..., მიწის ნაკვეთის ს/კ ...); ასევე ბათილად იქნა ცნობილი ამავე სარეგისტრაციო ობიექტთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველა შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე, კერძოდ: გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებები: №... (29.09.2009წ.) ს/კ ...; №... (22.01.2015წ.) ს/კ ...; №... (29.10.2015წ.) ს/კ ...; №... (10.11.2015წ.) ს/კ ...; – 162 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 მარტის №... გადაწყვეტილება ნ. ნ-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ნ. ნ-ის განცხადებაზე საქმის წარმოების განახლება და კანონის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; სასამართლოს მიერ რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ნაწილში მოსარჩელეს ეთქვა უარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...ამ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სს „...ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

2019 წლის 22 ნოემბერს სს „...ამ“ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ითხოვა სს „...ის“ საკუთრებაში არსებულ ... საკადასტრო

კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე უძრავი ქონების დაყოფის, გაერთიანებისა და უფლების გადასვლის რეგისტრაციის აკრძალვის გაუქმება, იმ საფუძვლით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სს „...ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინებით სს „...ის“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა არის დროებითი ხასიათის ღონისძიება, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, ემსახურება სასარჩელო მოთხოვნის დაცვას და მის ეფექტურ აღსრულებას. შესაბამისად, შუამდგომლობის (განცხადების) განხილვის პროცესში პრინციპულია შეფასდეს, არსებობს თუ არა დავის საგნის დაცვის შემდგომი აუცილებლობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე ბათილადაა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ ის გადაწყვეტილება, რომელმაც სადავო მინის ნაკვეთის ნაწილზე წარმოშვა სს „...ის“ საკუთრების უფლება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...ა“ იმ ეტაპზე არ წარმოადგენდა მინის ნაკვეთის სრულფასოვან მესაკუთრეს და კვლავაც გაურკვეველი იყო ნ. ნ-ის უფლებრივი საკითხი სადავო უძრავ ნივთთან მიმართებით.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება გამოინვევდა სს „...ის“ იმ უფლებებში აღდგენას, რაც მას მოცემულ ეტაპზე არ გააჩნდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, თუ მხარეთა შორის ურთიერთობა შეიცვალა, მხარეები მორიგდნენ ან/და გამოიცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წინამდებარე განჩინება არ ართმევდა შესაძლებლობას სს „...ას“ ხელახლა მიემართა სასამართლოსთვის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივ-

რით გაასაჩივრა სს „...ამ“.

კერძო საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე სს „...ის“ განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ, განაახლა სარეგისტრაციო წარმოება და 2018 წლის 15 მაისს მოსარჩელე ნ. ნ-ს დაურეგისტრირა მიკუთვნებული 162 კვ.მ მიწის ფართი, ს/კ კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინებით უარი უთხრა ამავე სასამართლოს 2017 წლის 16 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. უარი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გაურკვეველია მოსარჩელე ნ. ნ-ის უფლებრივი საკითხი და უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება გამოინვევს სადავო უძრავ ნივთზე სს „...ის“ უფლებების აღდგენას.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით არასწორად ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან მოსარჩელის საკუთრებად 2018 წლის 15 მაისს დარეგისტრირდა სადავო უძრავი ნივთი, რომელიც შედგება 162 კვ.მ მიწის ფართისგან. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უძრავი ნივთი ნ. ნ-ს დღეის მდგომარეობით გასხვისებული აქვს. შესაბამისად, მოსარჩელის უფლებრივი საკითხი ცალსახად გარკვეულია და უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობა აზრს კარგავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ივნისის განჩინებით სს „...ის“ კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოება-

ში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული ნესების დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე უარის თქმის კანონიერება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

განსახილველ დავაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სს „...ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით აპელანტ ნ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ნ-ის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, 162 კვ.მ ფართის ნაწილში ბათი-

ლად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 23 აგვისტოს გადანყვეტილება რეგისტრაციის შესახებ, (განაცხადის რეგისტრაციის №..., მინის ნაკვეთის ს/კ ...;) ასევე ბათილად იქნა ცნობილი ამავე სარეგისტრაციო ობიექტთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადანყვეტილება ყველა შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე, კერძოდ: გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის გადანყვეტილებები: №... (29.09.2009წ.) ს/კ ...; №... (22.01.2015წ.) ს/კ ...; №... (29.10.2015წ.) ს/კ ...; №... (10.11.2015წ.) ს/კ ...; 162 კვ.მ მინის ნაკვეთის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 13 მარტის №... გადანყვეტილება ნ. ნ-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ნ. ნ-ის განცხადებაზე საქმის წარმოების განახლება და კანონის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისი გადანყვეტილების მიღება; სასამართლოს მიერ რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღების ნაწილში მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია განიმარტოს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განცხადებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ კანონიერ ძალაში შესული ზემოაღნიშნული გადანყვეტილების საფუძველზე ბათილად იყო ცნობილი რეგისტრაციის შესახებ ის გადანყვეტილება, რომელმაც სადავო მინის ნაკვეთის ნაწილზე წარმოშვა სს „...ის“ საკუთრების უფლება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...ა“ იმ ეტაპზე არ წარმოადგენდა მინის ნაკვეთის სრულფასოვან მესაკუთრეს და კვლავაც გაურკვეველი იყო ნ. ნ-ის უფლებრივი საკითხი სადავო უძრავ ნივთთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული დასკვნის გაკეთება გამოიწვია, სს „...ის“ მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ წარდგენილ განცხადებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობამ, მტკიცებულებების წარუდგენლობამ, რომლებიც დაადასტურებდნენ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძვლიანობას.

თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს ქმნის სს „...ის“ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. კერძოდ, სს „...ის“ მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით დასტურდება, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განაახლა სარეგისტრაციო წარმოება და 2018 წლის 15 მაისს

მოსარჩელე ნ. ნ-ს დაურეგისტრირა მიკუთვნებული 162 კვ.მ მიწის ფართი ს/კ აღნიშნული გარემოება კი ადასტურებს კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტს. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებისა და მისი აღსრულების საშუალებას წარმოადგენს, მოცემულ საქმეზე დავა მოსარჩელესა და მოპასუხეებს შორის არსებითად დასრულებულია, მოსარჩელისათვის სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლება რეალიზებულია (საკუთრების უფლება 162 კვ.მ რეგისტრირებულია), შესაბამისად, აღარ არსებობს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე წარმოიშვა სს „...ის“ კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „...ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 10 დეკემბრის განჩინება;
3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე სს „...ის“ მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურისთვის სს „...ის“ სახელზე საკადასტრო კოდით ... რეგისტრირებულ ქონებაზე შემდგომი დაყოფის, გაერთიანებისა და უფლების გადასვლის რეგისტრაციის განხორციელების აკრძალვის შესახებ;
5. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სააღსრულებო ფურცელი

კრედიტორის უფლებამონაცვლის სახელზე სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-419-539-კ-03

15 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს „...-ს“ განცხადება სა-
აღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და
სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.2004წ. გადაწყვეტილე-
ბით სსიპ ... „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა
თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლი-
სა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 28.05.2003წ.
გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სსიპ
... „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა: საქართველოს შრომის, ჯან-
მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა 23
625 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სა-
სარგებლოდ და ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯის –
100 ლარის ანაზღაურება.

13.02.2014წ. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა
შპს „...-ს“ დირექტორმა გ. ჯ-ემ და მოითხოვა საქართველოს უზე-
ნაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქ-
მეთა პალატის 26.02.2004წ. გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო
ფურცლის გაცემა, რაზეც ეთქვა უარი იმ საფუძველით, რომ აღნიშ-
ნულ საქმეზე 24.03.2004წ. გაცემულია სააღსრულებო ფურცელი,
რომლის დედანი გადაგზავნილია თბილისის სააღსრულებო ბიურო-
ში.

28.04.2014წ. საკასაციო სასამართლოს განმეორებით მომართა
შპს „...-ს“ დირექტორმა გ. ჯ-ემ და მოითხოვა სააღსრულებო ფურ-

ცლის გაცემის საკითხის შესწავლა, სააღსრულებო ფურცლისა და გადაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებების ასლების მიწოდება, რის შესახებაც განმცხადებელს განემარტა, რომ სააღსრულებო ფურცლის დედანი 24.03.2004წ. გადაგზავნილი იყო თბილისის სააღსრულებო ბიუროში, რისი დამადასტურებელი გზავნილის ასლიც გადაგზავნა განმცხადებელს.

15.10.2015წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „...-ს“ დირექტორმა გ. ჯ-ემ და მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა იმ საფუძველით, რომ სააღსრულებო ფურცლის დედანი დაკარგულია. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად განმცხადებელმა წარმოადგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 28.07.2014წ. წერილი, რომლის მიხედვით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმის წარმოებისა და საინფორმაციო სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სააღსრულებო წარმოება, სადაც კრედიტორია ... „...ა“, ხოლო მოვალე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრირებული არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.02.2016წ. განჩინებით შპს „...-ს“ უარი ეთქვა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ სათანადო წესით არ დასტურდებოდა კრედიტორის უფლებამონაცვლეობა. განმცხადებელს განემარტა უფლებამონაცვლეობის სათანადო წესით დადასტურების საჭიროება.

22.04.2019წ. უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „...-მ“ და ისევ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.05.2019წ. განჩინებით შპს „...-ს“ განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

10.06.2019წ. შპს „...-მ“ განცხადებით მომართა საკასაციო პალატას სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით და წარმოადგინა კრედიტორის უფლებამონაცვლეობის დამდგენი დოკუმენტაცია. შპს-მ მოითხოვა აგრეთვე სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გამოცემის შემდეგ, სასამართლოს მიერ მისი სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნა.

მითითებული განცხადების განხილვის მიზნით საკასაციო პალატამ წერილობით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და მოვალის უფლებამონაცვლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-

თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რათა მათ წარმოედგინათ ინფორმაცია 26.02.2004წ. №ბს-419-539-კ-03 გადაწყვეტილებისა და 24.03.2004წ. №ბს-419-539-კ-03 სააღსრულებო ფურცლის შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების, სააღსრულებო წარმოების დაწყებისა და მიმდინარეობის, დაკისრებული თანხის გადახდის შესახებ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო პალატისათვის ინფორმაცია არ მოუწოდებია, ხოლო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურის უფროსის №ბ-1056-19 წერილით საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეცნობა, რომ 26.02.2004წ. №ბს-419-539-კ-03 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი თბილისის სააღსრულებო ბიუროს სარეგისტრაციო ჟურნალში და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმდინარე და საარქივო მასალებში არ მოიძებნა. აღნიშნულის შემდეგ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან განმეორებით იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია 26.02.2004წ. №ბს-419-539-კ-03 გადაწყვეტილებისა და 24.03.2004წ. №ბს-419-539-კ-03 სააღსრულებო ფურცლის შესასრულებლად სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და დაკისრებული თანხის გადახდის შესახებ, სამინისტროს ეთხოვა აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. სამინისტროს №ბ-1213-19 წერილით უზენაეს სასამართლოს ეცნობა, რომ გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის მოძიება შეულებელია ხანდაზმულობის გამო, ხოლო სამინისტროს მონაცემებით მას არ ერიცხება დავალიანება ... „...ის“ ან მისი სამართალმემკვიდრის შპს „...-ს“ მიმართ. სამინისტროს მომართვაზე რაიმე დოკუმენტაცია თანდართული არ ყოფილა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სსიპ ... „...ის“ ან მისი უფლებამონაცვლის – შპს „...-ს“ სასარგებლოდ თანხების გადარიცხვის შესახებ ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან. სახაზინო სამსახურის №ბ-1307-19 წერილით სასამართლოს ეცნობა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული დავალიანების დასაფარად, ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საინკასო დავალებით თანხის იძულებით ჩამოჭრა არ განხორციელებულა, ხოლო დავალიანების ნებაყოფლობით გადახდის შესახებ ინფორმაცია ექნება თავად საბიუჯეტო ორგანიზაციას.

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების, ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გასცეს დუბლიკატი, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე ან მის უფლებამონაცვლეზე (21.1, 24-ე მუხ.). განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 01.03.2005წ. №1-1/250 და 04.05.2005წ. №1-1/647 ბრძანებებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ სახელმწიფო ქონების ბაზაზე, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა შპს „...“, რომელიც მიჩნეულ იქნა სსიპ ... „...ს“ სამართალმემკვიდრედ. ამდენად, დასტურდება, რომ განმცხადებელი კრედიტორის უფლებამონაცვლეა, შესაბამისად მას აქვს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის მოთხოვნის უფლება. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განმცხადებელს დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილ 15.10.2015წ. და 22.04.2019წ. განცხადებებზე უფლებამონაცვლეობის დამდგენი დოკუმენტაცია (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებები) არ დაურთავს, ხოლო სასამართლოს არ ჰქონდა პროცესუალური ვალდებულება თავად მოეძიებინა შპს-ს განცხადების საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამასთანავე, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე 15.10.2015წ. განცხადების დაკმაყოფილებაზე საკასაციო პალატის მიერ 11.02.2016წ. განჩინებით უფლებამონაცვლეობის დაუდგენლობის მოტივით უარის თქმის შემდგომ შპს „...-ს“ 2019 წლის აპრილამდე სასამართლოსათვის აღარ მოუმართავს. დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით შემდგომი განცხადება საკასაციო პალატაში წარდგენილ იქნა სამ წელზე მეტი პერიოდის გასვლის შემდეგ – 22.04.2019წ. და განცხადებაზე კვლავ არ იყო დართული უფლებამონაცვლეობის დამდგენი დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე სასამართლო იხილავს შპს „...-ს“ 10.06.2019წ. განცხადებას, რომელზე თანდართული დოკუმენტები უფლებამონაცვლეობას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 10 წელი, რომელიც უკვე აღიარებული, მინიჭებული უფლების რეალიზაციის ვადაა. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შეუძლია, მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღსრულებო ფურცლის გაცემაში, იძულებით აღსრულების მოთხოვნაში და სხვ. (იხ.მაგ.: სუსგ 02.03.2018წ. №ას-170-170-2018, 13.04.2017წ. №ას-7-7-2017, 09.02.2015წ. №ას-67-61-2015). განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს უზენაესი სასამართლოს 24.02.2004წ. (საქმე №ბს-419-539-კ-03) გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემას. სსკ-ის 264.3 მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე. ამდენად, მართალია, 24.02.2004წ. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 10 წელზე მეტი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში – 24.03.2004წ. გაიცა სააღსრულებო ფურცელი და გაიგზავნა თბილისის სააღსრულებო ბიუროში იძულებითი აღსრულების მიზნით, რაც ადასტურებს უფლებამოსილი პირის მიერ ხანდაზმულობის 10-წლიან ვადაში გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში ორგანოს, რომელმაც გასცა პირველი ეგზემპლარი, შეუძლია გაცეცხდეს დუბლიკატი. დუბლიკატის გაცემის ნორმატიული შესაძლებლობის შემოღება განაპირობა კრედიტორის უფლებამ, იძულებითი აღსრულების დაწყებამდე, სააღსრულებო ფურცლის დედნის დაკარგვის შემთხვევაში მიიღოს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი და მისი წარდგენით მოითხოვოს აღსრულების დაწყება. უკეთეს სააღსრულებო ფურცლის დედანი უკვე სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია, აღარ არსებობს მისი განმეორებით გაცემის წინაპირობა (იხ. სუსგ 05.03.2014წ. №ას-11-11-2014). განსახილველ შემთხვევაში მართალია დასტურდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.2004წ. გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა და მისი თბილისის სააღსრულებო ბიუროში გაგზავნა, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით არ დასტურდება აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის ჩაბარება, სააღსრულებო წარმოების დაწყება, სააღსრულებო მოქმედებების განხორციელება. ამასთანავე, მართალია მოვალე უთითებს დავალიანების არარსებობაზე,

თუმცა ვერ წარმოადგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, არ დგინდება სამინისტროს მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით რაიმე ქმედებების განხორციელება, კრედიტორისათვის თანხის ანაზღაურება, საინკასო დავალების საფუძველზე თანხის იძულებით ჩამოჭრა.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ სკ-ის 142.1 მუხლით განსაზღვრული 10-ნლიანი ხანდაზმულობის ვადის გარდა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის რეალიზაციის დაწყების ვადაა, არსებობს აგრეთვე სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით განსაზღვრული ვადები, რომელთა გასვლა დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას იწვევს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო წარმოება წყდება, თუ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს გამონაკლისს და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის მითითებული წესი არ ვრცელდება ისეთ სააღსრულებო საქმეებზე, რომელშიც მოვალე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტია. განსახილველ შემთხვევაში ერთი მხრივ არ დასტურდება სააღსრულებო წარმოების დაწყება, თუმცა სააღსრულებო წარმოების დაწყებულად მიჩნევის შემთხვევაშიც არ იარსებებდა აღსრულების ვადის გასვლის გამო სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „...“-ის მოთხოვნა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გამოწერის შემდეგ სასამართლოს მიერ მისი სააღსრულებო ბიუროსათვის გადაცემის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის თანახმად, სააღსრულებო ფურცელს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო გადასცემს კრედიტორს (21.2 მუხ.), სააღსრულებო წარმოება იწყება იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (25.1 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში კრედიტორია შპს „...“, შესაბამისად, სწორედ იგია უფლებამოსილი სასამართლოსაგან მიიღოს და ორგანოში წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი იძულებითი აღსრულების მიზნით. ამდენად, არ არსებობს შპს „...“-ს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების, სასამართლოს მიერ კრედიტორის ნაცვლად სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო

ბიუროში წარდგენის ფაქტობრივი ან ნორმატიული საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...-ს“ განცხადება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.02.2004წ. №ბს-419-539-კ-03 გადაწყვეტილებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი (კრედიტორის უფლებამონაცვლე: შპს „...“, მოვალის უფლებამონაცვლე: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლეზე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ბს-310(კს-20)

7 ოქტომბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. რ-მა 2013 წლის 7 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა ამავე სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის №1-1/284 ბრძანებისა და სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2011 წლის 11 ოქტომბრის №05/22955 წერილის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაება შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით ზ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. რ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. რ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 4 ოქტომბრის №1-1/284 ბრძანება და სამინისტროს დაევალა, საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე, ზ. რ-ის საჩივართან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 400 ლარის ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და შპს „...-მა“ საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის №ბს-635-631(2კ-17) განჩინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „...-ის“ საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაზე 2019 წლის 26 მარტს გაიცა საალსრულებო ფურცელი, რომელშიც კრედიტორად დაფიქსირებულია ზ. რ-ი.

2019 წლის 26 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. რ-მა, რომელმაც ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა. განცხადების მიხედვით, ვერ მოხდა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ზ. რ-ის გარდაცვალების გამო.

განცხადებას თან ერთვის გადაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი, ზ. რ-ის გარდაცვალების მოწმობა და სამკვიდრო მოწმობა. სამკვიდრო მოწმობით დასტურდება, რომ ზ. რ-ის სამკვიდრო ქონება მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ (შვილმა) – ნ. რ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 დეკემბრის განჩინებით დადგინდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაზე გაცემულ უნდა იქნეს სააღსრულებო ფურცელი გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის ზ. რ-ის უფლებამონაცვლე პირის – ნ. რ-ის სასარგებლოდ. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლებზე, საქმეში წარდგენილ სამკვიდრო მოწმობაზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან ნ. რ-ის უფლებამონაცვლეობა ზ. რ-ის მიმართ ნათელია, მის სასარგებლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაზე უნდა გაიცეს ახალი სააღსრულებო ფურცელი.

ზემოაღნიშნული განჩინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა შეეფასებინა უფლებამონაცვლეობის დადგენის შესაძლებლობა აღსრულებული გადაწყვეტილების მიმართ, ვინაიდან უფლებამონაცვლეობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაშვებია გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

კერძო საჩივრის თანახმად, კონკრეტულ შემთვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2018 წლის 2 ივლისის №1-1/336 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ზ. რ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით და სამინისტროს 2019 წლის 14 მარტის №1-1/122 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ზ. რ-ის წარმომადგენელმა სარჩელით მი-

მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამინისტროს 2011 წლის 11 ოქტომბრის №05/22955 მიმართვისა და 2019 წლის 14 მარტის №1-1/122 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 31 ოქტომბრის №3/7889-18 განჩინებით სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება აღსრულებულია, რაც ასეთი გადაწყვეტილების მიმართ ახალი უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესაძლებლობას გამოიწვევს და მხარისთვის სამართლებრივი შედეგის მომტანი ვერ იქნება.

კერძო საჩივარს თან ერთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 მარტის №1-1/122 ბრძანება, რომელიც გამოცემულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად ასკვნის, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დაცვით, სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს და არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში საკვლევ საკითხს წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის კანონიერება მოსარჩელის უფლებამონაცვლის მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 24-ე მუხლის შე-

საბამისად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სამართლოს.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მხარეთა ცვლილება, დავის კატეგორიისა და სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, შეიძლება გახდეს საქმეში უფლებამონაცვლის დადგენის წინაპირობა. კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ განსახილველ სამართალურთიერთობაში დასაშვებია იყო უფლებამონაცვლეობა. ამასთანავე, სადავო ურთიერთობის ხასიათის გარდა, უფლებამონაცვლეობის დადგენა დამოკიდებულია იმ ფაქტის განსაზღვრაზე, ხომ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე აღსრულებული. კერძოდ, კანონმდებლის მიერ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უფლებამონაცვლეობის დაშვება გულისხმობს უფლებამონაცვლის განსაზღვრის შესაძლებლობას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართაც კი, თუმცა მხოლოდ ამავე გადაწყვეტილების აღსრულებამდე. აღსრულებული გადაწყვეტილების მიმართ უფლებამონაცვლეობის დადგენა არ ხდება, რამეთუ უფლებამონაცვლე ვერ მოითხოვს უკვე აღსრულებული გადაწყვეტილების ხელმეორედ აღსრულებას, ან მას ვერ დაეკისრება უკვე აღსრულებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ვალდებულების ხელმეორედ შესრულება.

სადავო შემთხვევაში, უფლებამონაცვლის განსაზღვრა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოხდა სწორედ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ასევე, 2018 წლის 10 იანვრის სამკვიდრო მონობით უდავოდ დადგენილია, რომ სწორედ ნ. რ-მა მიიღო ზ. რ-ის სამკვიდრო. შესაბამისად, მოცემულ საქმეში ნ. რ-ის უფლებამონაცვლეობა ნათელია. კერძო საჩივრის ავტორი უფლებამონაცვლის დადგენასა და მის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გაცემას არ ეთანხმება მხოლოდ ერთადერთი საფუძველით – იგი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უკ-

ვე აღსრულებულია.

საკასაციო სასამართლო, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის შესწავლისას, ყურადღებას გაამახვილებს აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომლითაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და მოსარჩელისთვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება.

საგულისხმოა, რომ ნ. რ-მა ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილ განცხადებაში ხაზი გაუსვა სწორედ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის მიუღებლობას. კერძო საჩივრის ავტორი კი სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით არაფერს განმარტავს. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც მოსარჩელისთვის 400 ლარის გადახდა დადასტურდებოდა. ამდენად, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის დაკისრების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულება არ დგინდება. შესაბამისად, მოთხოვნის მოცემულ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულად ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, მართალია, კერძო საჩივარს თან ერთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 მარტის №1-1/122 ბრძანება, თუმცა საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი უნდა დადასტურდეს სათანადო წესით, მათ შორის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების განმხორციელებელი ორგანოს, გაცემული ინფორმაციით. ამასთანავე, გადაწყვეტილების ჯეროვნად აღსრულების საკითხი სასამართლოში დამოუკიდებელი დავის საგანი შეიძლება გახდეს. მოცემული დავის ფარგლებში კი სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს და განმარტოს, რამდენად წარმოდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 მარტის №1-1/122 ბრძანება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცემულ აქტს; მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ნ. რ-მა წარმოადგინა სააღსრულებო ფურცლის დედანი, რაც მოწმობს, რომ საქმეზე იძულებითი აღსრულება არ განხორციელებულა.

საგულისხმოა, ასევე, რომ ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა ვერ ხელყოფს სამინისტროს უფლებებს იმ შემთხვევაშიც კი,

თუ დადგინდება, რომ მას უკვე ნებაყოფლობით აქვს შესრულებული სასამართლოს დავალება, რადგან აღსრულების ეროვნული ბიურო იძულებითი აღსრულების ფარგლებში დეტალურად და სრულად სწავლობს აღნიშნულ საკითხს, თავდაპირველად სწორედ ნებაყოფლობითი შესრულებისთვის განუსაზღვრავს ვადას მოვალეს. ამდენად, აღსრულებული აქტის მეორედ იძულებით აღსრულება არ უნდა განხორციელდეს. მხარემ იძულებითი აღსრულების ფარგლებში უნდა დაამტკიცოს, რომ უკვე შეასრულა სასამართლოს მითითებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფაქტი შესაბამისი წესით – სააღსრულებო წარმოების დასრულების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს (სააღსრულებო ბიუროს) ინფორმაციით არ დასტურდება, ხოლო სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში – კერძო საჩივრის ავტორიც არ მიუთითებს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე, სასამართლო უფლებამოსილი იყო, დაედგინა უფლებამონაცვლე და მის მიმართ ახალი სააღსრულებო ფურცელი გაეცა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა გასაჩივრებული განჩინების გამოცემა და არ იკვეთება კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 64-ე, 74-ე, 368-ე, 374-ე, 399-ე, 414-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სადმინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge